აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი*

თათია დოღონაძე

# მდგრადი ტურისტული განვითარების სივრცითი ასპექტები და თავისებურებები იმერეთის რეგიონში

გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: 05.05.გეოგრაფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ოთარ ჩხეიძე, პროფესორი
გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი:
ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი
გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ქუთაისი, 2018

## შ ი ნ ა ა რ ს ი


შესავალი ........................................................................................................4

**თავი 1. ტურიზმის დარგის ტრანსფორმაცია გარდამავალ პერიოდში.........................13**

1.1. ეკონომიკური განვითარების თეორიები, როგორც ნაშრომის თეორიული სამეცნიერო კონცეფცია...........................................................................................13
1.2. ტურიზმის ინდუსტრია და გარდამავალი ეკონომიკის ეპოქა...............................16
1.3. კვლევის თანამედროვე მიმართულებები ტურიზმში ..........................................23

**თავი 2. მდგრადი განვითარება და ტრანსდისციპლინური კვლევა ტურიზმში...........27**

2.1. ტურიზმი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის და ტრანსდისციპლინარიზმი.........................................................................................27
2.2. სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმი...............................................31

**თავი 3. საქართველო ტურიზმის ქვეყანა: ისტორიულ–გეოგრაფიული კონტექსტი...40**

3.1. საქართველოს რეკრეაციული რესურსები და საბჭოთა ეპოქის ტურისტულ–რეკრეაციული პოტენციალი ................................................................40
3.2. საქართველოს ტურიზმი 1990–იანი წლებიდან დღემდე ........................................44

**თავი 4. საქართველოსა და იმერეთის რეგიონის ბუნებრივ–რეკრეაციული დარაიონება და ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობების შეფასება......................49**

4.1. საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული დარაიონება........................................49
4.2. იმერეთის ტურისტულ–რეკრეაციული რაიონის საზღვრები და ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობების შეფასება...................................................................52
4.3. იმერეთის რეგიონის ბუნებრივ–რეკრეაციული რესურსები, საკურორტო და ტურისტული პოტენციალი ........................................................................57

**თავი 5. იმერეთის ტურისტულ–რეკრეაციული რაიონი: სივრცითი ტრანსფორმაცია და კვლევის ძირითადი მიმართულებები მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის..........................................................................................62**

5.1. იმერეთის ტურისტული ინდუსტრიის დარგების სივრცითი განლაგება და საკვლევი არეალების საზღვრები.....................................................................62
5.2. სპელეოტურიზმი: ტრანსდისციპლინური კვლევა მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის..........................................................................................66
5.3. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთში — ოკაცეს კანიონი და გორდის ტურისტული კომპლექსი...........................89
5.4. ბალნეოლოგიური/სპა ტურიზმი: სოციალურ– ეკონომიკური და მარკეტინგული კვლევა...............................................................................101
5.5. ქუთაისი, როგორც ურბანული ტურისტული პროდუქტი.....................140

**თავი 6. ტურიზმის პოლიტიკა და შესაძლებლობები მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის იმერეთის რეგიონში..............................................155**

**დასკვნები, რეკომენდაციები და ძირითადი მეცნიერული მიღწევები...............162**

**გამოყენებული ლიტერატურა ...........................................................................170**

**დანართი.....................................................................................................184**

# შესავალი

ტურიზმის ინდუსტრიას მსოფლიო ეკონომიკაში ერთ–ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. 1950–იანი წლებიდან, სამეცნიერო–ტექნიკურმა პროგრესმა საფუძველი დაუდო მასობრივ ტურიზმს. დასავლეთში, პოსტ–ინდუსტრიული ეპოქის მოსახლეობის მზარდმა შემოსავლებმა, საშუალება მისცა ოჯახებს მეტი თანხები და დრო დაეთმოთ რეკრეაციული საქმიანობისათვის. ამ პერიოდიდან საბჭოთა სივრცეშიც ტურიზმის სექტორის გაფართოება იწყება, რომლის ერთ ერთი მიზანი მოქალაქეთა ორგანიზებული დასვენებისათვის საკურორტო ცენტრების შექმნა იყო.

მიუხედავად პერიოდული კრიზისებისა, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა მსოფლიოში მუდმივად მზარდია. თუ 1950 წელს 25 მილიონი საერთაშორისო მოგზაური აღირიცხა, 2016 წელს მათ რაოდენობამ 1 მილიარდს გადააჭარბა (Roser, 2017). ტურისტების რაოდენობის მსგავსად, გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც კერძოდ, 2 მლრდ აშშ დოლარიდან 1950 წელს, 7,6 ტრილიონ დოლარამდე 2016 წელს („Global Tourism Industry", 2018). ტრადიციულ ტურისტულ რეგიონებად კვლავ ევროპა და შეერთებული შტატები რჩება, მაგრამ საერთაშორისო მოგზაურთა ინტერესი და ნაკადები მეტად მზარდია ახალი ქვეყნების მიმართ, რომელშიც პირველ რიგში, აზიისა და სხვა რეგიონების განვითარებადი სახელმწიფოები მოიაზრება. ტურიზმის მნიშვნელობა კი, დიდია ასეთ ქვეყნებში უმუშევრობის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. გამოთვლილია, რომ 1 ტურისტი პირდაპირი და არაპირდაპირი გზით საშუალოდ 11 ადამიანს ასაქმებს (მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, 2015).

განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც, რომელიც ტურისტულ ინდუსტრიაში ახალი მოთამაშე არ არის, მაგრამ 1990–იანი წლების შემდეგ, ქვეყანამ საკავშირო კურორტის (Всесоюзная здравница) სტატუსი ვეღარ შეინარჩუნა. გარდამავალმა პერიოდმა, საბაზრო ეკონომიკის სირთულეებით, ასევე პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ტრადიციული ბაზრების დაკარგვა გამოიწვია. განსაკუთრებით დაზარალდა ბალნეოლოგიური ტურიზმი — განადგურდა ინფრასტრუქტურა, მეტად შემცირდა ვიზიტორთა რაოდენობა, უპრეცენდენტოდ

გაიზარდა უმუშევრობა, რის გამოც, მოხდა მოსახლეობის მასობრივი გადინება საზღვარგარეთ არაკვალიფიციურ სამუშაოზე.

2000–იანი წლებიდან, ნელი ტემპით ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ტურისტული სექტორის რეაბილიტაციის პროცესი. საქართველო დღეს, ახალი ბაზრის მოთხოვნებს სტრუქტურული ცვლილებებით პასუხობს —— ზოგან მოხდა დარგის სივრცითი ტრანსფორმაცია —— ათვისებულ იქნა ახალი ადგილები ტრადიციული დარგების მიმართულებით (მაგალითად, სპელეოტურიზმის უფრო დიდ არეალზე გავრცობა წყალტუბოს რეგიონში, ახალი სათხილამურო ტრასების ათვისება გუდაურში) და ტურიზმის ახალი მიმართულებების შექმნა ახალ სივრცეში (მაგალითად, ბაზალეთის, ლოპოტის, ყვარლის ტბების რეკრეაციული კომპლექსები ან სვანეთის სივრცითი ათვისება ზამთრის ტურისტული დანიშნულების ადგილის სახით). სხვა შემთხვევაში კი, ტურისტული და საკურორტო ადგილების დაკნინება ან სრულიად გაქრობა მივიღეთ შედეგად —— კურორტები ზვარე, სიმონეთი, ლებარდე, მენჯი, ცაიში თითქმის აღარ არსებობს. იმ რეკრეაციულ კომპლექსებზე, სადაც 1990–იან წლებში, მეტ–ნაკლებად მოხერხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, დიდი ხანი არ არის, რაც კერძო ინვესტიციებით რეაბილიტაციის პროცესები დაიწყო. ზოგი მათგანი დღეს საერთაშორისო ვიზიტორებსაც მასპინძლობს (ბორჯომი, საირმე, ნუნისი).

აღნიშნული უპირატესობების მიუხედავად, საქართველომ უნდა მოძებნოს ეკონომიკური ნიშა არა მარტო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, არამედ ის სტრატეგიებიც უნდა შეიმუშაოს, რომელიც რეალურად აისახება და გააუმჯობესებს ქვეყნაში არაურბანიზებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობას. როგორც წესი, შიდა ტურიზმში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართავას უფრო რეალური პერსპექტივა აქვს, რადგან ისინი უფრო ზრუნავენ ტრადიციების და ლოკალური ცხოვრების სტილის შენარჩუნებაზე, ვიდრე გარედან მოსულნი. გარდა ამისა, ასეთი მიდგომის მიზანია, რომ მკვიდრი მოსახლეობა ტურიზმის განვითარების პროცესს არც ფიზიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით არ ჩამოშორდნენ და მიიღონ მეტი სარგებელი ცხოვრების უკეთესი პირობების მისაღწევად. ამ მიმართებით, უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მდგრადი

ტურიზმის განვითარება, რომლის მთავარი არსია, რომ „[დარგი]მხედველობაში იღებს მიმდინარე და სამომავლო ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ გავლენას ბუნებრივი გარემოს, ინდუსტრიის, ვიზიტორთა და ლოკალური თემების საჭიროებების გათვალისწინებით“ („Making Tourism“, 2005).

მიგვაჩნია, რომ დღეისათვის, საქართველოს ბუნებრივი (სტიქიური მოვლენების მიმართ მოწყვლადი რეგიონები), ეკონომიკური (რეგიონული განვითარების უთანასწორობა) და სოციალური მდგომარეობიდან (უმუშევრობა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და თვითდასაქმებული მოსახლეობის დიდი წილი) გამომდინარე, მდგრადი ტურიზმი განსაზღვრულ უნდა იქნას, როგორც ქვეყნის ტურისტული განვითარების მთავარი სტრატეგია. თუკი მომავალში ტურიზმი, კვლავაც სახელმწიფოს განვითარების ერთ–ერთ მიმართულება იქნება და უპასუხებს ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ეკონომიკურ გამოწვევებს, ვფიქრობთ, რომ ამ სივრცითი და სტრუქტურული ტრანსფორმაციის კვლევა დღეისათვის მეტად **აქტუალურია.** ჩვენი სადისერტაციო ნაშრომიც მდგრადი ტურისტული განვითარების პრობლემას განიხილავს იმერეთის რეგიონში, რომელიც ტრადიციულად, შემეცნებითი ტურიზმის (ბაგრატისა და გელათის ტაძრები, გეგუთის ციხე, ვანის არქეოლოგიური გათხრები, მრავალი მუზეუმი), საკურორტო დასვენების (წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სულორი), ეკოტურიზმის (სათაფლიისა და ნავენახევის მღვიმეები, მდ.წყალწითელას, მდ. რიონის ხეობა) და ურბანული ტურიზმის (ქუთაისი) ცენტრი იყო.

**ნაშრომის მიზანია** ტურიზმის დარგის სივრცითი და სტრუქტურული ტრანსფორმაციის კვლევა მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის იმერეთში. მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ, თუ როგორ მკვიდრდება ტურიზმის ეს მიმართულება რეგიონში და რამდენად უზრუნველყოფს ლოკალურ თემებში სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობისათვის სოციალური ბენეფიტების შექმნასა და ბუნებრივი გარემოს დაცვას, ანუ მდგრადი ტურიზმი, როგორც განვითარების ფაქტორი, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ეკონომიკური წინსვლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად; იმავდროულად, აღნიშნული საკითხების

სიღრმისეულად შესწავლა, *გარდამავალი პერიოდის საქართველოს* თანამედროვე სოციალურ–ეკონომიკური მოვლენების აუცილებელ ანალიზსაც მოიცავს.

**ნაშრომის ამოცანაა** *ტრანსდისციპლინური მიდგომით* განვსაზღვროთ, თუ როგორ მოქმედებენ საკვლევი რეგიონის ტურიზმის სფეროში ჩართული სტრუქტურები და რამდენად ემსახურება მათი თანამონაწილეობა რეგიონის ტურიზმის მდგრად განვითარებას; ხელშემწყობია თუ არა ტურიზმი თემის ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ზოგადად, რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის.

**კვლევის ობიექტია** რეგიონში ტურიზმის დარგში მოქმედი აქტორები ანუ *სტეიქჰოლდერები* —– სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი, კერძო ბიზნესი, ლოკალური მოსახლეობა, რეკრეანტები.

**კვლევის საგანია** იმერეთის ტურისტულ-რეკრეაციული რეგიონი და მისი რესურსული პოტენციალი მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის.

დისერტაცია ეყრდნობა საველე კვლევების შედეგად (სტატისტიკური მასალების შეგროვება, გამოკითხვა და დაკვირვება) დინამიკაში შეგროვილ მასალას (2013–2018 წლები), რომელთა მოპოვებისა და დამუშავებისათვის გამოყენებულია *რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები* ანკეტური გამოკითხვებისა და სიღრმისეული ინტერვიუების სახით, *მეორადი ლიტერატურული წყაროები, სტატისტიკური, შედარების, ანალიზის, კომპიუტერული (SPSS 22 პროგრამა) და კარტოგრაფიული* (გეოინფორმაციულ სისტემებში (GIS) შექმნილი რუკები) **მეთოდები.**

აქამდე არსებული კვლევები იმერეთის ტურიზმის შესახებ საკმაოდ მწირია. ყველაზე ადრინდელ და მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს რეკრეაციულ გოგრაფიაში, 1971 წელს გამოცემული ემილ კობახიძის წიგნი „საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი“ წარმოადგენს, სადაც საქართველოს რეკრეაციული დარაიონება და საკურორტო რესურსების შეფასებაა მოცემული. მას შემდეგ გამოცემული წიგნები (ნოდია, მ. 1976; ვადაჭკორია, მ., უშვერიძე, გ., და ჯალიაშვილი, ვ. 1987), საქართველოს კურორტების კლასიფიკაციასა და თითოეული კურორტის მცირე ანოტაციას ეძღვნება; ატლასში, „საქართველოს სსრ კურორტები და

საკურორტო რესურსები“ (მოსკოვი, 1989. 76 გვ.), ცალკეა მოცემული კოლხეთის რეკრეაციული რეგიონის რუკა (1:600 000), რომელსაც იმერეთი ეკუთვნის. ატლასი სამენოვანია და თან ახლავს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ისტორიულ–გეოგრაფიული მიმოხილვა და ქვეყნის რეკრეაციული რესურსების შეფასება; ქუთაისში ტურიზმის განვითარების შესახებ (ჭარხალაშვილი, გულუა, 2010) განხილულია იმერეთის ტურისტული რესურსები და სექტორში არსებული მდგომარეობა; მოცემულია ტურიზმის განვითარების სტრატეგია; დისერტაციაში „კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები“ (დევიძე, 2012) თავმოყრილია სტატისტიკური მასალა და იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის რესურსები. მოცემულია კულტურული ტურიზმის SWOT, PESTEL და SMART ანალიზები; 2012 წელს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მოამზადა დოკუმენტი „იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების სტრატეგია“. ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია იმერეთის ტურისტულ კლასტერებად დაყოფაზე და თითოეული კლასტერის რესურსულ შეფასებასა და პოტენციალზე; მოცემულია იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და მიმართულებები 2020 წლამდე. მნიშვნელოვანია ო. ჩხეიძის კვლევითი ხასიათის ფუნდამენტური მონოგრაფიები (ჩხეიძე, 2000; ჩხეიძე, 2015), რომლებიც ტურისტულ მარშრუტებს განიხილავს იმერეთში გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური თვალსაზრისით.

ყველა ზემოთაღნიშნული ნაშრომი (ატლასის, ე. კობახიძის და ო.ჩხეიძის მონოგრაფიების გარდა), დიდწილად აღწერითი ხასიათისაა და კვლევით კომპონენტებს ნაკლებად შეიცავს, თანაც, მეტ–ნაკლებად ერთნაირ თემატიკას –– რესურსულ პოტენციალსა და ტურიზმის სტატისტიკას განიხილავს. ჩვენი დისერტაცია მათგან განსხვავებით, მეორად ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, მოცულობით საველე სამუშაოებსა და სოციალურ–გეოგრაფიულ კვლევებს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, **ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლეა** ის, რომ კომპლექსურადაა შესწავლილი იმერეთის ტურიზმი მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად კერძოდ, ტურიზმი, როგორც რეგიონის

ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობისათვის ცხოვრების უკეთესი ხარისხის შემქმნელი ფაქტორი. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომი:

- ✓ ერთ–ერთი პირველი, მასშტაბური გეოგრაფიული კვლევაა იმერეთის ტურიზმის შესახებ;
- ✓ პირველი კვლევითი ნაშრომია იმერეთის მდგრადი ტურისტული განვითარების შესწავლის მიზნით;
- ✓ ტურისტულ–რეკრეაციული არეალების გამოყოფას პირველად დაედო საფუძვლად იმერეთის გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური დარაიონება (ჩხეიძე, 2003; 2004), რომლის მიხედვითაც ჩვენს მიერ, გამოყოფილი იქნა რაიონები იმერეთში ტურისტული პროფილის მიხედვით;
- ✓ პირველად ჩატარდა კვლევა ბალნეოლოგიურ/სპა კურორტებზე – — წყალტუბოში, საირმესა და ნუნისში ტრანსდისციპლინური მიდგომით ანუ ტურიზმის სექტორში ჩართული ყველა სტრუქტურის (სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო ბიზნესების, ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის) მონაწილეობით;
- ✓ პირველად იქნა შესწავლილი, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურისტთა სოციალურ–ეკონომიკური სტრუქტურა იმერეთის სპა კუროტებზე;
- ✓ პირველად ჩატარდა კვლევა სპელეოტურიზმის, როგორც მდგრადი ტურიზმის განვითარების ფაქტორის გავლენის შესასწავლად, ლოკალურ თემში სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის;
- ✓ ჩვენს მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით, პირველად მოვახდინეთ სოფლის თემის შინამეურნეობების კლასიფიკაცია მათი სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, რათა ზუსტად შეგვესწავლა ტურიზმის, როგორც განვითარების ფაქტორის გავლენა ადგილობრივ ოჯახებზე;
- ✓ მოვახდინეთ სისტემატიზაცია იმერეთის რეგიონში ბალნეოლოგიური, შემეცნებითი, სპელეოტურიზმისა და ეკოტურიზმის

მნიშვნელოვანი რეგიონების ტურისტულ–რესურსული პოტენციალისა და გამოვიკვლიეთ მათი განვითარების დინამიკა და შესაძლებლობები;

- ✓ პირველად ჩავატარეთ ბალნეოლოგიურ კურორტებზე ტურისტული ბაზრის კვლევა — მარკეტინგული მოდელების დახმარებით (გრონრუსისა და პარასურამასის (Gronroos & Parasuramas) მოდელები) განვსაზღვრეთ მიღებული სერვისით ვიზიტორთა კმაყოფილების ხარისხი (თანხვედრა მოსალოდნელ და აღქმულ მომსახურებას შორის). კვლევის შედეგები რეკომენდაციებით, მათივე თხოვნით, გადავეცით კურორტ საირმის ადმინისტრაციას;
- ✓ პირველად შეიქმნა რუკები გეოინფორმაციულ სისტემებში, რომელზეც დავიტანეთ კვლევის შედეგები, კერძოდ:
  - ❖ იმერეთის რეკრეაციული რუკა ტურისტული პროფილის მიხედვით (შემეცნებითი, ბალნეოლოგიური, სპელეოტურიზმის და ეკოტურიზმის მიმართულებები);
  - ❖ კურორტ წყალტუბოს რუკა განთავსების საშუალებათა იდენტიფიცირებით —— ა) ძველი სანატორიუმები დევნილი მოსახლეობით, ბ) რეაბილიტირებული და სერვისში მყოფი სასტუმრო–სანატორიუმები დამსვენებლებით, გ) ძველი სანატორიუმები სერვისში არმყოფი, დღეისათვის კერძო მფლობელობაში და დ) ახალი სასტუმროები დამსვენებლებით;
  - ❖ რუკა სპელეოტურიზმის ობიექტებით —— ა) ტურისტულ მარშრუტებში ჩასმული მოქმედი მღვიმეები, ბ) მღვიმეები მშენებარე ინფრასტრუქტურით და გ) აუთვისებელი მღვიმეები ექსტრემალური ტურიზმისათვის.

შესრულებული კვლევები წაკითხულ იქნა 2 ეროვნულ და 2 საერთაშორისო კონფერენციაზე. გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი აქედან, 3 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

სადისერტაციო თემა მოიცავს 183 ნაბეჭდ კომპიუტერულ გვერდს და შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან; თან ახლავს GIS ტექნოლოგიით

შესრულებული 4 რუკა, გამოყენებული ლიტერატურის სია (140 დასახელება) და დანართი.

**შესავალში** მოცემულია სადისერტაციო თემის მიზანი, ამოცანები, მეთოდები, კვლევის საგანი, ობიექტი, სამეცნიერო სიახლეები და მიღწევები; მიმოხილულია საკვლევი თემატიკის სფეროში არსებული ლიტერატურა.

**პირველი თავი** (სამი ქვეთავით) იწყება სამეცნიერო თეორიების განხილვით, რომლებსაც სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა. შემდეგ საუბარია ტურიზმის ტრანსფორმაციის შესახებ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მოცემულია დარგის მიმართულებების სპეციფიკა პოსტ–სოციალისტურ სახელმწიფოებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ.

**მეორე თავი** (ორი ქვეთავით) ეხება მდგრადი განვითარების არსის გაცნობას. ახსნილია, თუ როგორ მიემართება ეს ფენომენი ტურიზმს და რა ტიპის კვლევები მიეკუთვნება მდგრადი განვითარების სფეროს. ახსნილია, რას ნიშნავს ინტერდისციპლინარიზმი, რომელიც, როგორც სამეცნიერო მიდგომა, საფუძვლად უდევს სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებულ კვლევებს. განხილულია სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის რაობა.

**მესამე თავი** (ორი ქვეთავით) საქართველოს ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგის ისტორიულ–გეოგრაფიული მიმოხილვაა საბჭოთა ეპოქის დასაწყისიდან დღემდე.

**მეოთხე თავი** (სამი ქვეთავით) მოიცავს საქართველოსა და იმერეთის რეგიონის ბუნებრივ–რეკრეაციულ დარაიონებასა და ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობების შეფასებას, სადაც მოყვანილია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული დარაიონების სქემები სხვადასხვა ავტორთა მიერ. მეორე და მესამე ქვეთავში მოცემულია საკვლევი რეკრეაციული რეგიონის ჩვენეული საზღვრების იდენტიფიცირება და დარაიონება.

**მეხუთე თავი** (ხუთი ქვეთავით) სადისერტაციო თემის ფარგლებში შესრულებულ კვლევებს ეთმობა, სადაც განხილულია იმერეთის რეგიონში სპელეოტურიზმის, ეკოტურიზმის, ბალნეოლოგიური ტურიზმისა და შემეცნებითი

რეკრეაციის თანამედროვე დინამიკა და სტრუქტურა მდგრადი ტურისტული განვითარების მიზნით.

**მეექვსე თავში** ტურიზმის პოლიტიკასა და მდგრადი ტურისტული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, ჩამოყალიბებული გვაქვს იმერეთში პერსპექტიული დარგის – სპა ტურიზმისა და სპელეოტურიზმის განვითარების ჩვენეული ხედვა. თან ახლავს GIS ტექნოლოგიით შექმნილი სპელეოლოგიური ობიექტების რუკა (ათვისებული, აღმოჩენილი და შეუსწავლელი გამოქვაბულები იმერეთში).

# თავი 1. ტურიზმის დარგის ტრანსფორმაცია გარდამავალ პერიოდში

## 1.1. ეკონომიკური განვითარების თეორიები, როგორც ნაშრომის თეორიული სამეცნიერო კონცეფცია

დისერტაციის **თეორიული კონცეფცია** ეყრდნობა **ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის ეკონომიკურ თეორიას** (Cooper, et.al., 2008:248) და **კოორდინაციის მარცხის თეორიას** (Springer, 2015:11) . ამ მიმართებით, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ თუ რამდენად ერგება საქართველოს რეალობა ამ თეორიებით დადგენილ კანონზომიერებებს და რამდენად ექვემდებარება იმერეთის ტურისტული რეგიონი განვითარების მოდელების მეცნიერულად აღიარებულ ნორმებს; სწორია თუ არა ის სტრატეგიები, რომლებიც არჩეულია, რათა მიღწეულ იქნას საბოლოო მიზანი — ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგის განვითარება გახდეს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსახლეობის კეთილდღეობის შესაქმნელად.

ბევრი მეცნიერი განვითარების ალტერნატიულ გზად სიღარიბის დაძლევას, უთანასწორობისა და უმუშევრობის აღმოფხვრას მიიჩნევს. 1990–იან წლებში საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ ცხოვრების ხარისხი განსაზღვრავდა ქვეყნების განვითარებულ და განვითარებად სტატუსს. როგორც მსოფლიო ბანკის ერთ–ერთ ანგარიშში განვითარებადი ქვეყნების შესახებ, იყო აღნიშნული (World Bank, 1991: 4), ცხოვრების დონის გაუმჯობესება გულისხმობდა, როგორც შემოსავლების ზრდას, ასევე უკეთეს განათლებაზე, ჯანდაცვასა და საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას, სიღარიბის შემცირებას, სუფთა გარემოს, თანაბარ შესაძლებლობებს, პიროვნულ თავისუფლებასა და მდიდარ კულტურულ ცხოვრებას. ამ ინდიკატორების წინ წამოწევამ და მეტი აქცენტის გაკეთებამ ბუნებრივი გარემოს დაცვაზე და უსაფრთხოებაზე, საფუძველი ჩაუყარა **მდგრადი განვითარების კონცეფციას,** რომელიც რიგი განვითარებადი ქვეყნებისათვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკად იქცა. დღეისათვის, ამ სტრატეგიის მთავარი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ

წინსვლას, სოციალურ თანასწორობას, გარემოს დაცვას და ემსახურება თაობათა კეთილდღეობის შექმნას (Springer, 2005:13).

*ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის* თეორია გულისხმობს იმას, რომ რეგიონის განვითარებაში ეკონომიკის ყველა დარგი მონაწილეობს. სხვა შემთხვევაში კი, ერთი (ან რამდენიმე), რომელსაც აქვს წამყვანი როლი და მოქმედებს, როგორც კატალიზატორი სხვა დარგებისათვის.

ბალანსირებული თეორიის მიხედვით, სტაგნაციური და ინერტული ეკონომიკის პირობებში, შეუძლებელია რომელიმე ერთ სექტორში ინვესტირებამ შედეგი მოიტანოს. დარგების ერთმანეთისაგან იზოლირება ვერ მოხდება, ამიტომ თუ ერთდროულად არ მოხდა ყველა მიმართულებით თანხების დაბანდება, მთლიანი სექტორი ვერ იქნება ქმედითი.

ალტერნატიული მიდგომა გულისხმობს იმას, რომ არაბალანსირებული ზრდა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, შედეგის მომტანია. თუკი ინვესტირება მოხდება ერთ ცალკეულ ან რამოდენიმე სექტორში, მთავარი დარგის განვითარება გამოიწვევს დანარჩენი დარგების გამოცოცხლებას, სათანადოდ ფუნქციონირებას და წინსვლას.

ამ თეორიის მიხედვით, ასეთი როლი შეიძლება ტურიზმმა შეასრულოს. ბალანსირებული თეორიის ფარგლებში, დარგი განიხილება, როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკის ყველა დანარჩენ სექტორთან ერთად, ხოლო არაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, როგორც ერთ–ერთი წამყვანი სექტორი რეგიონის ეკონომიკაში. ის თუ, რატომ ენიჭება ტურიზმს ასეთი როლი, განპირობებულია მისი მრავალი კავშირით სხვა დარგებთან და ხშირად, ეს კავშირები იმაზე ფართოა, ვიდრე ეს ეკონომიკის სხვა მიმართულებებს გააჩნია.

*კოორდინაციის მარცხის თეორია* 1990-იან წლებში გახდა პოპულარული. ამ თეორიის მომხრეები ეკონომიკას ეკოსისტემას ადარებენ და აღნიშნავენ, რომ სისტემის გამართულად მუშაობისათვის საჭიროა ყველა კომპონენტი შეთნხმებულად ფუნქციონირებდეს. რეალურად კი, შეუძლებელია ბაზარზე ყველა ისე მოქმედებდეს, რომ ეკვილიბრიუმი ანუ სრული წონასწორობა იყოს მიღწეული. სხვა სიტყვებით, ფირმის წარმატება მხოლოდ მის უნარებზე, ძალისხმევაზე, საერთო

ეკონომიკურ პირობებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვა აქტორებზეც –– ინფრასტრუქტურაზე, რეგულაციებზე, მოსახლეობის შემოსავლებზე და ა.შ. კოორდიანციის მარცხის თეორიის მომხრეები აცხადებენ, რომ გარკვეული წონასწორობის მიღწევის მიზნით, შესაძლებელია მთავრობამ „ბიძგი მისცეს“ პროცესებს სხვადასხვა რეგულაციიის სახით. ბოლო ათწლეულებში ასეთი „დიდი ბიძგის“ („Big push”) სტრატეგიის გამტარებლად მრავალ განვითარებად ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციები გვევლინება (მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა, USAID-ის პროექტები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში, მიუხედავად რამდენიმე საერთაშორისო და ლოკალური კომპანიის მოღვაწეობისა, ვერ მიიღწევა ის შედეგი რისი მოლოდინიც მოსახლეობას აქვს ანუ ვერ ხერხდება სიღარიბის დაძლევა, მნიშვნელოვანია მთავრობის როლი, რომელიც გამოდის, როგორც მარეგულირებელი. თუკი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლება ჩადებს დიდ კაპიტალს საჯარო ადმინისტრირებაში, მოახდენს ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ა.შ. სიღარიბის დაძლევა უფრო იოლად მოხდება (Cooper, et.al., 2008:249).

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თეორიები კარგად ესადაგება საქართველოსა და იმერეთის რეალობას. ტურიზმი მართლაც შეიძლება გახდეს კონკრეტული, მცირე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ლოკალური მოსახლეობის დასაქმებას, ოჯახების შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ აქტივობასა და ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას. ამ მიმართებით, უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების მიმართ სამთავრობო მხარდაჭერა. საერთაშორისო დონორთან ერთად გადადგმული ნაბიჯები წარმატების მომტანი იქნება ქვეყნისათვის. აღნიშნული ტენდენციები ჩვენმა კვლევებმა დაადასტურა. იმერეთის არაურბანიზებულ ტურისტულ რეგიონებში, სამთავრობო ლობირებით განხორციელებული პროექტები დადებითად აისახება ლოკალური მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალური მდგომარეობაზე.

## 1.2. ტურიზმის ინდუსტრია და გარდამავალი ეკონომიკის ეპოქა

ტერმინი „გარდამავალი ეკონომიკა“ მიემართება ქვეყნებს, რომლებმაც დაასრულეს გადასვლა ან ჯერ კიდევ გადასვლის ფაზაში იმყოფებიან გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. ეს ტრანზიცია საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია ნებისმიერი სახელმწიფოსა თუ საზოგადოებისათვის. უცნობ რეალობასთან ადაპტაციისა და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადაწყობისათვის, ტურიზმმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. მსგავსი პროცესი უკვე გაიარეს ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, სადაც ტურიზმის ინდუსტრიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა (Saarinen, 2008:409).

გარდამავალი პერიოდი არის სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის საბაზრო სისტემით შეცვლის პროცესი, რაც კომპლექსური ხასიათისაა და გამოირჩევა რიგი ტენდენციებითა და თავისებურებებით. ტერმინი ”გარდამავალი პერიოდი” პირველად კარლ მარქსმა გამოიყენა. იგი გულისხმობდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდს. შემდგომში, ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა პოლიტიკურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებებსა და ლიტერატურაში, როგორც განვითარების განსაკუთრებული ეტაპი თავისი ტენდენციებით, ნიშნებით, როლითა და ფუნქციებით გამორჩეული, კაცობრიობის განვითარების განმსაზღვრელი საფეხური (ჭითანავა, 2012:197).

გარდამავალი ეკონომიკა ეს არის ახალი ისტორიული ფენომენი, რომელიც განვითარებულ, განვითარებად და ფორმირებად მიკროსისტემებში განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების მიმართულებასა და ხარისხს. ტერმინი აღნიშნავს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობას, რომელიც მიმდინარეობს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და გულისხმობს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიისა და მართვის დეცენტრალიზაცია და შესაბამისად, უზრუნველყოს საკუთრების განვითარებულ ინსტიტუტზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება (ბახტაძე, 2006:4).

როდესაც გარდამავალი პერიოდი დაიწყო, ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში შეიქმნა ილუზია, რომ ინტეგრაცია

დასავლეთთან სწრაფად მოხდებოდა (Turnock, 2001:4), თუმც პროცესები სხვადსხვაგვარად წარიმართა.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობამ და სოციალისტური ცხოვრების წესზე უარის თქმამ გამოიწვია საკმაოდ რთული ვითარება ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში —— დაეცა წარმოების განვითარების ტემპი, დაიწყო მასობრივი უმუშევრობა, ინფლაცია და ა.შ. (გრიშიკაშვილი, 1998:3).

ტრანზიციის ეს პროცესი დსთ-ს რიგი ქვეყნებისათვის (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა) უფრო მეტად რთული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. მოცემულ ქვეყნებში მშპ-ის მოცულობა საბჭოთა პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირდა. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ბევრ ქვეყანაში მშპ-ის თანამედროვე მოცულობა ჯერ კიდევ ჩამორჩება გარდამავალ პერიოდამდე არსებულს, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდრი ცვლილებებით (შუბლაძე, 2006:29).

ზემოთაღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, გარდამავალი პერიოდის კანონზომიერი შედეგი, არის სიღარიბე და მისი მასშტაბების ზრდა. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების საწყის ეტაპზე სიღარიბე განიხილებოდა, როგორც რეფორმირების პროცესში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის დროებითი გამწვავება (ბახტაძე, 2006:77), მაგრამ პროცესები ბევრად მეტ ხანს გაგრძელდა.

ტურიზმი მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალ შემოსავლიანი დარგია. ყველა სახელმწიფოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია არასაკმარისი ფინანსური რესურსები, რომლის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის ეკონომიკის ეფექტიანი, მაღალმომგებიანი დარგების დანერგვა (შალამბერიძე, 2011:144). ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა გამოიხატება მის განვითარებაში სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სხვა დარგებთან ერთად და მათ პარალელურად (არაბული, 2011:73).

"ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი" (UNWTO გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, 1999) ტურიზმს განიხილავს, როგორც:

- ✓ მდგრადი განვითარების ფაქტორს;
- ✓ ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;

- ✓ სფეროს, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობასა და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;
- ✓ საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის (არაბული, 2011:33).

ტურიზმს აქვს, როგორც პირდაპირი დადებითი ზეგავლენა ქვეყნის შემოსავლებზე, ასევე დამატებითი პოზიტიური შედეგები ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და სახალხო რეწვის შენარჩუნება-განვითარების, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ფორმალური და არაფორმალური კავშირების ჩამოყალიბების სახით და სხვ. (მაზიაშვილი, 2011:91). მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობების სააგენტოს მონაცემებით, ტურიზმზე მოდის მსოფლიო ეროვნული პროდუქტის 10 %, კერძო მოხმარების — 10.9 %, მსოფლიო ინვესტიციების 11-8 %, ხოლო ტურიზმში დასაქმებულია მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის 10 % (თაკლანაძე და დიხამინჯია, 2011:75).

1990 წლებამდე საერთაშორისო ტურისტთა უმეტესობა, როგორც ცენტრალურ, ასევე აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან იყო. ტურიზმის ინდუსტრია სახლმწიფოს მიერ იმართებოდა და გათვლილი იყო მიწოდებაზე. სამომხმარებლო ბაზარს, გეგმიურ ეკონომიკაში არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, რაგდან არ იყო კონკურენცია. მონოპოლისტი იყო სახელმწიფო, რომელიც არ საჭიროებდა გაუმჯობესებას, წინსვლასა და პროგრესს სხვა ქვეყნებთან შედარებით (ჯულაბაშვილი, 2005:4).

კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ტურისტთა ახლმა ნაკადებმა დაიწყო შესვლა დასავლეთ ევროპიდან, თუმც არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობდა მაღალ სტანდარტებს; შეიცვალა ტურისტული ნაკადების მიმართულებებიც. 1986-1992 წლებში, ჩეხოსლოვაკიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავსტრიელ ტურისტთა რაოდენობა და შემცირდა ვიზიტორთა რიცხვი უნგრეთიდან; მასობრივი ტურიზმი სლოვენიაში ჩაანაცვლა უფრო ძვირად ღირებულმა აგრო და კულტურულმა ნიშა ტურიზმმა გერმანელებისა და ბრიტანელებისათვის, ხოლო ტრადიციულ ტურიზმში გაორმაგდა ღამისთევათა რიცხვი ვიზიტორების ხარჯზე იტალიიდან და ავსტრიიდან; 1980-იანი

წლების მეორე ნახევრიდან ტურისტული ნაკადები გაძლიერდა ბულგარეთში, უნგრეთსა და იუგოსლავიაში, მაგრამ დიდი ხნით მოიკლო რუმინეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. ამ პერიოდიდან დიდი გასაქანი მიეცა კერძო ინიციატივას და გაჩნდა კერძო სასტუმროები (Hall, 2001:149-150).

1990 -იანი წლების მიწურულიდან „შოკური თერაპიის" პერიოდის (1990-1991 წლები) გავლის შემდეგ ცენტრალურ ევროპაში, ტურიზმის ინდუსტრიამ შედარებით წარმატებით იწყო განვითრება, თუმც რეგიონზე, მთელი ევროპის კონტინენტის ტურიზმის მხოლოდ 8,3% მოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარგი შემდგომ აქტიურ ინვენსტირებას საჭიროებდა. პირველი დიდი პროექტები, რომლებიც განხორციელდა იყო ისეთი მსხვილი სასტუმრო ქსელების შესვლა პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, როგორიცაა ფრანგული აკორი (Accor), ამერიკული ჰოლიდეი ინნ (Holliday Inn) და სხვ., რასაც დაემატა დიდი სავაჭრო ცენტრების გახსნა (მაგალითად, გერმანული ტენგელმანი, ამერიკული მოლი და ა.შ.). ინტენსიურად მოხდა კადრების გადამზადება ტურიზმის მრავალი მიმართულებით. გაჩნდა ბევრი ტურისტული სააგენტო და კომპანია, რომელთა მთავარი მიზანი იყო მორგებოდნენ დასავლეთ ევროპულ სეგმენტს. ვიზიტორთა მზარდმა ნაკადებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობების წინაშე გზების რეკონსტრუქციის და ახალი აეროპორტების მშენებლობის საკითხი დააყენა (Hall, 2001:150).

1992-93 წლებში დაიწყო ინვესტირების ზრდის ტენდენცია, რაც უდავოდ, ტრანსფორმაციის დადებითი ეფექტის შედეგი იყო. მაგალითად პოლონეთის ეკონომიკის მიერ რეალიზებული უცხოური კრედიტების 40% დაბანდებულ იქნა ტურიზმში. 1992-93 წლებში პოლონეთში ტურისტების რიცხვი 49 მლნ-დან 61 მლნ-მდე, ხოლო შემოსავლები დარგში, 1 მლრდ. დოლარიდან 4,5 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა, რამაც ქვეყანაში შესული უცხოური ვალუტის 30% შეადგინა (ჯულაბაშვილი, 2005:10-11).

უნგრეთმა, პოლონეთმა და სლოვენიამ შეცვალეს თავიანთი ტურისტული სტრატეგია და აქცენტი აიღეს საერთაშორისო ვიზიტორთა მაღალშემოსავლიან სეგმენტზე და ტურისტული სეზონის გახანგრძლივებაზე. სლოვაკეთში ქვეყნის 5 პრიორიტეტს შორის, ტურიზმი მიჩნეულ იქნა, როგორც რეგიონული განვითარების

ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ბალკანეთში დარგის განვითარება დიდხანს შეაფერხა 1990-იანი წლების იუგოსლსვიის ომებმა. საერთო ჯამში, ამ პერიოდისათვის, ინვესტირება დასავლეთიდან აქტიურად ხორციელდებოდა იმ ქვეყნებში, რომელთაც რეალური შანსი ჰქონდათ ევროკავშირის წევრობისა (Hall, 2001:151).

ევროკავშირის გაფართოებამ 12 ახალი წევრი ქვეყნით 2004 და 2007 წლებში, ევროპაში ტურიზმის განვითარების სივრცითი სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეცვალა. პროცესმა გავლენა მოახდინა რეგიონის აღმოსავლეთ მოსაზღვრე პოსტ საბჭოთა სივრცეზეც. ბრიტანელი მკვლევარი, დერეკ ჰოლი, გარდამავალი პერიოდის ამ მობილობის განსაზღვრისათვის იყენებს ორ ტერმინს: *„ბრიქლეინგს“* (bricklaying) და *„ბრიკოლაჟს“* (bricolage) (Hall, 2008). პირველი, სიტყვა-სიტყვით ინგლისურიდან, „აგურის დადებას“ ნიშნავს, ხოლო მეორე, ფრანგული ტერმინია და ითარგმნება, როგორც „ნაჭერ–ნაჭერ აწყობა“. ტერმინები *„ბრიქლეინგი“* 2005 წელს ა.გოსარმა (Gosar, 2005), ხოლო *„ბრიკოლაჟი“* კ. ბალააჟმა და უილიამსმა (Baláz and Williams, 2005) შემოიტანეს (Hall, 2008:410). აღნიშნული ტერმინი ამ ავტორებთან, მიემართება ევროპის გაფართოებასა და ტრანზიციის პერიოდს კონკრეტულად ტურიზმის სფეროში. დერეკ ჰოლი, ბრიქლეინგის ცნებაში გულისხმობს თანმიმდევრულ, გონივრულ და მყარ პროგრესს, ანუ ეტაპობრივი განვითარების პროცესს, კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის გზით. ბრიკოლაჟი კი აღნიშნავს განსხვავებულ, ფრანგმენტულ და შესაძლოა გაურკვეველ ან ძნელად გასაგებ ქმედებას (Hall, 2008:411).

2004/2007 წლებისათვის, ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები მოიცავდნენ, როგორც ძველ, ტრადიციულ ტურისტულ ქვეყნებს (კვიპროსი, ბულგარეთი, მალტა), ასევე ახალ რეგიონებს (როგორიცაა სლოვენია, ბალტიისპირეთი). მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წინასწარი გათვლებით, ევროპის გაფართოება შექმნიდა პირობებს ტურიზმის ინდუსტრიის უფრო სრული და თანმიმდევრული განვითარებისათვის, ხოლო წევრი სახელმწიფოების უნიკალური, ახალი ტურისტული პროდუქტი, გადამწყვეტი იქნებოდა ძველი

ევროპის ტურისტული ბაზრის განახლებისა და გაჯანსაღებისათვის (Smith and Hall, 2006).

დ.ჰოლი სხვა ავტორებზე დაყრდნობით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ტურისტულ-რესურსული თვალსაზრისით გამოჰყოფს შემდეგ რეგიონებს:

- ხმელთაშუა და შავიზღვისპირა რეგიონი, უპირატესად საზღვაო მასობრივი ტურიზმითა და მდგრადი განვითარებისა და ბაზარზე ახლებურად წარმოჩენის პრობლემებით;
- ველური ბუნების საკმაოდ ფართე არეალი, რომელიც მოიცავს ბალტიის ტბებს და ტყეების ზონას, სლოვენიის ალპებს, სლოვაკეთის ტატრის მთებს, კარპატებს რუმინეთში და როდოპის მთებს ბულგარეთში; და
- მაღალი დონის ურბანულ და სოფლის კულტურული მემკვიდრეობის ადგილებს, ძირითადად დედაქალაქებსა და რეგიონის პატარა ქალაქებში - (მაგალითად: კრაკოვი, რიგა  და სხვა.) (Hall, 2008:411).

ჩვენი მხრივ, იმის გამო რომ დ.ჰოლს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, განხილული აქვს პოსტ-საბჭოთა სივრცის ევროპული ნაწილის სახელმწიფოები მოლდოვა, ბელარუსი, უკრაინა, რუსეთი და შავი ზღვისპირა ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველოც) (Hall, 2008:412),  ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციის პირველ ჯგუფს დავამატებთ:

- ✓ საქართველოს საზღვაო ზონას, ტრადიციული მასობრივი ტურიზმით, რომელსაც მის ჩრდილო და  დასავლეთ ზღვისპირა მეზობლების მსგავსად, აქვს მდგრადი განვითარების პრობლემები, მაგრამ ასევე პრობლემურია მისი, როგორც ახალი ტურისტული პროდუქტის ევროპულ ბაზარზე წარმოჩენა და დამკვიდრება;

მეორე ჯგუფს, რომელიც ჩვენი კლასიფიკაციით მოიცავს:

- ✓ კავკასიონის მთიან და მთისწინეთის და დაბლობის ველური ბუნების არეალსაც, რომელიც მდიდარია ბუნებრივ-რესურსული თვალსაზრისით; გარკვეული სეგმენტები ასევე გამოირჩევა კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით (სვანეთი და ხევი, ბორჯომ-ხარაგაულის მთისწინეთის ტურისტული ზონა (ბორჯომ-ხარაგაულის

ეროვნული პარკი) და კოლხეთის და აჭარის დაბლობის ზონა (კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები). თუმც, მთავარი პრობლემა ამ სეგმენტისათვის ევროპულ ბაზარზე ცნობადობაა;

და მესამე:

- ✓ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ანჩისხატის, სიონის, მეტეხის, სვეტიცხოვლის ჯვრის, ბოლნისის სიონი, დავით გარეჯის, გრემის ალავერდის და სხვა), ასევე დასავლეთ საქართველოს (ბაგრატის, გელათის, ნიკორწმინიდს, ბარაკონის, მარტვილის და სხვ.) და სამხრეთ საქართველოს (ვარძიის, საფარის, ზარზმის და სხვა) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს.

დ. ჰოლი აღნიშნავს, რომ საბჭოთა პერიოდში, ტურიზმის ამ სამ სექტორს საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა. თუმც მაშინაც და დღესაც, მთავარი პრობლემა, მათი უთანაბრო განვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭო სამართლიანად მიიჩნევს, რომ ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ასაქმებს ლოკალურ მოსახლეობას, რითაც უზრუნველყოფს მათ დამატებით შემოსავლებს, აქვს სოციალური სარგებელი იმით, რომ აყალიბებს გამორჩეული კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების მართვის კრიტერიუმებს და სხვ., ევროსაბჭოში არ არსებობს ცალკე წარმომადგენლობა ტურიზმის სფეროში. ტურიზმი მხოლოდ ერთ-ერთი ერთეულია ისეთი დიდი სტრუქტურის, როგორიცაა საწარმოთა გენერალური დირექტორატი ბრიუსელში. გარკვეულწილად, ამ მიზეზის გამო, ევროსაბჭოს ჩართულობა ტურიზმში მოკლებულია კოორდინაციას, თანმიმდევრულ პოლიტიკასა და დაფინანსებას კონკრეტულად დარგისათვის. ევროსაბჭოს პოლიტიკა ტურიზმის მიმართ, ფართომასშტაბიანია და გათვლილია შორ პერსპექტივაზე იმის გამო, რომ ეს პოლიტიკა პირდაპირ ეხება გარემოს პრობლემებს, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, მომხმარებელთან ურთიერთობებს და მხოლოდ ირიბად მოიცავს ტურიზმს (Anastasiadou, 2006).

## 1.3. კვლევის თანამედროვე მიმართულებები ტურიზმში

ტურიზმის აკადემიური შესწავლა დიდი ხანი არ არის რაც მიმდინარეობს. ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში, კვლევის მიმართულებით და მეთოდურად, დარგმა სწრაფი ცვლილებები განიცადა, რაც კვლევების მეტად გაფართოებასა და სამომავლო პრობლემათა წარმოჩენაში გამოიხატა. პროექტების შედეგები თავს იყრის ამ სფეროს ისეთ რეიტინგულ ჟურნალებში, როგორიცაა *ტურიზმის გეოგრაფია, ტურიზმის კვლევის ალმანახი, ტურიზმის მარკეტინგი, მოგზაურობის კვლევის ჟურნალი, რეკრეაციის კვლევის ჟურნალი, ტურიზმის მენეჯმენტი, ტურიზმის კვლევები, ტურიზმის კულტურა და კომუნიკაცია* და სხვ. ჟურნალების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ინტერესთა უპირატესი მიმართულებები (Ballantyne, Packer, Axelsen, 2009:1). დღეისათვის, ყველაზე აქტუალურია ვიზიტორთა კვლევა, რომელიც მოიცავს ტურისტთა პრიორიტეტების, ქცევის, პერსპექტივების შესწავლას; ტურიზმის დაგეგმარება (განვითარება, სტრატეგიები, პროგნოზირება) და მარკეტინგი (მარკეტინგი, სეგმენტაცია, რეკლამირება).

კვლევათა უმეტეს ნაწილში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდები. შედარებით მცირეა თვისებრივ მეთოდებზე აგებული პროექტები და კიდევ უფრო მცირე ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენების სიხშირე; მეტად შემცირებულია მხოლოდ თეორიული ხასიათის შრომები. კვლევათა უმეტესობა სტატისტიკურ ანალიზთან ერთად, თვისებრივ ფორმატსაც იყენებს. ნაშრომები, რომლებიც მოგზაურობის სტატისტიკას და ვიზიტორებს სწავლობს, ძირითადად რაოდენობრივია, მაშინ, როცა ტურისტული ადგილების შესახებ პროექტები, თვისებრივ დიზაინს ეფუძნება. რაც შეეხება ტურიზმის დაგეგმარებას, აქ მკვლევარები რამოდენიმე სახის მეთოდს იყენებენ, ხოლო მენეჯმენტის სფეროში უპირატესად თეორიული ნაშრომებია წარმოდგენილი.

პროექტების უმეტესობა კონკრეტულ ტურისტულ ადგილს ან ლიმიტირებულ გეოგრაფიულ არეალს ეხება. შედარებით იშვიათია, ერთდროულად ერთზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული კვლევების ანალიზი. ბოლო პერიოდში, თითქმის განახევრდა ამერიკელებისა და ბრიტანელების წილი ავსტრალიელი, ახალ

ზელანდიელი, აზიისა და ევროპის ქვეყნებიდან მეცნიერთა და ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი პროექტების ხარჯზე.

მიმდინარე ტენდენცია ადასტურებს ინტერესისა და კვლევების მნიშვნელობის ზრდას ვიზიტორთა და ტურისტთა გამოცდილების, ასევე მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით. შედარებით მოიკლო დაინტერესებამ მასპინძლობის სფეროში.

ეს მოკლე ანალიზი გვიჩვენებს კვლევების თანამედროვე ტენდენციებს ტურიზმში ზოგადად. კერძოდ, დარგის ზრდასთან ერთად მიდგომები, მეთოდები და გეოგრაფიული არეალებიც მრავალფეროვანი ხდება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს არ გამორიცხავს კარგად დაფუძნებული, ძველი ტრადიციული მეთოდების გამოყენებას. ახალი დიზაინი უფრო საწყის ეტაპზეა გამართლებული მთავარი საკითხის იდენტიფიცირებისას (Ballantyne, Packer, Axelsen, 2009:4).

როგორია კვლევის ტენდენციები მდგრადი განვითარების ტურიზმში?

მნიშვნელოვანი არსი ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციისა არის ის, რომ იგი განსხვავებულად აღიქმება ინდივიდების, დაინტერესებული მხარეების (სტეიქჰოლდერების) და სოციალური ჯგუფების მიერ. მას ხშირად მოიაზრებენ როგორც „ბალანსს“ ან რესურსების გონივრულად გამოყენების პროცესს. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ოთხ მთავარ პრინციპად მიიჩნევა: 1) გლობალური დაგეგმვა და სტრატეგიის შექმნა 2) არსებითი ეკოლოგიური პროცესების შენარჩუნების აუცილებლობა 3) ჰუმანური მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა და 4) განვითარება დაფუძნებული იმ იდეაზე რომ მწარმოებლურობა იქნეს უწყვეტი, ხანგრძლივი ვადით მომავალი თაობებისათვის. ამის გათვალისწინებით, მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაცია (WTO,1998, p.21) განსაზღვრავს მდგრადი განვითარების ტურიზმს, როგორც ტურისტთა მოთხოვნებისა და მასპინძელი რეგიონის შეთავაზების თანხვედრას, დაცვისა და მომავალი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ეს გულისხმობს რესურსების ისეთ მენეჯმენტს, სადაც დაკმაყოფილებული იქნება ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები კულტურული ხელშეუხებლობის, არსებითი ეკოლოგიურ

პროცესების, ბიომრავალფეროვნების და სასიცოცხლო სისტემების შენარჩუნების გზით (Lu, J. & Nepal, S., 2009:7).

1993-1997 წლებში, აკადემიურ სფეროში დაინტერესება დიდწილად, ეკოტურიზმში იყო. შესრულებული პროექტების 30 პროცენტი ეხებოდა ზოგადად ტურიზმს და მხოლოდ 12 პროცენტი მოიცავდა კულტურულ და ურბანულ ტურიზმს.

1998-2002 წლებში ზოგადი ტურიზმის მიმართულება უპირატესი გახდა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა ინტერესმა ეკოტურიზმის მიმართ. სხვა მიმართულებების წილი კი უცვლელი დარჩა.

2003-2007 წლებში ტურიზმი გეოგრაფიული კვლევების აქტუალურ სფეროდ რჩებოდა და ეკოტურიზმის მიმართულება კვლავ მნიშვნელოვნად გახლდათ, თუმც გაიზარდა ინტერესი კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმისა და ურბანული ტურიზმის მიმართ.

ბოლო წლების მიხედვით, მდგრადი განვითარების ტურიზმში სამი მთავარი ტენდენცია გამოიყოფა:

- ✓ პირველი, მოხდა მდგრადი განვითარების ტურიზმის ყურადღების გადატანა ნიშა ტურიზმიდან მასობრივ ტურიზმზე, რაც იმავდროულად, საჯარო სექტორიდან (მაგალითად, პარკები და დაცული ტერიტორიები) კერძო სექტორზე (მაგალითად, ურბანული ტურისტული ადგლები) გადანაცვლებასაც ნიშნავს;
- ✓ მეორე, წინა წლებთან შედარებით, მეტად გაიზარდა ინტერესი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ტურმიზმის მიმართ. ეს მიუთითებს კულტურული მემკვიდრეობის მზარდ მნიშვნელობასა და მის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე;
- ✓ მესამე, ალტერნატიული ტურიზმის პროდუქტი, მდგრადი ტურიზმის კონტექსტში მოიაზრება. ის მოიცავს ადგილობრივ , სასოფლო, საკონფერენციო, არქეოლოგიურ, კაზინო, კინოტურიზმსა და სხვ. (Lu, J. & Nepal, S., 2009:9).

მდგრადი განვითარების მიმართულების კვლევები მრავალფეროვანია, როგორიცაა ტურისტული დანიშნულების ადგილის კვლევა, ვიზიტორები, გიდები, ტუროპერატორები და მენეჯერები, სამთავრობო სტრუქტურები და ტურიზმის პოლიტიკა, მეთოდოლოგია, შრომითი რესურსი ტურიზმში, არასამთავრობო ორგანიზაციები, სტუდენტები და მოხალისეები და სხვ. თუ წინა წლებში, მდგრადი ტურიზმის ინტერესის არეალში *ტურისტული დანიშნულების ადგილები, მენეჯმენტი და ვიზიტორები* ხვდებოდნენ, ბოლო წლებში აქცენტი კეთდება *არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე* ტურიზმის სფეროში, *ტუროპერატორებსა* და *ლოკალურ თემებზე.* თუმც, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემა ერთი კუთხითაა გაშუქებული. იზრდება ტენდენცია საკითხის კომპლექსურად შესწავლისა.

მკვეთრი ზღვარის გავლება მდგრადი ტურიზმისა და ზოგადი ტურიზმის მიმართულებებს შორის, ძნელია. ხუთი ყველაზე პოპულარული თემატიკიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში — *ტურიზმის გავლენა, მდგრადობის შეფასება, განვითარება, ვიზიტორის ქცევა და განწყობა, დაგეგმვა* — რეალურად, მხოლოდ ერთი, *მდგრადობის შეფასება* მიემართება მდგრადი განვითარების ტურიზმს. თუმც, დანარჩენი ოთხი, თანამედროვე კვლევების ინტერესის პრიორიტეტულ სფეროში ექცევა. გარკვეულწილად, ეს იმასაც ნიშნავს, რომ მდგრადი ტურიზმი მეტ–ნაკლებად ასახავს ტურისტული კვლევების მთავარ ტრენდებს. კვლევის უახლეს მიმართულებებად დღეისათვის ითვლება *ლოკალური თანამონაწილეობა, ენერგია და კლიმატის ცვლილება, თანამშრომლობა და პარტნიორობა, ტექნოლოგია, კულტურა, ტურისტთა ტიპოლოგია და იმპლემენტაცია.*

მეთოდური თვალსაზრისით, თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებთან ერთად, სულ უფრო პოპულარული ხდება სოციალური კვლევები და ქეისების (იგივე შემთხვევათა) კვლევა. უახლეს მეთოდად მიჩნეულია უფრო დახვეწილი მეთოდების გამოყენება ანალიტიკური კვლევისათვის, როგორიცაა *მონაცემთა მოდელირება, გრადაციის ტესტირება, მრავალგანზომილებიანი მოდელირება, გეოინფორმაციული სისტემებისა და კომპიუტერული სიმულაციის* მეთოდების გამოყენება (Lu, J. & Nepal, S., 2009:11).

# თავი 2. მდგრადი განვითარება და ტრანსდისციპლინური კვლევა ტურიზმში

## 2.1. ტურიზმი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის და ტრანსდისციპლინარიზმი

ლოკალური განვითარების მოდელი, რომელიც ეყრდნობა მდგრად ტურიზმს, კომპლექსურ ურთიერთობებს გულისხმობს და შემდეგ პარამეტრებს მოიცავს:

*ეკონომიკური მდგრადობა,* რაც ზრდასა და განვითარებას ნიშნავს რესურსების ეფექტური მენეჯმენტის გზით. სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციები გათვლილია არამარტო მოგებაზე მიკრო დონეზე, არამედ ეკონომიკურად ეფექტურ მაკრო–სოციალურ შედეგზე აწმყოსა და მომავალში;

*სოციალურ–კულტურული მდგრადობა* კულტურული მრავალფეროვნების, ღირებულებების და რეგიონში არსებული პრაქტიკული საქმიანობის შენარჩუნებას მოიცავს; ასევე, სოციალურ ინტეგრაციას მოქალაქეობრივ უფლებებთან და მოვალეობებთან ერთად;

*პოლიტიკურ–ინსტიტუციონალურ მდგრადობაში* დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება მოიაზრება. ისინი პასუხისმგებელი არიან საჯარო პოლიტიკის, ინსტიტუციონალური მოწყობის და პოლიტიკურ–სოციალური სტრუქტურების წარმომადგენლობაზე, რომლებიც მხედველობაში იღებენ მდგრადობის კრიტერიუმებს;

*ეკოლოგიური და გეოგრაფიული გარემოს მდგრადობა* მიემართება განვითარების პროცესის ფიზიკურ საფუძველს, რომლის მიზანია იმ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად მოხმარება და დაცვა, რომელთა გამოყენება ხდება ტურისტულ აქტივობებში; აქვე მოიაზრება თანამედროვე ეკოსისტემების აღდგენა და დაცვა ანთროპოლოგიური ზემოქმედებისაგან (Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C.,2005: 53).

იმდენად რამდენადაც, ბუნებრივი გარემო რეკრეაციული სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მკვლევარებს აუცილებლად მიაჩნიათ ა) ტურისტული ობიექტის ბუნებრივი გარემოს რეკრეაციული კომფორტულობის ხარისხისა და ბ)

ბუნებრივი კომპლექსების მდგრადობის განსაზღვრა ტურისტული დატვირთვის მიმართ. რადგან ადამიანის ტურისტულ–რეკრეაციული აქტივობა უშუალო კავშირშია ბუნებასთან, მისთვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი ლანდშაფტების სისუფთავე და ოპტიმალური ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება (დავითაია და სეფერთელაძე, 2014, გვ. 201; 205).

როგორც წესი, ტურისტული საქმიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ფიზიკურ– გეოგრაფიულ (ტერიტორია) და აბსტრაქტულ (სოციალური აქტორები) სივრცეებს, რომელთა ერთობლიობა მოხმარებასა და ათვისებასთან ერთად, ლოკალური ბუნებისა და კულტურის დაცვასაც მოითხოვს. ექსპერტთა აზრით (da Cunha, S. & da Cunha, J., 2005:43), მთავარი ჰიპოთეზა ტურიზმის გავლენის შეფასებისას ადგილობრივი რეგიონისა და თემის განვითარებაზე არის ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს მზარდი ტურისტული საქმიანობა მდგრად განვითარებას ისეთი პოზიტიური შედეგებით, როგორიცაა სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. თავისთავად, მდგრადი განვითარება გულისხმობს, ბუნებრივ გარემოზე მინიმალური ნეგატიური გავლენით ზემოთაღნიშნული დადებითი შედეგების მიღწევას. ასეთი ინტეგრირებული ქმედება კი სისტემურ კვლევას უნდა ეფუძნებოდეს, რომლითაც წინასწარ განსაზღვრული იქნება ნებისმიერი ქმედების, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და ბუნებრივ-გეოგრაფიულ სტრუქტურებზე.

დღეისათვის, როდესაც საუბარია მდგრადი ტურიზმის განითარებაზე , განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა კულტურული ტურიზმი, სადაც წინა პლანზე გამოდის კონკრეტული რეგიონის ან თემის ტრადიციების, თვითმყოფადობის გაცნობა-გაზიარება (Lu, & Nepal, 2009). არასწორი მენეჯმენტის პირობებში კი, ამ თვითმყოფადობის შენარჩუნება ხშირად საფრთხის ქვეშ დგება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია:

- ✓ კლიმატური ცვლილებების კვლევა და ამ პრობლემის დაკავშირება ტურიზმთან (Scott, 2011);

- ✓ ერთ-ერთი მიმართულებაა ტურისტთა ქცევის ცვლილება (behavioural change) და მისი მარკეტინგული შესწავლა (Cooper, et.al., 2008);
- ✓ აქტუალური ხდება მდგრადი განვითარების ტურიზმის მენეჯმენტი ანუ კონკრეტული სტრუქტურებისა და საქმიანობების მართვა, სასურველი შედეგების მისაღწევად (Bramwell, & Lane, 2011);
- ✓ და ბოლოს, ტურიზმის სექტორის განვითარების ახალი ხედვა სიღარიბის შემცირებისა და დაძლევისათვის. ამ მიმართულებით, ტურიზმი მჭიდროდ უკავშირდება სხვადასხვა იდეოლოგიებსა და სოციალური უთანასწორობის პრობლემას კონკრეტულ საზოგადოებებში (Tucker, & Boonaboana, 2012).

დღეისათვის, ტურიზმის მდგრადი განვითარების კვლევისას, მეტად აქტუალური ხდება *ტრანსდისციპლინური მიდგომა.* ტრანსდისციპლინარიზმის კონცეფციის მთავარი არსიც სწორედ ისაა, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა. მისი მიზანია წარმატებული შედეგის მისაღწევად აკადემიური ცოდნისა და ემპირიული გამოცდილების ერთიან სისტემაში თავმოყრა და ახალი ხედვის შემუშავება, რათა არ მოხდეს ამ ორი მიმართულების მხოლოდ პარალელური განვითარება (ხელაშვილი, 2017, 132–133).

ტრანსდისციპლინარიზმისათვის დამახასიათებელია:

ა) სოციალურად ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე ფოკუსირება;

ბ) დისციპლინური პარადიგმების (ცოდნის) საზღვრების გადალახვა და ინტეგრაცია;

გ) თანამონაწილეობითი კვლევა; და

დ) სხვადასხვა დისციპლინათა ცოდნის გაერთიანება (Pohl, 2010, გვ. 66).

ტრანსდისციპლინური კვლევა მიემართება ყველა ისეთ თემატურ დარგს, როგორიცაა მდგრადი განვითარება, მიგრაცია, ჯანდაცვა, კულტურული მრავალფეროვნება, მშვიდობის მშენებლობა და სხვა სოციალურად ურთიერთდაკავშირებული საკითხები. იმისათვის, რომ პრობლემას სწორად მიემართებოდეს, ტრანსდისციპლინურმა კვლევამ უნდა განსაზღვროს, გაანალიზოს და დაამუშაოს საკითხი ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას მისი:

ა) კომპლექსურობა;

ბ) პრობლემის განსხვავებული კუთხეებიდან დანახვა;

გ) კავშირი აბსტრაქტულსა და ემპირიულ ცოდნას შორის; და

დ) ცოდნისა და პრაქტიკის ისეთი შერწყმა, რომელიც შედეგად საერთო სარგებელს (Common Good) მოიტანს.

„საერთო სარგებლად/კეთილდღეობად“ მიჩნეულია ფასეულობათა ისეთი სისტემა, როგორიცაა მაგალითად, „მდგრადობა“ მდგრადი განვითარების შესწავლისას, „საყოველთაო მშვიდობა“ მშვიდობის მშენებლობის კვლევისას, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“ ჯანდაცვის სისტემის პრობლემის ანალიზისას ან „თანასწორობა“ გენდერული თუ მულტიკულტურული კვლევისას (Pohl, 2010, გვ. 69).

ტრანსდისციპლინურ კვლევებში ერთდროულად მონაწილეობენ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და პრაქტიკოსები. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ყველა ის სტრუქტურა, რომელიც თავისი საქმიანობით ტურისტული ინდუსტრიის კონკრეტულ დარგს ან სივრცეს უკავშირდება. მათ თანამონაწილეები ანუ *სტეიქჰოლდერები* ეწოდება. ტრანსდისციპლინური მკვლევარის მთავარი მიზანი ისაა, რომ აკადემიური პოზიციიდან შეისწავლოს პრაქტიკოს თანამონაწილეთა გავლენა საკვლევ ობიექტზე. სტეიქჰოლდერების ანალიზი, ერთგვარი მიდგომაა ცოდნის შესაქმნელად ერთ პროცესში ჩართული ინდივიდებისა და ორგანიზაციების შესახებ, რათა უკეთ იქნას შესწავლილი მათი აქტივობის მიზნები, ინტერესები და ურთიერთობები იმ რესურსების გავლენის შესაფასებლად, რომელსაც ისინი ფლობენ და ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (Varvasovsky, and Brugha, 2000: 338). ასეთი ანალიზი საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, გამოავლინოს სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესები, მხარი დაუჭიროს მათ ან გათვალოს რისკები (Jhala, and Christian, 2012).

მთავარი გამოწვევები, რაც ტრანსდისციპლინური მკვლევარის წინაშე დგება არის პრობლემის *განსაზღვრა (სტრუქტურირება), ინტეგრაცია* და *შედეგების განხორციელება,*

კონკრეტულად კი: პირველი, ტრანსდისციპლინური მიდგომა საკვლევ პროცესში ჩართულ განსხვავებულ სტრუქტურებს მოიცავს, რომლებიც საკითხს განსხვავებული კუთხით ხედავენ, ამიტომ შესაძლოა ერთისათვის პრობლემა, არ იყოს საკამათო სხვისთვის; მეორე, *ინტეგრაცია* თეორიული და ემპირიული ცოდნის კომბინირებას გულისხმობს, რაც აკადემიური მკვლევარისა და პრაქტიკოსის ხედვათა შეთანხმებას მოითხოვს. ეს ხშირად, მსგავსი კვლევების მთავარ პრობლემად მიიჩნევა. მესამე სირთულე, შედეგების *განხორციელება* ანუ „ექსპერიმენტული იმპლემენტაციაა", რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში, აპრობირებული მეთოდოლოგია უნდა შეიცვალოს და თანამშრომლობა თავიდან შედგეს (Pohl, 2010, გვ. 70).

ტრანსდისციპლინური მიდგომით, რომელიც პირველ რიგში თანამონაწილეთა იდენტიფიცირებას და მათ შორის არსებული კოოპერირების ხარისხის დადგენას გულისხმობს, კვლევა ვაწარმოეთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, სადაც მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი, პრომეთეს მღვიმე მდებარეობს და გორდში, ოკაცეს კანიონის ტურისტული ადგილის მიმდებარე სოფელში. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა შეგვექმნა სპელეოტურიზმის მდგრადი განვითარების სურათი საკვლევ რეგიონში.

## 2.2. სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმი

ბოლო 50 წლის განმავლობაში ტურიზმი მსოფლიო მოსახლეობის შრომითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო გახდა, რომელიც სივრცობრივად, ზრდის მეტად მაღალი პროცენტით გამოირჩევა. 1980-იანი წლების შემდეგ, პროცესების ინტერნაციონალიზაციამ და ეროვნული ეკონომიკების ღიაობამ, ტურიზმი გლობალური ეკონომიკის მეორე სექტორად აქცია ფინანსური ინდუსტრიის შემდეგ (da Cunha, S. & da Cunha, J., 2005:48). გაუმჯობესებულმა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემებმა, რომელთაც შეამცირეს მგზავრობის დრო და ფასი, პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ასევე მზარდმა ბიზნეს-ტურებმა და დღესასწაულებმა, მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ტურიზმის გაფართოებისა და

საზღვრების გახსნის პროცესს. როგორც ცნობილია, ტურისტული პროდუქტის თავისებურებიდან გამომდინარე, მისი მოხმარება მხოლოდ შეთავაზების ადგილზეა შესაძლებელი (ხელაშვილი, 1992; Cooper, et. al., 2008; მეტრეველი, 2011), რითაც სტრატეგიულ როლს თამაშობს ლოკალური განვითარებისათვის. ქმნის რა ახალ სამუშაო ადგილებს, ზრდის დასაქმებულთა შემოსავლებს და ხელს უწყობს ინვესტირებას ახალი ბიზნესების შესაქმნელად.

ტურიზმის განვითარებას ნეგატიური მხარეც აქვს, რაც ხშირად გარემოს დაბინძურებაში, წყლის რესურსების გადაჭარბებულ მოხმარებაში, ხმაურის მომატებაში, დაცული ტერიტორიების ხელყოფაში, ეროვნულ იდენტობასა და კულტურაზე უარყოფით ზეგავლენაში გამოიხატება. აღნიშნული გავლენის მასშტაბები (დადებითისა და უარყოფითის) კი დიდადაა დამოკიდებული ადგილოვბრივ საზოგადოებებზე, მათ სტრატეგიებზე და ქმედებებზე მიაღწიონ განვითარების სასურველ მიზანს ბუნებრვი თუ კულტურულ-სოციალური გარემოს ოპტიმალური სტანდარტების დაცვით.

ასეთი ზემოქმედების განსაზღვრისათვის ყველაზე ხშირად მიმართავენ ეკონომიკური გავლენის შეფასებას მოსახლეობის შემოსავლებზე და სამუშაო ადგილების შექმნის სიხშირეზე, თუმც ნაკლებადაა შესწავლილი ტურიზმის ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული მოქმედება რეგიონის მოსახლეობაზე და გეოგრაფიულ გარემოზე კომპლექსურად.

დღეისათვის, მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებებით კვლევა, როგორიცაა ეკო–, საკონგრესო, საკურორტო, გამაჯანსაღებელი და სამედიცინო, ასევე სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმი (Pro-poor Tourism) (“New Trends”, 2014:11). ითვლება, რომ ტურიზმის სექტორის ამ თითოეული მიმართულების განვითარება შესაძლებელია წარმართოს ისე, რომ მიკრო დონეზე ხელშემწყობი გახდეს მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებადი ქვეყნების ადგილობრივ თემებს, რომელთაც მრავალი მიზეზის გამო, არ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე, ცხოვრობენ ჰიფსომეტრიულად მაღალ ან იზოლირებულ ადგილებში, მათი შემოსავლები მწირია და არასტაბილური. თუმცა, სწორედ ასეთი მცირე სასოფლო თემები ინახავენ იმ თვითმყოფად ეთნოკულტურულ ფასეულობებს

და ტრადიციული ყოფის ნიმუშებს, რაც აქტიურად იზიდავს ვიზიტორებს განვითარებული ქვეყნებიდან (“Major issues”, 2005:1). გარდა ამისა, შესაძლებელია მცირერიცხოვანი სასოფლო თემებისათვის ტურიზმი ეკონომიკური განვითარების არსებითი სტრატეგია აღმოჩნდეს (“Tourism and Local”, 2004:3).

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით სიღარიბის მიზეზებია:

- ✓ შემოსავლების ნაკლებობა მინიმალური/ძირითადი მოთხოვნილებების — საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, ჯანმრთელობის და განათლების დასაკმაყოფილებლად;
- ✓ უუფლებობა, მარგანალიზაცია და მიუწვდომლობა საჯარო ინსტიტუტების მიმართ;
- ✓ დაუცველობა/მოწყვლადობა ჯანმრთელობის, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების თუ სხვა რისკების მიმართ, საიდანაც სწრაფი რეაბილიტაცია (ეკონომიკური, სოციალური, ფიზიკური) ვერ ხერხდება;
- ✓ გარდა ამისა, სიღარიბეს განაპირობებს ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, შემოსავლების არათანაბარი განაწილება და სხვ. (“Major issues”, 2005:1).

როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიკური ზრდას დიდი როლი ენიჭება სიღარიბის დაძლევაში. თუმცა, მხოლოდ ამ ფაქტორის დადებით ზემოქმედებაზე საუბარი არ არის სწორი. ცხადია, მოსახლეობა ვერ დაელოდება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მკვეთრი ცვლილებების შედეგებს, რადგან ამ გზით ცხოვრების დონის ამაღლება ისე, რომ ის შესამჩნევი გახდეს რიგითი მოქალაქეებისათვის, ათწლეულებს მოითხოვს. ასეთ ქვეყნებში, რომლებიც რეფორმების გატარებას საჭიროებს და სიღარიბის მასობრივი შემცირების ეფექტები ნაპოვნი ჯერ არ არის, აქტიურია საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება, მაგრამ ამ პროგრამებს უმეტესად, დროებითი ეფექტი აქვს; გარდა ამისა, სოციალური დაცვის სისტემაში ხშირია კორუფციისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები (შუბლაძე, 2006:15). ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ყველაზე ეფექტური სიღარიბის შემცირებისათვის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სათანადო შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობაა, რათა იყონ დაცული ეკონომიური, ბუნებრივი თუ სოციალური

რისკებისაგან. ამ მიმართებით, ტურიზმი შეიძლება ის ეფექტური იარაღი აღმოჩნდეს, რომელიც ბიძგს მისცემს სიღარიბის შემცირებას, ლოკალურ გარემოზე მორგებული სტრატეგიების შეთვაზებით (“Major issues”, 2005:2).

მსოფლიოში, ბოლო დრომდე ტურიზმის განვითარება არ იყო ორიენტირებული სიღარიბის დაძლევაზე, მას უფრო მაკროეკონომიკური ეფექტი ქონდა. დღეისათვის კი, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, მეტ ყურადღებას აქცევენ დარგის დიდებით გავლენას მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენაზე და ამ გზით სიღარიბის შემცირებაზე. ზოგადი ეკონომიკური წინსვლა ყოველთვის არ გულისხმობს სიღარიბის დაძლევას. ამ შედეგის მისაღწევად, მიზანმიმართული პოლიტიკაა საჭირო, რომლის სამიზნე ჯგუფი რეგიონის ღარიბი მოსახლეობა უნდა იყოს. განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ექსპერტები იყენებენ ტერმინს „პრო–ღარიბული“ (pro-poor) (შუბლაძე 2006:24), რათა აჩვენონ განსხვავება ზოგად ეკონომიკურ განვითარებას და იმ ტიპის განვითარებას შორის, რომელიც უშუალოდ მიმართულია მოსახლეობის ერთი ნაწილის დასახმარებლად, რათა თავი დააღწიონ სიღარიბეს. უფრო მეტიც, ცალკე გამოყოფენ სიღარიბის დონის შემცირებაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას „pro-poor growth“ (“Major issues”, 2005:2).

1990–იანი წლების შემდეგ ქართულ ოჯახში სწრაფი ტემპით გაუარესდა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეიცვალა შინამეურნეობის სოციალურ–დემოგრაფიული ტიპი, გაიზარდა ეკონომიკურად არააქტიური წევრების რიცხვი. ამ ათწლეულის გაღარიბებული მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო საკმაოდ მაღალი პროფესიული მობილობა. არსებული კრიზისი სხვადასხვაგვარად აისახა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაზე. რადგან სოფლად მიწა კრიზისის ძლიერ საკომპენსაციო ფაქტორს წარმოადგენს, სწორედ ამან გამოიწვია 1990–იან წლებში ქალაქებიდან სოფლად დროებითი მიგრაციის გავრცელება. ამასთანავე, სოფლად არც აბსოლუტურ სიღარიბეს ჰქონია ადგილი, როგორც ეს ქალაქში მოხდა, რადგან ადგილობრივი თემი ყოველთვის ახერხებდა თავისი წევრებისათვის მეტ–ნაკლები უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმც, ქალაქთან შედარებით, ფულადი შემოსავლების დიდი

სიმწირის გამო, ასევე ინფრასტრუქტურის და სოციალური შეღავათების მოშლით, 1990–იანი წლების მეორე ნახევრიდან სოფლის მოსახლეობა მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა (თარხან–მოურავი, 1998:40). გახანგრძლივებული კრიზისის პირობებში შექმნილი სიტუაციიდან, სოფლის მოსახლეობის გამოყვანის გზების მიება საქართველოს ხელისუფლებისათვის მწვავე პრობლემად იქცა. ასეთ შემთხვევაში ინდივიდებზე გაცემული სოციალური დახმარება აზრს კარგავს. იმ ოჯახებში, სადაც შრომისუნარიანი ადამიანური რესურსები არსებობს, სიღარიბისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია სამუშაო ადგილების შექმნით. ამ მიმართებით კი, ერთ–ერთ მნიშვნელოვან რეზერვს ტურიზმის დაჩქარებული განვითარება წარმოადგენს. დიდი ხანი არ არის, რაც ასეთი სტრატეგია მნიშვნელოვანი გახდა. 2002 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბერგში გამართულ მსოფლიო ფორუმზე, პირველად იქნა აღიარებული ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი (შუბლაძე, 2006: 48–52).

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ საქართველოში, ტურიზმის განვითარების მთავარ მიზანს არა სიღარიბის დაძლევა, არამედ უპირველესად, თავად დარგის განვითარება წარმოადგენს თანამდევი დადებითი შედეგებით, ეს პროცესი მაინც დაიწყო 2000–იანი წლების მეორე ნახევრიდან და ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპით ხასიათდება. ჩვენი კვლევის ობიექტების შერჩევაც ყუმისთავის მღვიმის, ოკაცეს კანიონის, წყალტუბოს, საირმისა და ნუნისის საკურორტო ადგილების სახით, ამითაა განპირობებული.

როგორ შეიძლება ბოლო პერიოდის განმავლობაში შეფასდეს საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა?

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სამსახური ორ ინდიკატორს — 60%–ზე და 40%-ზე ნაკლები მედიანური მოხმარების წილს და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტულ რაოდენობას იკვლევს („საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2011“, 2012:7–9). თითოეული ინდიკატორის განხილვა წარმოდგენას შეგვიქმნას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რეალური ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მედიანას განსაზღვრისათვის ექსპერტები მიმართავენ

საშუალო მოხმარებას და იღებენ იმის 60%-ისა და 40%-ის ქვევით მყოფ მოსახლეობას, რომელიც გვიჩვენებს უთანაბრობის სიდიდეს (საქართველო „ჯინის“ კოეფიციენტით“, 2011).

2009 წლის ბოლოსათვის, საქართველოს მოსახლეობის 21 პროცენტის მედიანური მოხმარება 60%-ზე ნაკლები, ხოლო 8,8 პროცენტის 40%-ზე ნაკლები იყო („საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2011“, 2012:8). 2011 წლისათვის ეს მონაცემები თითქმის არ შეცვლილა და მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ, საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტი, ხოლო 40%-ს ქვემოთ 10 პროცენტზე ოდნავ ნაკლები იმყოფებოდა (საქართველო „ჯინის“ კოეფიციენტით“, 2011).

მოცემული სიდიდის უკეთ საილუსტრაციოდ, თუკი დავუშვებთ, რომ შინამეურნეობის 1 სულზე თვიური ხარჯვა 2011 წელს შეადგენდა 190,3 ლარს, ჩვენი მოსახლეობის 20 პროცენტი მოიხმარდა 114,18 ლარს ანუ დაახლოებით 3,8 ლარს (2,2$-ს) დღეში, ხოლო მოსახლეობის  თითქმის 10 პროცენტი 76,12 ლარს, ანუ 2,5 ლარს (1,4$) დღეში (ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 2011 წლისათვის ≈ 1$:1,67GEL). თუკი ამ შედეგებს შევადარებთ იმავე წელს საშუალო მომხმარელის საარსებო მინიმუმს, რაც შეადგენდა  139.8 ლარს თვეში ანუ 4,6 ლარს (2,7$) დღეში, ვნახავთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტი ღარიბი იყო („საქართველოს სტატისტიკის“, 2015). (მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მიიჩნევა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღიურად 2.5 საერთაშორისო დოლარზე ნაკლებს მოიხმარს).

2014 წლისათვის, საშუალო თვიური ხარჯები შინამეურნეობის ერთ სულზე 265,4 ლარია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2014 წლის ინფლაციის ფონზე, დღიური მოხმარების თითქმის იგივე მაჩვენებლებს ვღებულობთ. ანუ მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა თვეში მოიხმარდა 159,4 ლარს, რაც დღეში 5,3 ლ ანუ 2,4$-ია, ხოლო 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა 106,2 ლარს, ანუ დღეში 3,5 ლარს, იგივე 1,5$-ს (ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 1$:2,2GEL). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2014 წლისათვის სიღარიბის ზღვარს მიღმა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 11,6% იმყოფებოდა („საქართველოს

სტატისტიკის“, 2015). მსოფლიო ბანკის გამოთვლით, 2014 წელს საქართველოს ღარიბი მოსახლეობის 39 პროცენტი თვითდასაქმებული იყო, აქედან 71 პროცენტი სოფლის მეურნეობაში (“Georgia:”, 2016:37-38).

2016 წლის მონაცემებით, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 141.7 ლარი შეადგინა ანუ 4.7 ლარი (1.8$) დღეში. თუკი ჩავთვლით, რომ ამ წელს მოსახლეობის 20.6 პროცენტი იყო საშუალო მედიანური მოხმარების 60%–ის ქვევით და ავიღებთ 1 სულზე საშუალო თვიურ ხარჯვას (289.7 ლარი) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „შინამეურნეობის ხარჯები“), გამოდის, რომ მოსახლეობის 20.6 პროცენტი თვეში მოიხმარდა 173.8 ლარზე ნაკლებს ანუ 5.7 ლარს დღეში. 2016 წლის ინფლაციის დონის მიხედვით (საშუალოდ 1$: 2.5 GEL), ეს მაჩვენებელი 2.2$–ია. შესაბამისად, იგივე ნიშნული მედიანური მოხმარების 40%–იანი ზღვარის ქვემოთ არსებული მოსახლეობისათვის (7.1%) 3.8 ლარს ანუ 1.5$–ს შეადგენს. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მონაცემები დინამიკაში თითქმის უცვლელია (ცხრილები #1 და #2 და დიაგრამები #1 და #2). ამდენად, სიღარიბე საქართველოში კვლავ დიდ პრობლემად რჩება.

**ცხრილი #1**

**საქართველოს ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები (%)**

| წლები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მედიანური მოხმარების 60%–ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი | 22.7 | 23 | 22.4 | 21.4 | 21.4 | 20.1 | 20.6 |
| მედიანური მოხმარების 40%–ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი | 10 | 10.4 | 9.3 | 8.4 | 8 | 7.1 | 7.1 |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დიაგრამა #1




*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილი #2

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე (ლარში)

| წლები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე (ლარი) | 170 | 190.3 | 212.2 | 242.1 | 265.4 | 279.6 | 289.7 |

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „შინამეურნეობის ხარჯები"

დიაგრამა #2




*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „შინამეურნეობის ხარჯები"

საქსტატის მონაცემებით, 2011-2015 წლებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. თუმცა, 2016 წელს იმ მოსახლეობის წილი, რომელიც აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სიღარიბის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სოფლად. 2016 წლის მონაცემებით, ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 16.9% ითვლება ღარიბად, ხოლო სოფლად მაცხოვრებლების 25.5%. ასევე 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ მოსახლეობის წილი, ვინც საშუალო მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს. 2016 წელს სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას უკავშირდება (კაკაურიძე, 2017).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ისეთი ინიციატივებისა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და მათ თანაბრად გადანაწილებას. ამ მიმართებით ტურიზმის სექტორის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა აუცილებლად მიგვაჩნია.

# თავი 3. საქართველო ტურიზმის ქვეყანა: ისტორიულ–გეოგრაფიული კონტექსტი

## 3.1. საქართველოს რეკრეაციული რესურსები და საბჭოთა ეპოქის ტურისტულ–რეკრეაციული პოტენციალი

კურორტების შექმნა საქართველოში მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. ათვისებული იქნა კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი; აგარაკად იქცა კოჯორი. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის არსებობდა თბილისი-კოჯორის ოთხი მარშრუტი ქვეითი ტურისტებისათვის:

1. თბილისი -- წავკისი -- კოჯორი -- დიდება --კიკეთი -- სამადლო -- წყნეთი-- თბილისი (18-20 კმ.).
2. ფუნიკულიორის პლატო -- ოქროყანა -- წავკისი -- კოჯორი (8-10 კმ.).
3. ფუნიკულიორის პლატო -- უძო -- კოჯორი (8-9 კმ.).
4. თბილისი -- წყნეთი -- უძო --კოჯორი --წავკისი --თბილისი (16-17 კმ.) (გოზალიშვილი, 1966:3)

მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება შავისზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ათვისება: სოხუმი, აღიარებული იქნა მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კლიმატურ კურორტად. აშენდა საკურორტო კომპლექსი გაგრაში, რუსეთის იმპერიაში უდიდესი სანატორიუმი გულრიფშში, პანსიონატები და აგარაკები აჭარის სანაპიროზე (ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი). მაგრამ საკურორტო რესურსების ათვისების ხარისხი მაინც უმნიშვნელო იყო, ხოლო დამსვენებელთა სოციალური ბაზა მეტად შეზღუდული (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:42). კურორტების ნაწილი კერძო საკუთრებაში იყო. მაგალითად, გაგრა ეკუთვნოდა პრინც ოლდენბურგს, ბორჯომი და აბასთუმანი მეფის საგვარეულოს (რომანოვებს), წყალტუბო აზნაურ იოსელიანებს, ახალი ათონი სასულიერო უწყებებს და ა.შ. რაც შეეხება ტურიზმს, იგი ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო და საქართველოს ლამაზი ბუნებისა და ისტორიული ძეგლების სანახავად ჩამოდიოდნენ მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტები. ერთადერთ მნიშვნელოვან მაგისტრალად ითვლებოდა საქართველოს სამხედრო გზა (კობახიძე, 1971:30).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კერძო აგარაკების ნაციონალიზაცია განხორციელდა, ხოლო მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, სადაც შეეძლოთ დაესვენათ და ემკურნალათ მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომლთათვისაც მანამდე ეს მიუწვდომელი იყო. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბით დაიწყო. საბჭოთა ტურიზმის ამოცანა იყო: მშრომელთა კეთილდღეობის და კულტურის საერთო ზრდა, ტურიზმის ხელმისაწვდომობა ფართო მასებისათვის, პირველ რიგში კი ახალგაზრდობისათვის, რათა მიეღო კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ტურიზმისაგან მკვეთრად განსხვავებული ახალი ფორმა და შინაარსი (ადელენგი, 1956:7–10).

საქართველოს ტერიტორიაზე რევოლუციამდე ფუნქციონირებდა სულ 6 სანატორიუმი 367 საწოლით. საბჭოთა ხელისუფელბის დამყარებისთანავე, 1921 წლის 20 მაისს, ხელი მოეწერა რევკომის დეკრეტს სახელმწიფო მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების ნაციონალიზაციის შესახებ. ასე ჩაეყარა საფუძველი საკურორტო მშენებლობას. 1939 წლისათვის სანატორიუმების რაოდენობა 6-დან 131-მდე გაიზარდა, ხოლო საწოლთა რიცხვი 367-დან 14179-მდე. ყოველივე ამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი.კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო მეთოდური ხელმძღვანელობის ინტენსიურმა კვლევითმა და საძიებო სამუშაოებმა. ამ დროისათვის შესწავლილი და სისტემატიზირებული იყო რესპუბლიკის საკურორტო რესურსები (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:6).

გარდა დადგენილებებისა, საქართველოს პროლეტარული ტურიზმის და ექსკურსიათა საზოგადოება პერიოდულად გამოსცემდა დებულებებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ რაიონული საბჭოს ძირითადი ამოცანებია: ტურისტული მუშაობის განვითრება და მთელი ტურისტული მუშაობის დაქვემდებარება სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისათვის“ (დებულება საოლქო, 1932:3).

საქართველოში თანამედროვე ტურიზმის ფუძემდებლად ითვლება გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც 1921 წელს მოაწყო 145 კაციანი 2 დღიანი ტურისტული

ლაშქრობა "გაფრენა", 1922 წელს კი 15 დღიანი ლაშქრობა მარშრუტით — თბილისი - კოჯორი-ორბეთი - ჩხიკვთა - თეთრიწყარო - ბოლნისი - ჩათახი - წინწყარო - ტაბახმელა - თბილისი. მასში მონაწილეობდა 21 ადამიანი. 1924 წელს დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას ხელმძღვანელობს გ. ნიკოლაძე. ამავე წელს მისი თაოსნობით მოწყობილი 25 დღიანი ტურისტული ლაშქრობით, რაჭა-ოსეთში საფუძველი ჩაეყარა სპორტული ტურიზმის განვითარებას (არაბული, 2012:24).

სხვადასხვა სამედიცინო პროფილის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების განსაკუთრებული მრვალფეროვნების გამო, რესპუბლიკის 102 კურორტიდან, 6 საკავშირო, (ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, ახალი ათონი, ბიჭვინთა, წყალტუბო), 35 რესპუბლიკური, 51 კი ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო. საბჭოთა კავშირის საკურორტო ტურისტულ რაიონებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს. იგი მართებულად ითვლებოდა საკავშირო ჯანმრთელობისა და საბჭოთა კავშირის საკურორტო ცენტრად (ნოდია, 1976:6).

მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიკური დაცემის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი. 50-60-იან წლებში დაიწყო ტურისტული კამპანიის გააქტიურება, სასტუმროების მასობრივი მშენებლობა.

მუშა-მოსამსახურეთა რეალური ფულადი შემოსავალის გადიდებამ გამოიწვია ცვლილება ხარჯების სტრუქტურაში. თუ 1950-იან წლებში მშრომელთა ხელფასი ხმარდებოდა მხოლოდ კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესყიდვას, 70-იანი წლებიდან დანახარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დასვენების ორგანიზაციაზე დახარჯულიმა თანხამ. საკურორტო მეურნეობა თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც მნიშვნელოვანი არამწარმოებლური დარგი, რომელიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის ზოგიერთი რაიონის მეურნეობის სტრუქტურაზე და მოსახლეობის დასაქმებაზე.

1960-1970 წლებში საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი გადაიქცა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სერიოზულ ფაქტორად. სულ ამ დარგში დასაქმებული იყო 25 ათასი კაცი, საერთო მუშა-მოსამსახურეების რაოდენობის 1,5%.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმმა მოიწონა საქართველოს პროფსაბჭოს მიერ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და ტურისტული ბაზების ქსელის განვითარებისათვის დასახული გეგმა (დადგენილება, 1969:6-7).

საკურორტო მეურნეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის ტრანსპორტის მუშაობაზე. მგზავრთა გადაყვანას ახორციელებდა სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი, დიდი იყო დამსვენებელთა და ტურისტთა ხვედრითი წილი, ხოლო საზღვაო ტრანსპორტზე ისინი შეადგენდნენ მგზავრთა ძირითად კონტიგენტს. დამსვენებელთა მომსახურებით იყო დაკავებული ისეთი მნიშვნელოვანი რკინიგზის სადგურები, როგორიც იყო სოხუმი, გაგრა, ბათუმი, წყალტუბო, ბორჯომი; სოხუმისა და ბათუმის ნავსადგურები; სოხუმის, გუდაუთის, ბათუმის აეროპორტები და ა.შ. საკურორტო-ტურისტულ მეურნეობის განვითარებამ განაპირობა საავტომობილო გზების (მაგალითად, გაგრა-რიწის ტბა-ავადჰარა, ჩოხატაური-ბახმარო) და რკინიგზის განშტოებების (ხაშური-ბორჯომი, ბორჯომი-ბაკურიანი, ხაშური-სურამი) მშენებლობა (კობახიძე, 1971:35).

კურორტების ფუნქციონირებასთან იყო დაკავშირებული აგროსაკურორტო კომპლექსების შექმნაც, რომლებიც უზრუნველყოფდა კურორტებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. საკურორტო მეურნეობა გადაიქცა მძლავრ ქალაქწარმომქმნელ ფაქტორად. კურორტების ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქი–კურორტები: ქობულეთი, ბორჯომი, წყალტუბო. ბალნეოლოგიური კურორტების საკურორტო მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოები, ფუნქციონირებდა მინერალური წყლის ჩამომსხმელი 16 საწარმო, რომელიც წელიწადში უშვებდა 400 მლნ-ზე მეტ ბოთლ სამკურნალო და სუფრის წყლებს (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:41).

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ძლიერი მხარე იყო ნაკლებად გამოხატული სეზონურობა. სანატორიუმების უმეტესობა ფუნქციონირებდა მთელი წლის მანძილზე. დაწესებულებების სიმძლავრე წლის ცივ პერიოდში შეადგენდა მათი მაქსიმალური სიმძლავრის 78%-ს.

1980-იანი წლების მიწურულს საქართველოში დაახლოებით 5 მლნ ტურისტი ჩამოდიოდა, რომლის მხოლოდ მეოთხედი იყო ორგანიზებული. ორგანიზებას ახდენდა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, სააქციო საზოგადოება "ინტურისტი", უცხოეთის ტურიზმის სსრ მთავარი სამმართველო და საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიურო "სპუტნიკი" (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:17-65).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურორტებზე გარკვეული პრობლემებიც არსებობდა, მაგალითად, საქართველოს შავი ზღვისპირა რაიონში პლაჟების წარეცხვა, რაც გამოწვეული იყო 1970-იან წლებში ენგურჰესის მშენებლობით, რის შედეგადაც 92 %-ით შემცირდა მყარი ნაშალი მასალის რაოდენობა; ასევე, 35 წლის მანძილზე საქართველოს სანაპიროებიდან ამოღებულ იქნა 35 მლნ პლაჟწარმომქმნელი მასალა, სხვადასხვა მშენებლობების გამო. არასწორად შენდებოდა ნაპირსამაგრი ჰიდროტექნიკური ნაგებობებიც. 1980-იან წლებშივე დაიწყო პლაჟების აღდგენის პროცესები, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთა მაღალპროფესიონალური გუნდი. მათი თაოსნობით მრავალი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

მიუხედავად ასეთი წინსვლისა, 1980-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოს რეკრეაციულ-რესურსული პოტენციალის 15 % იყო ათვისებული (მაგალითად, 2.3 ათასი მინერალური წყაროდან მხოლოდ 300 გამოიყენებოდა, საერთო დებიტით 40 მლნ ლიტრი) (პავლიაშვილი, 2011).

## 3.2. საქართველოს ტურიზმი 1990–იანი წლებიდან დღემდე

1990 წლიდან, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, ტურისტული ინდუსტრიის რეგრესი დაიწყო. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 300 ათასამდე ადამიანი საუკეთესო სასტუმროებში, სანატორიუმებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში განათავსეს, რის გამოც ტურისული და საკურორტო ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება მოხდა (ვ. შუბლაძე, 2004: 42). შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი კურორტი ისე არ განადგურებულა, როგორც ეს წყალტუბოში

მოხდა. არსებობს დოკუმენტაცია არაერთი ოფიციალური კორესპონდენციის სახით, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მაშინდელი ხელმძღვანელის, ო. შავიანიძისა, საქართველოს ხელისუფლების —— ქვეყნის მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის, „საქკურორტის“ პრეზიდენტის, წყალტუბოს გამგებლის და სხვათა მიმართ, დევნილების შესვლით შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ. მიმოწერები თარიღდება 1993–1994 წლებით, როდესაც აფხაზეთიდან გამოდევნილმა მოსახლეობამ დაიკავა ინსტიტუტის შენობა. მათ განთავსებას პირველ ეტაპზე არავინ ხელმძღვანელობდა. სრულიად განადგურდა როგორც საკურორტო, ასევე სამედიცინო დაწესებულების ინფრასტრუქტურა, კაბინეტ–ლაბორატორიები, აპარატურა, ბიბლიოთეკა; საფრთხე დაემუქრა თავად სამკურნალო წყლის წყაროებსაც. ინსტიტუტის 70 საწოლზე გაშლილ სამედიცინო ცენტრში ქაოსურად იქნა განთავსებული 300 დევნილი. დარბევას გადაურჩა სამხედრო სანატორიუმი, რომელსაც მკაცრი დაცვა ჰყავდა და არ დამდგარა საკითხი მისი დროებით საცხოვრებლად გამოყენებისა (შავიანიძე, 1995:150–161).

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა, შეიცვალა ტურისტული პროდუქტი და ბაზარი. ადგილობრივ ტურიზმში დომინირებდა ორი მიმართულება —— ზამთრის დასვენება ბაკურიანსა და გუდაურში და ზაფხულის დასვენება შავი ზღვის აჭარისა და კოლხეთის სანაპიროზე და მთის ზონაში მდებარე რამოდენიმე კურორტზე (შოვი, საირმე, ბორჯომ-ბაკურიანი, თბილისის დაბალი და საშუალომთიანი საგარეუბნო რეკრეაციული ზონა). მესამე ტიპის პროდუქტმა —— საკურორტო–სამკურნალო ტურიზმმა, დაკარგა თავისი ფუნქცია. ეს ყველაფერი განპირობებული იყო მომხმარებლის გადახდისუნარიანობის შემცირებით, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მოშლით, სატრანსპორტო და სამკურნალო ინფრასტრუქტურის განადგურებით (მეტრეველი, 2011:194).

1993 წელს, საქართველოს მიერ ”ტურიზმის  ქარტიისა და ტურისტის კოდექსის” აღიარების შემდეგ, ქვეყანა გაწევრიანდა მსოფლიოს ტურისტულ ორგანიზაციაში. 1997 წელს მიიღეს საქართველოს კანონი ”ტურიზმისა და კურორტების შესახებ”, რომლის მეორე თავის მეოთხე მუხლში *”სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების*

*დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისთვის ხელსაყრელ პირობებს".* 1998 წელს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ" ქვეყნის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვა-შენარჩუნების მიზნით. ამ დროიდან იწყება ტურიზმის რეაბილიტაციის პროცესი (ღუდუშაური, 2010:157).

1996-2000 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად მოიმატა სასტუმროების რაოდენობამ. ექსპლუატაციაში შევიდა 70-ზე მეტი სასტუმრო. 1999 წლის 1 იანვრის მონაცამებით, საქართველოში 211 სასტუმრო ფუნქციონირებდა, აქედან 35.1 % თბილისში, აჭარაში - 13.7 %, იმერეთში - 10.4 %, მცხეთა-მთიანეთში - 9.5 %.

სასტუმროების 35.1 % სახელმწიფო საკუთრება იყო, 64. 9% - ინდივიდუალური საწარმო, სააქციო საზოგადოებ, შ.პ.ს და ა.შ. ამ წლებში ჩამოსულ უცხოელ ტურისტთა რიცხვი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მათი 55 %- ზე მეტი დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ (კირვალიძე, 2004:206-208).

პირველი სტატისტიკური მონაცემები 1995 წლით თარიღდება, როდესაც აღირიცხა მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული 85 000 ვიზიტორი. 1998 წლიდან კი, იწყება ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლების დათვლა საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით. 1998-2000 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტების დანახარჯების დინამიკა იყო:

1. 1998 წელი - 750 მლნ ლარი
2. 1999 წელი - 800,9 მლნ ლარი
3. 2000 წელი - 826 მლნ ლარი

1999 წლის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, 6.8 %-ით გაიზარდა, ხოლო 2000 წლის მაჩვენებლი წინა წლის მაჩვენებელზე 3.2%-ით მეტი იყო (შუბლაძე, 2004:62-64).

2000 წლამდე ჯერ კიდევ არ იყო გაცნობიერებული ტურიზმის მნიშვნელობა, თუ რა როლის და წვლილის შეტანა შეეძლო ამ დარგს ქვეყნისა და მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

1998-2001 წლებში, საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის სწორად გააზრების მიზნით, არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვის შედეგად დამუშავებული პროექტების საფუძველზე, უცხოელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით შესწავლილ იქნა საქართველოში ტურიზმის განვითარების მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტები, დამუშავდა "საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამოქმედი პროგრამა", რომელიც ეყრდნობოდა შემდეგ პროექტებს:

- ✓ "ტურიზმის განვითარება და სასტუმროთა ქსელის შექმნა საქართველოში"- აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო (TDA) – 1998წ;
- ✓ "საქართველოს ტურიზმი"- ისრაელის ტურიზმის სამინისტრო, 1999წ;
- ✓ "სტრატეგიული რჩევები საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის"- TACIS, 2000 წელი;
- ✓ "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია"- TACIS, 2001 წელი.

2000 წლის შემდეგ ტურიზმში ინვესტიციებმა მოიმატა და 2007 წლისთვის 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა (ჯაფარიძე, 2012), ხოლო 2011 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სასტუმროებისა და რესტორნების მიმართულებით 13.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა („ტურიზმი", 2012). ამ წლებში მშენებლობის ფაზაში იყო ძირითადი სასტუმრო პროექტები, რომელთა შორის იყო საერთაშორისო ბრენდები - "რედისონი", "პარკ ჰაიატი", "კემპინსკი", "მერიდიენი", "ინტერ - კონტინენტალი". თბილისში სასტუმროების რიცხვი 25 %-ით გაიზარდა. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, კერძოდ, სასტუმრო მეურნეობაში ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა-ინვესტირება ტურიზმის სფეროს კიდევ უფრო გააქტიურებას ნიშნავდა.

თბილისში გაიხსნა ახალი აეროპორტი, მგზავრთა რაოდენობისა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლის ზრდამ 2007 წელს წინა წელთან შედარებით 18.7 %–ით მეტი შეადგინა.

2006 წელს ტურიზმში დასაქმებულთა რიცხვმა 17 000 მიაღწია, რაც 12%-იან ზრდას შეესაბამებოდა.

2007 წელს ჩამოსულ ტურისტთა რიცხვმა 1 მილიონს გადააჭარბა, რაც 1980-იანი წლების შემდეგ პირველად დაფიქსირდა.

2010 წელს მიზნობრივ ჯგუფებზე განხორციელდა მარკეტინგული კამპანიები, ბრიტანულ-ესპანურმა სარეკლამო კომპანიამ გადაიღო 52 წუთიანი ფილმი საქართველოზე, ასევე დამზადდა 2 სარეკლამო რგოლი ქართული ღვინის შესახებ და ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობებზე. ინტენსიური სარეკლამო კამპანია მიმდინარეობდა უკრაინაშიც.

2010 წელს საქართველო წარმოდგენილი იყო 14 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ ტურისტულ გამოფენაზე; თავად უმასპინძლა საერთაშორისო სამოგზაურო მედიის 20 პრეს-ტურს. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა 2 მლრდ აშშ დოლარს („მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები“, 2017:12), ხოლო ტურისტული ვიზიტების წილმა 43% შეადგინა, მაშინ როცა 2015 წელს ეს მაჩვენებელი 39% იყო.

საერთაშრისო ვიზიტორების რაოდენობა 2016 წელს 6 350 825 დაფიქსირდა. აქედან, საერთაშორისო ტურისტების (24 საათი და მეტი) რაოდენობა 2,714,773, რაც მთლიანი წილის 42,7%–ია. მატებით ხასიათდება (+4.4%) ერთდღიან მოგზაურთა კატეგორიაც. ვიზიტების გაზრდა დადებითად აისახება ტურიზმზე და შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. მზარდი რაოდენობრივი დინამიკის პირველ სამეულს აზერბაიჯანი (22%), ირანი (21%) და რუსეთი (19%) ქმნიან. („2016 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაში“, 2017).

იმერეთის რეგიონი გამოირჩევა საერთაშორისო ტურისტთა ვიზიტების სიხშირით. მთავარ მიმზიდველ რეკრეაციულ ობიექტებს დაცული ტერიტორიები წარმოადგენს, პრომეთეს (163 923) და სათაფლიის (85 507) მღვიმეებისა და ოკაცეს კანიონის სახით (73 113). ვიზიტორთა დინამიკის ამ მონაცემებით, აღნიშნული ტურისტული დანიშნულების ადგილები საქართველოს ყველაზე მონახულებად პირველ ხუთეულში შედის („2017 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა“, 2017).

# თავი 4. საქართველოსა და იმერეთის რეგიონის ბუნებრივ–რეკრეაციული დარაიონება და ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობების შეფასება

## 4.1. საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული დარაიონება

ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება იმ რთულ სამეცნიერო-შემეცნებით პროცესს წარმოადგენს, რომლის მიზანია ერთმანეთისაგან რაიმე მკაცრად განსაზღვრული ნიშნით განსხვავებული სივრცითი ერთეულების გამოვლენა. რეკრეაციული დარაიონების არსი მდგომარეობს საერთო-სახელმწიფოებრივი, რეგიონული ან ლოკალური დონის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემების (კომპლექსების) თანადაქვემდებარების გამოყოფასა და დადგენაში. რეკრეაციული რაიონი ყალიბდება რეკრეაციული მომსახურების სფეროში (საკურორტო მკურნალობა, ზოგადგამაჯანსაღებელი დასვენება, ტურიზმი) შრომის გეოგრაფიული დანაწილების პროცესში (კობახიძე, 1971:36).

სხვადასხვა რანგის რეკრეაციული რაიონების გამოყოფისას ძირითადი კრიტერიუმებია:

- ✓ ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ კულტურული რესურსების არსებობა, მათი კონცენტრაცია გარკვეულ ტერიტორიაზე;
- ✓ რეკრეაციული მომსახურების თვალსაზრისით ტერიტორიის გამოხატული სპეციალიზაცია;
- ✓ მატერიალური წარმოებისა და მომსახურებისს სფეროს შეუღლებული დარგების განვითარების დონე;
- ✓ დამსვენებლებისა და ტურისტების მომსახურებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წონა (კობახიძე, 1971:38).

რეკრეაციული რაიონი ყალიბდებდა საკურორტო მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმის სფეროში შრომის ტერიტორიული დანაწილების პროცესში, იგი შემდეგ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ✓ მისი სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა;
- ✓ მატერიალური წარმოების დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი) უნდა ემსახურებოდეს დამსვენებლებს და ტურისტებს;
- ✓ მომუშავე მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმული უნდა იყოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობაში ან მომსახურე დარგებში (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:65).

საქართველოს ცალკეული რეგიონების (აფხაზეთი, აჭარა) რეკრეაციული დარაიონების პირველი ცდები ეკუთვნის ე. კობახიძეს 1961-1964 წლებში, ხოლო მთელი საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება მან შექმნა 1966 წელს (კობახიძე, 1971:39), რომელშიც გამოყო შემდეგი საკურორტო-ტურისტული რაიონები:

1. აფხაზეთის
2. აჭარის
3. კოლხეთის
4. შოვი-უწერი
5. ბორჯომი-ბაკურიანის
6. თბილისის

აღნიშნული დარაიონების მიხედვით, ავტორი იმერეთის რეგიონს განიხილავს კოლხეთის საკურორტო-ტურისტულ რაიონში, ცალკე გამოყოფს ქუთაისის ქვერაიონს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ქუთაისისა და წყალტუბოს რეკრეაციულ კომპლექსებს. მათ მნიშვნელობას განსაზღვრავს წყალტუბოს უნიკალური ჰიდრომინერალური რესურსებისა და ქუთაისში ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების არსებობა.

რეკრეაციული მომსახურების ინტენსიური ზრდის ფონზე, საქართველოს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის რეგიონული თავისებურებების კვლევების საფუძველზე ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იქნა საქართველოს რეკრეაციული დარაიონების

სქემა, რომელსაც საფუძვლად უდევს რეგიონის საკურორტო-რეკრეაციული სპეციალიზაცია. აღნიშნული სქემის თანახმად, საქართველოში გამოყოფილია 11 საკურორტო-რეკრეაციული რაიონი:

1. აფხაზეთის;
2. აჭარის;
3. მესხეთ-ჯავახეთის;
4. ბორჯომ-ბაკურიანის;
5. კოლხეთის;
6. სვანეთის;
7. რაჭის;
8. სამხრეთ-ოსეთის;
9. აღმოსავლეთ-კავკასიონის;
10. თბილისის;
11. კახეთის.

იმერეთის რეგიონი აქაც გაერთიანებულია კოლხეთის ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონში და აქცენტი კვლავ გაკეთებულია წყალტუბოზე, როგორც სამკურნალო-ბალნეოლოგიურ კერაზე და ქუთაისზე, როგორც მსხვილ ტურისტულ ცენტრზე. (საქართველოს სსრ კურორტები, 1989).

იმერეთის რეგიონის შემადგენლობაში შედის ქალაქი ქუთაისი და 11 ადმინისტრაციული რაიონი. აქედან 7 (ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, ტყიბული, წყალტუბო, ხონი) მიეკუთვნება ქვემო იმერეთს, 4 კი (ზესტაფონი, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული) - ზემო იმერეთს. იმერეთის საერთო ფართობი მოიცავს 6356 კმ$^2$-ს; იგი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 9,2% შეადგენს (საქართველოს გეოგრაფია, 2003).

კ. ვადაჭკორია, ა.უშვერიძე და გ.ჯალიაშვილი კურორტების კლასიფიკაციისას ეყრდნობიან კლიმატურ დარაიონებას შავი ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავიდან აღმოსავლეთ საქართველოს ველების შედარებით მშრალ კლიმატამდე და სიმაღლებრივი ზონების მიხედვით. ეს საფუძვლად დაედო ქვეყნის ტერიტორიის დაყოფას ხუთ კლიმატურ-საკურორტო ზონად:

1. ზღვისპირეთის კლიმატურ-საკურორტო ზონა;
2. ვაკიანი (დაბლობიანი - ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლემდე) საკურორტო ზონა;
3. დაბალმთიანი (სიმაღლე 500-1000მ) კლიმატური საკურორტო ზონა;
4. საშუალო სიმაღლის მთის (ზღვის დონიდან 1000-2000მ-მდე) კლიმატური ზონა;
5. მაღალმთიანი (სიმაღლე ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მეტი) კლიმატური ზონა. (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:8-9).

ამ დაყოფის მიხედვით, ჩვენი საკვლევი სივრცე ––– წყალტუბოს ტალღოვანი ვაკე განეკუთვნება ვაკიან ზონას, ხოლო საირმე და ნუნისი დაბალ და საშუალომთიან ზონას (ორივე ნიშნული 950 მ–ზე ზ.დ.).

## 4.2. იმერეთის ტურისტულ–რეკრეაციული რაიონის საზღვრები და ფიზიკურ–გეოგრაფიული პირობების შეფასება

იმერეთს მკაფიოდ გამოხატული საზღვრები გააჩნია. მისი ბუნებრივი საზღვარი ჩრდილოეთით მიუყვება რაჭის ქედს, სამხრეთით მესხეთის, ხოლო აღმოსავლეთით ლიხის ქედს; რეგიონის დასავლეთ საზღვარი კი მდ. ცხენისწყალზე (ს. საჯავახოს ხიდამდე) გადის (საქართველოს გეოგრაფია, 2003:272). მისი ბუნების მრავალფეროვნება დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობამ და განსაკუთრებულმა გეომორფოლოგიურმა და კლიმატურმა პირობებმა განაპირობა. იმერეთი მოიცავს ორ დიდ გეომორფოლოგიურ ერთეულს -- *იმერეთის დაბლობს* ანუ *ისტორიულ „ვაკეს“ (კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილი)* და *ზემო იმერეთის მაღლობს (პლატოს).* იმერეთის ფიზიკურ–გეოგრაფიული დარაიონება სხვადასხვა დროს მოცემული აქვთ ლ. მარუაშვილს (1964, 1970), დ. უკლებას (1968, 1981), მ. ხარატიშვილს (1990), ზ. სეფერთელაძეს (2000). ჩვენს კვლევაში მივყვებით ო. ჩხეიძის გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური დარაიონების სქემას (ჩხეიძე, 2003; ჩხეიძე, 2004; ჩხეიძე, 2009).

იმერეთი მეტ–ნაკლები მასშტაბით მოიცავს სამ გეოგრაფიულ ოლქს: *კავკასიონის მთიანეთს, კოლხეთს და მცირე კავკასიონს.* ჩვენი საკვლევი სივრციდან:

- ✓ *კავკასიონის მთიანეთის ოლქში* ერთიანდება ასხის მასივი, კერძოდ: ასხის სამხრეთული დაბალი პლატოს (საჩიქვანო–თურჩუს) ქვერაიონი და კინჩხის ანუ ოკაცე–საწისქვილეს ქვაზულისა და გორდის მოსწორებული ზედაპირის ქვერაიონი. ქვეოლქისათვის დამახასიათებელია ნაწილობრივ მაღალმთიანი (ასხის მასივი) მთა–ხეობათა რელიეფი კარსტის ფართო გავრცელებით, ღრმად ჩაჭრილი მდინარეთა ხეობებით, კოლხური ტიპის ფართოფოთლოვანი და მუქწიწვიანი ტყეებით (ჩხეიძე, 2009:9). ტურისტულ–რეკრეაციული თვალსაზრისით, ჩვენს საკვლევ სივრცეში შედის სოფლების, გორდისა და კინჩხას ტერიტორიულ–რეკრეაციული სისტემები –– *გორდის საკურორტო ადგილის, კინჩხას ჩანჩქერისა და ოკაცეს კანიონის* ტურისტული ობიექტების სახით.
- ✓ *კოლხეთის ოლქში* ერთიანდება კოლხეთის ვაკე–დაბლობი მოსაზღვრე გორაკ–ბორცვიანი მთისწინეთით. გეომორფოლოგიურად, ქვეოლქი აკუმულაციური ვაკე–დაბლობია, რომელიც პერიფერიაზე მაღლდება გორაკ–ბორცვიანი მთისწინეთით. ოლქის მთავარი სტრუქტურული ერთეულია წყალტუბოს მასივი, რომელიც რიონ-ცხენისწყლის ხეობებს შორის სივრცეს წარმოადგენს; იგი ჩრდილოეთით, ხვამლის ძირიში გადის, სამხრეთით კი, კოლხეთის დაბლობის ნაწილს მოიცავს. გეოლოგიურად მისი უდიდესი ნაწილი შეესატყვისება *წყალტუბოს კირქვულ მასივს,* ხოლო მორფოლოგიურად — *წყალტუბოს ტალღოვან ვაკეს* (ჩხეიძე, 2004:80). გაბატონებულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ვაკის მდორე მეანდრული მდინარეებით, დაჭაობებულ ტერიტორიებზე მურყნარი ტყეებით, ჭაობ–ლებიანი ნიადაგებით, რომლებიც გორაკ–ბორცვებზე იცვლება წითელმიწა–ყვითელმიწა ნიადაგებით. მათზე განვითარებულია ტიპიური სუბტროპიკული მცენარეულობა (ჩხეიძე, 2009:10). ჩვენი საკვლევი სივრცე მოცემულ ოლქში მოიცავს *წყალტუბოს ტალღოვან ვაკეს* კარგად გამოხატული კარსტული

რელიეფით; ათვისებული, შესწავლილი და გამოუკვლეველი მღვიმური კომპლექსებით (სათაფლია, ყუმისთავის, საწურბლია და სხვ.), ვაკის სოფლებით (ყუმისთავი, სათაფლია, ბანოჯა), კურორტი წყალტუბო და ქ. ქუთაისი.

✓ *მცირე კავკასიონის ოლქიდან* იმერეთს ეკუთვნის აჭარა–იმერეთის ქვეოლქი, რომელიც მოიცავს მესხეთის ქედს მეფისწყაროდან აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე (80 კმ.). დამახასიათებელია ღრმად ჩაჭრილი V-სებური პროფილის ეროზიული ხეობები, მთიან–ხეობური რელიეფი მოსწორებული ზედაპირებით. ჰავა საკმაოდ ნესტიანია. დამახასიათებელია მთის ტყისა და მთის მდელოს ლანდშაფტური მრავალსართულიანობა მარადმწვანე კოლხური ქვეტყით (ჩხეიძე, 2009:11). მოცემულ რეგიონში ჩვენი კვლევის არეალში ხვდება *ბალნეოლოგიური კურორტების, საირმესა და ნუნისის* რეკრეაციული სისტემები.

საკვლევი ზონები ასევე მოიცავს მდინარეების: რიონის (კ. წყალტუბო და ქ. ქუთაისი), ცხენისწყლის (ასხის მასივის სამხრეთული დაბოლოება სოფლების, გორდისა და კინჩხას მიდამოები), წაბლარისწყლის (კ. საირმე), და ჩხერიმელას (კ. ნუნისი) აუზებს (ჩხეიძე, 2003 :5-6). კურორტების გარდა, მოცემულ სივრცეში მდებარეობს ისეთი ბუნებრივი ეგზოტიკური ძეგლები, რომლებიც სახელმწიფო დაცვის ობიექტებია და წითელ წიგნშია შეტანილი ---- საირმის ეროზიული მოწმე, 30 მეტრის სიმაღლის ვულკანოგენურ ტუფ-ქვიშაქვებში გაჩენილი სვეტი; სათაფლიისა და ყუმისთავის მღვიმეები, დინოზავრის ნაკვალევი და მრავალი სხვა რეკრეაციულ-სპელეოლოგიური და არქეოლოგიური მნიშვნელობის ობიექტი. ზოგადად, კი იმერეთში ასევე გამორჩეული რეკრეაციული ღირებულების ობიექტებია ცუცხვათის 13 სართულიანი მღვიმოვანი კომპლექსი (ტყიბულის მუნიციპალიტეტი), კაცხის 40 მ–ის სიმაღლის კირქვის სვეტი ჭიათურის მუნიციპალიტეტი), კირქვის ბუნებრივი ხიდი მდ. სემზე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), მდ. წყალწითელას 7–8 კმ–იანი კანიონისებური ხეობა (თერჯოლის მუნიციპალიტეტი), სადაც არის რეკრეაციულ–სპელეოლოგიური და არქეოლოგიური მნიშვნელობის არაორგანული ბუნების მრავალი ძეგლი გამოქვაბულების და სხვათა სახით. მათი კეთილმოწყობით იმერეთს

მოინახულებს მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი, რაც მხარის ეკონომიკას სასიკეთოდ წაადგება (ჩხეიძე, 2003:6-7).

მნიშვნელოვანია, რომ იმერეთის უდაბლეს (ს. საჯავახო, მდ. ცხენისწყლის შესართავთან 15-20მ. ზღვის დონიდან) და უმაღლეს (მ. ლებეული, რაჭის ქედზე, 2862მ. ზღვის დონიდან) ნიშნულებს შორის, ვერტიკალურ ჭრილში ყველა ლანდშაფტური სარტყელი გვხვდება ნოტიო სუბტროპიკულიდან ალპური მდელოების ჩათვლით. მათი დიდი ნაწილი მკვეთრადაა სახეცვლილი ანთროპოგენური ზემოქმედებით, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც მიწისქვეშა მინერალური წყლების გამოსავლებია (საირმე, ზვარე, წყალტუბო, სულორი, სამტრედია, ზეკარი, სიმონეთი, ამაღლება) ან ბუნების ზემოთაღნიშნული ძეგლები მდებარეობს (ჩხეიძე, 2003:14; 6).

საქართველოს ტერიტორიის რეკრეაციული დარაიონების მიხედვით, **კურორტი წყალტუბო**, *კოლხეთის ტურისტულ-საკურორტო რაიონს* ეკუთვნის (კობახიძე, 1971:39; 49); მ. კორძახიას მიხედვით, საქართველოს კურორტების ლანდშაფტური კლასიფიკაციით, *ტენიან, სუბტროპიკულ დაკავებულ ზონას* (ნოდია, 1976:21), ხოლო ქვეყნის ტერიტორიის კლიმატურ-საკურორტო დაყოფის თანახმად, *ვაკიან/დაბლობიან (ზღვის დონიდან 500 მ-მდე) დასავლეთის ქვეზონას (კოლხეთის დაბლობი)* (ვადაჭკორია, უშვერიძე, ჯალიაშვილი, 1987:7). **კურორტი საირმე** ემილ კობახიძეს 70-იანი წლების დასწყისში განხილული აქვს ცალკეულ კურორტთა რიგში, რომლებიც „იზოლირებულ პირველად რეკრეაციულ კომპლექსებს ქმნიან“ (1971:63). ის არ იხსენიებს ნუნისს, სავარაუდოდ, იმ დროისათვის, უფრო შეზღუდული საკურორტო-ადმინისტრაციული სტატუსის გამო. მ. კორძახია **კურორტებს, საირმესა და ნუნისს,** ლანდშაფტური კლასიფიკაციით განაკუთვნებს *შუა მთის მუდმივტენიან ქვეზონას აჭარა-გურიის ქედის კალთებზე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში* (ნოდია, 1976:22); სხვა ავტორებთან ეს რეგიონი, *დაბალმთიან (500-დან 1000 მ-მდე) დასავლეთ საქართველოს კლიმატურ საკურორტო ზონად* არის მოხსენიებული (ვადაჭკორია, უშვერიძე, ჯალიაშვილი, 1987:7).

ჩვენი ერთ-ერთი საკვლევი ობიექტი, **ქ. ქუთაისი,** მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში. იგი

გაშენებულია იმ ადგილზე, სადაც მდინარე რიონი ვიწრო და ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. მდინარე ადრე თითქმის ორ თანაბარ - აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ჰყოფდა ქალაქს, მაგრამ XX საუკუნის II ნახევრიდან, ფართო სამრეწველო მშენებლობის გამო, ქალაქის მარჯვენა მხარემ ბევრად მეტი ტერიტორია მოიცვა, ვიდრე მდინარის მარცხნივ მდებარე უბნებს უკავია (ჯაოშვილი, 1989:12).

ქუთაისს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება დაბალმთიანი ოკრიბა, ჩრდილოეთით სამგურალის ქედი, სამხრეთითა და დასავლეთით კი კოლხეთის დაბლობი (ქსე, 1986:569). ვ. ჯაოშვილი (1989) აღნიშნავს, რომ ქუთაისის მდებარეობის განსაზღვრისა და ბუნებრივი პირობების დახასიათებისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ დასახლებული ტერიტოტრიით. ქალაქისა და მისი მიდამოების ურთიერთკავშირი და ზეგავლენა არა მარტო სამეურნეო ცხოვრებაში მჟღავნდება, არამედ ბუნებრივ პირობებთან კავშირშიც იჩენს თავს. ქუთაისის უახლოესი გარემოცვის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები უშუალო ზეგავლენას ახდენს ქალაქის მდებარეობასა და ბუნებაზე, მის ზრდა-განვითარებასა და ეკონომიკაზე (გვ.13).

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტიც** კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს და უშუალოდ ეკვრის ქ. ქუთაისს ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან; რაიონი მოიცავს მდ. რიონის აუზს შენაკადებით ხობის წყალი, წყალტუბოს, წყალი, მდ. სემი. ქუთაისთან ერთად, აღმოსავლეთით მას ესაზღვრება თერჯოლისა და ტყიბული რაიონები, დასავლეთით სამტრედიის, სამხრეთით ვანისა და ბაღდათის, ხოლო ჩრდილოეთით ცაგერისა და ამბროლაურის რაიონები (საქართველოს რუკა 1:600 000, 2003).

**ქ. წყალტუბო** ზღვის დონიდან 94-131 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

კვლევის უშუალო ტურისტულ-რეკრეაციული ზონის ანუ რეკრეაციულად მნიშვნელოვანი და ღირებული სივრცის საზღვრები, ადმინისტრაციულად მოიცავს წყალტუბოს საქალაქო ზონას და თავად რაიონის ნაწილს, კერძოდ: სათაფლიის ეროვნული ნაკრძალის ტერიტორიას, ხოლო ჩრდილოეთით - მდ. სემის ხეობას, სოფელ ყუმისთავის ჩათვლით (საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 2006:38-39). ქ.

ქუთაისი კი იმ საზღვრებში შემოდის, როგორც ვ.ჯაოშვილს აქვს მითითებული (1989:12).

### 4.3. იმერეთის რეგიონის ბუნებრივ–რეკრეაციული რესურსები, საკურორტო და ტურისტული პოტენციალი

საკურორტო–რეკრეაციული კლასიფიკაციის მიხედვით, კოლხეთის რეკრეაციული რეგიონის მთავარი პროფილია ბალნეოლოგიური და შემეცნებითი ტურიზმი (საქართველოს სსრ კურორტები, 1989: 67). ამ რაიონის უდიდესი ნაწილი იმერეთს უჭირავს.

საქართველოს რეკრეაციული ატლასის მიხედვით (საქართველოს სსრ კურორტები, 1989: 26), იმერეთში გამოვყავით სამი საკურორტო–კლიმატური ქვეზონა:

- ✓ დაბლობის ზონა (500 მეტრამდე ზ.დ.), რომელშიც მოქცეულია რეგიონის უმეტესი ნაწილი ანუ მის საზღვრებში შემავალი კოლხეთის დაბლობი მთლიანად. დამახასიათებელია ნოტიო და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი მეტად რბილი, უთოვლო ზამთრითა და ძალიან თბილი ტენიანი და ზომიერად ტენიანი ზაფხულით. ქვეზონაში თავმოყრილია ბალნეოლოგიური კურორტები და საკურორტო ადგილები სამკურნალო პროფილით (წყალტუბო, სიმონეთი, ამაღლება);
- ✓ დაბალმთიანი ზონა (500 მ–დან 1000 მეტრამდე ზ.დ.), რომელიც იმერეთის მაღლობს მოიცავს. დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი ზომიერად ცივი ზამთრითა და თბილი ტენიანი და ზომიერად ტენიანი ზაფხულით. ამ რეგიონის კლიმატურ–თერაპიული პროფილი შეზღუდულია ჭარბი ნალექებისა და ტენიანი ზაფხულის გამო;
- ✓ საშუალო მთის ზონა (1000–დან 1500 მეტრამდე ზ.დ.), რომელშიც მესხეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილო კალთები შემოდის. დამახასიათებელია ნოტიო და ზომიერად ნოტიო ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, გრილი ზაფხული. ამ ზონის კლიმატი მეტად ხელსაყრელი თერაპიული თვისებებით გამოირჩევა და საუკეთესოა სასუნთქი სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ.

იმერეთი 11 მუნიციპალიტეტს მოიცავს. იმერეთის რეგიონის ცენტრია *ქუთაისი.* მისი მთავარი მიმართულება შემეცნებითი ტურიზმია. ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები ქალაქში (ბაგრატის ტაძარი, ოქროს ჩარდახი) და მის შემოგარენში (მოწამეთისა და გელათის მონასტრები, გეგუთის ტაძრის ნანგრევები), ქალაქის საინტერესო ტურისტულ რესურსს ქმნის. დიდი შესაძლებლობა არსებობს კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის ფესტივალების, კლასიკური და ხალხური მუსიკის კონცერტების და სხვა ტურების სახით.

*ხარაგაულის* მუნიციპალიტეტის უმთავრესი ტურისტული ობიექტია ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკი. ეს რესურსი შესაძლებლობას ქმნის შემეცნებითი, ეკოლოგიური, კულტურული ტურებისათვის. ამასთანავე, რეგიონს ეკუთვნის ბალნეოლოგიური კურორტები ზვარე და ნუნისი. შესაბამისად, კარგადაა განვითარებული სამთო–საცხენოსნო, სამთო–ქვეითი, ეკო– და სამკურნალო–გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

*საჩხერის* რაიონის ტურისტული თვალსაზრისით განვითარება, მნიშვნელოვანი იქნება მთლიანად მუნიციპალიტეტის ეკონომიკური წინსვლისათვის. აქ ბევრი შეუსწავლელი მღვიმეა სათავგადასავლო ტურიზმისათვის. რამდენიმე ფერმერი დაკავებულია აგროტურიზმითაც (ჭარხალაშვილი, 2010:14). დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა საოჯახო სასტუმროები სოფლებშიც, სადაც ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ დააგემოვნონ ქართული სამზარეულო და გაეცნონ ლოკალურ ეთნოკულტურას.

*ჭიათურის* ქვეზონა კარგ პირობებს ქმნის, სამომავლოდ აგროტურიზმის განვითარებისათვის. რეგიონი გამოირჩევა ლამაზი ბუნების ძეგლებით (კაცხის სვეტი და სხვ.) (ჭარხალაშვილი, 2010:13).

*ზესტაფონის* ქვეზონა გამოირჩევა მევენახეობით. სამომავლოდ, ეს რეგიონი აგროტურიზმთან ერთად, საუკეთესო პირობებს შექმნის ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის (ჭარხალაშვილი, 2010:15).

*თერჯოლის* ქვეზონას ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი ტურისტული ობიექტი ნავენახევის მღვიმის სახით. 1990–იან წლებში იგი ძლიერ დაზიანდა (მღვიმეში

კოცონების დანთების გამო დათავლიერების მიზნით). ამჟამად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვითარდება ღვინის ტურიზმი.

*ვანის* ტურისტული ქვეზონის უპირატესი მიმართულება შემეცნებითი რეკრეაციაა, რომლის ობიექტს ანტიკური ქალაქის ნაქალაქარი არქეოლოგიური მუზეუმით, ასევე გალაკტიონ ტაბიძის სახლ–მუზეუმი წარმოადგენს (ჭარხალაშვილი, 2010:12). ბოლო წლებია, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მოხდა კურორტ სულორში, სადაც აღდგა სააბაზანო მკურნალობა ადგილობრივი მინერალური წყლებით. ქვეზონის ბუნებრივი რესურსები იძლევა სამომავლოდ ეკო–, აგრო– სამთო–საცხენოსნო და სათავგადასავლო მარშრუტების განვითარების კარგ შესაძლებლობას.

*ბაღდათის* ტურისტული ზონა ცნობილია კუროტ საირმითა და ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ–მუზეუმით. საბჭოთა პერიოდში აქ ყოველწლიურად 80 000 ათასზე მეტი ადამიანი მოგზაურობდა და ისვენებდა. საირმე, ერთ–ერთი გამონაკლისია იმ ბალნეოლოგიურ კურორტებს შორის, რომელმაც პროფილით გააგრძელა ფუნქციონირება მთელი 1990–იანი წლების განმავლობაში. 2011 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კურორტის ინფრასტრუქტურა; ისევ მონახულებადი გახდა ვლ. მაიაკოვსის სახლ–მუზეუმიც ორგანიზებული ტურებით ჩასული ვიზიტორების მიერ. სპა და შემეცნებით ტურიზმთან ერთად, აღნიშნულ ზონას დიდი პოტენციალი აქვს ეკო– (ზეკარის უღელტეხილი და წითელი მინდვრები), აგრო და ღვინის ტურიზმის (მთლიანად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მასშტაბით) განვითარების კუთხით. ფუნქციონირებს მრავალი ოჯახური მარანი.

*სამტრედიის* ქვეზონის რეკრეაციულ რესურსს ქმნის სამტრედიის მინერალური სააბაზანო წყალი საყრდენ–მამოძრავებელი სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ. შემეცნებითი ტურიზმის საიტერესო ობიექტია ნიკო ნიკოლაძის სახლ–მუზეუმი სოფელ დიდ ჯიხაიშში.

*ხონის* ტურისტული ქვერაიონი მეტად პოპულარული ხდება სათავგადასავლო და ეკოტურიზმის კუთხით, მას შემდეგ, რაც ფუნქციონირება დაიწყო ოკაცეს კანიონმა. ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთავრდება კინჩხის ჩანჩქერზეც. გაჩნდა ბევრი საოჯახო სასტუმრო სოფლებში კინჩხასა და გორდში. რეგიონი

პოპულარულია საგარაკო დასვენებისათვის, როგორც ბავშვთა კლიმატური კურორტი. ფუნქციონირებს საცხენოსნო ტურები ასხის მასივის მარშრუტზე. რეგიონს უდიდესი პოტენციალი აქვს პროფილის გაფართოებისათვის.

*წყალტუბოს* ზონის მთავარი პროფილი ბალნეოლოგიური ტურიზმია. იგი მოიცავს საქართველოს ჰიდრომინერალური რესურსების 11% (საქართველოს სსრ კურორტები, 1989:38). კურორტი მეტად დაზიანდა 1990–იან წლებში, როცა თითქმის ყველა სანატორიუმი დევნილებმა დაიკავეს. ფუნქციონირება დანიშნულების მიხედვით გააგრძელა მხოლოდ სანატორიუმმა „წყალტუბომ", სამხედრო სანატორიუმმა და მინერალური წყლის ორმა სააბაზანომ. დღეისათვის, მოქმედებს რამოდენიმე ახალი სასტუმრო. ბოლო წლებში ძალიან გაფართოვდა საკურორტო პროფილი სპელეოტურიზმის ხარჯზე — სათაფლიის ეკოტურს დაემატა ყუმისთავის მღვიმის მარშრუტიც. ახლო მომავალში ამოქმედდება ახალი მიმართულებებიც. რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს სამთო–საცხენოსნო, სამთო–ქვეითი, სათავგადასავლო, აგრო– და ეკოტურიზმის კუთხით (შავიანიძე და სხვ., 1995).

*ტყიბულის* რეკრეაციული ქვეზონა გამოირჩევა სპელეოტურიზმის დიდი პოტენციალით. ამჟამად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები ცუცხვათის მღვიმის ათვისების მიზნით. ბევრია სხვა შეუსწავლელი მღვიმეებიც.

იმერეთის რეგიონი მასში შემავალი მუნივიპალიტეტებით (რუკა #1) და ტურისტულ–რეკრეაციული პროფილით (რუკა #2) დატანილია ჩვენს მიერ GIS ტექნოლოგიით შედგენილ რუკებზე.

რუკა #1. იმერეთის რეგიონი შემადგენელი მუნიციპალიტეტებით



რუკა #2. იმრეთის შემადგენელი მუნიციპალიტეტების ტურისტულ–რეკრეაციული პროფილი



# თავი 5. იმერეთის ტურისტულ–რეკრეაციული რაიონი: სივრცითი ტრანსფორმაცია და კვლევის ძირითადი მიმართულებები მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის

## 5.1. იმერეთის ტურისტული ინდუსტრიის დარგების სივრცითი განლაგება და საკვლევი არეალების საზღვრები

2012 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იმერეთში ჩატარებული დეტალური კვლევის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა რეგიონის ტურისტული კლასტერები (იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების სტრატეგია, 2012). “ტურისტული კლასტერი არის ჰომოგენური ტიპის ღირშესანიშნაობებისა და ურთიერთდაკავშირებული, ერთმანეთის შემავსებელი სერვისების გეოგრაფიული კონცენტრაცია” (“იმერეთში (საქართველო)”, 2012:68). კლასტერების განსაზღვრისას სხვადასხვა კრიტერიუმები იქნა გამოყენებული: იმერეთის ტერიტორიის მახასიათებლები, არეალების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, არსებული რესურსები და ღირსშესანიშნაობები, პოტენციური შესაძლებლობები, სერვისების შეთავაზების მასშტაბები და სხვ. ტერიტორიის ტურისტულ კლასტერებად დაყოფის მიზანს წარმოადგენდა თანამშრობლობისა და კონკურენციის სტიმულირება, ძალისხმევის პრიორიტეტულობის განსაზღვრა, ინვესტიციების მომგებიანობის ზრდა და ვიზიტორების თვალში ტურისტული ადგილების მიმზიდველობის ამაღლება. შესაბამისად, იმერეთის რეგიონში გამოიყო 4 კლასტერი (სქემა #1).

სქემა #1




შედგენილია პროგრამა „paint-ის“ გამოყენებით ნ. ბარბაქაძის მიერ (ბარბაქაძე, 2016:92), წყაროს: „იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:8) მიხედვით.

1. **„იმერეთის გული“** - იმერეთის ცენტრი (ქალაქი ქუთაისი და შემოგარენი), სადაც განლაგებულია მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობები (ქ. ქუთაისის ტურისტული ადგილები, გელათის სამონასტრო კომპლექსი, მოწამეთის მონასტერი, სათაფლიის ნაკრძალი, პრომეთეს კარსტული მღვიმე, კურორტი წყალტუბო) და ტურისტული სერვისები (ინფრასტრუქტურა).
2. **„კურორტი წყალტუბო“** - მინერალური წყლებით მდიდარი, გამაჯანსაღებელი ადგილი, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე პრომეთესა და სათაფლიის კარსტული მღვიმეები.
3. **მოულოდნელი იმერეთი** - სათავგადასავლო/სასოფლო ტურიზმი (ტყიბულის წყალსაცავი, ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მდებარე ტურისტული ღირსშესანიშნაობები)

4. **„იმერეთის მთები“** - მინერალური წყლების კურორტი, ოჯახურ ტურიზმზე ორიენტირებული (საირმე, ნუნისი, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი) (“იმერეთში (საქართველო)”, 2012:7).

აღნიშნული კვლევისაგან დამოუკიდებლად, ჩვენის მხრივ, იმერეთის რეგიონის ტურისტული კლასიფიკაცია მოვახდინეთ რეკრეაციული პროფილის მიხედვით და საკვლევ სივრცეებად გამოვყავით:

- ✓ სათავგადასავლო, ეკოტურიზმისა და სოფლის ტურიზმის არეალი, რომლის მიზიდულობის მთავარი ობიექტებია ოკაცეს კანიონი, კინჩხის ჩანჩქერი და საკურორტო ადგილი სოფელი გორდი;
- ✓ სპელეოტურიზმისა და ეკოტურიზმისათვის საინტერესო ადგილები სათაფლიის, პრომეთეს მღვიმეების სახით და სოფელი ყუმისთავი;
- ✓ ბალნეოლოგიური/სპა ტურიზმის განვითარების კვლევისათვის კურორტები წყალტუბო, საირმე და ნუნისი; და
- ✓ ქ. ქუთაისი და მისი შემოგარენი, როგორც შემეცნებითი ტურიზმის ცენტრი.

რადგან კვლევის ტერიტორიაზე წამყვანი ფაქტორი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებია, მის იდენტიფიცირებასა და საზღვრების დადგენას, საფუძვლად დავუდეთ იმერეთის გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური დარაიონების სქემა (ჩხეიძე, 2000; ჩხეიძე, 2003; ჩხეიძე, 2004; ჩხეიძე, 2009; ჩხეიძე, 2015). ამ კლასიფიკაციის მიხედვით:

- ✓ საკურორტო ადგილი გორდი და ოკაცეს კანიონი განეკუთვნება *კინჩხის ანუ ოკაცე–საწისქვილეს ქვაბულისა და გორდის მოსწორებული ზედაპირის* ქვერაიონს. ქვერაიონი მოიცავს ასხის მასივის უკიდურეს სამხრეთ–აღმოსავლეთ სექტორს –– მდ. ოკაცე–საწისქვილეს აუზს კინჩხის ქვაბულითა და ს. გორდის ტერიტორიის (მოსწორებული ზედაპირს) მთელს ცენტრალურ (თურჩუს მთის სამხრეთ კალთის ძირამდე) და სამხრეთულ ნაწილს მდ. ცხენისწყლის კალაპოტამდე. ქვაბული ხასიათდება დაბალმთიანი, მკვეთრად დანაწევრებული კარსტული და მეწყრული რელიეფის ფორმებით. ქვერაიონში რელიეფის მეზოფორმას წარმოადგენს *კინჩხის სტრუქტურული ქვაბული,* რომელიც მერიდიანულად გადაკვეთილია მდ. ოკაცეს ხეობით და

*გორდის მოსწორებული ზედაპირი*, სადაც მდებარეობს სოფელი გორდი. აბსოლუტური სიმაღლითი მაჩვენებლები იცვლება 600 მ–დან 1000–1200 მ–მდე. (ჩხეიძე, 2009:42).

- ✓ რიონ–ცხენისწყლის ხეობებს შორის მდებარე ფიზიკურ–გეოგრაფიული სივრცე, რომელიც ჩრდილოეთით ხვამლის სამხრეთი შვეული ფერდობის ძირით ისაზღვრება, ხოლო სამხრეთით, კოლხეთის დაბლობით, *წყალტუბოს მასივს* წარმოადგენს. ამ ქვეზონაში მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტები — – *კურორტი წყალტუბო და ყუმისთავის (პრომეთეს) მღვიმე.* აღნიშნული გეოგრაფიული სივრცე, კარგად გამოყოფილი მორფოლოგიური ერთეულია, რომლის რელიეფი გორაკ–ბორცვიანი კარსტული ტიპისაა. გეოლოგიურად ის *წყალტუბოს კირქვულ მასივს,* ხოლო გეომორფოლოგიურად, *წყალტუბოს ტალღოვანი ვაკეს შეესატყვისება* (ჩხეიძე, 2000:111–125).
- ✓ ძაბლარისწყლის აუზი რელიეფის მიხედვით *ეკუთვნის სამხრეთ იმერეთის (ფერსათის) მთისწინეთს და დაბალმთიანი ზოლის სამხრეთ გაგრძელებაზე აჭარა–იმერეთის (მესხეთის) ქედის ჩრდილო ფერდობს*, სადაც მდებარეობს *კურორტი საირმე* (ზ.დ. 950 მ). ეს ადგილი ხეობის ყველაზე გაფართოებულ უბანს წარმოადგენს. საირმის ქვაბულისებრი ჩაღრმავება ტექტონიკურ–ეროზიული წარმოშობისაა და მოქცეულია მთა–ხეობათა რელიეფში. მისი შემომფარგვლელი ციცაბოკალთებიანი რელიეფი გამოირჩევა ვერტიკალური დანაწევრებით, V-სებური განივი პროფილის ხევ–ხეობებით, რომლებიც მთლიანად დაფარულია შერეული ტყით (ჩხეიძე, 2015:117).
- ✓ *მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის აღმოსავლეთ ქვერაიონს* ეკუთვნის საკვლევი *კურორტი ნუნისი* (ზ.დ. 950 მ). ქვერაიონი ჩრდილოეთიდან ჩხერიმელას ხეობა–ქვაბულით ისაზღვრება, სამხრეთიდან მდინარეების ჩხერიმელა–მტკვრის წყალგამყოფი ხაზით, აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით კი ჩხერიმელა–საკრაულას წყალგამყოფით. სიმაღლებრივად, ქვერაიონის შემადგენლობაში შედის დაბალმთიანი, საშუალო და ნაწილობრივ მაღალმთიანი ზონები, რომელთა რელიეფი მკვეთრად დანაწევრებულია მთა–ხეობებით (ჩხეიძე, 2015:428–429).

### 5.2. სპელეოტურიზმი იმერეთის რეგიონში: ტრანსდისციპლინური კვლევა მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის

სოფელ ყუმისთავით ჯერ კიდევ 1980–იანი წლებში დაინტერესდენ, სადაც კარსტული რელიეფისა და კონკრეტულად, მღვიმეების აღმოჩენა–შესწავლის მიზნით, მივლენილ იქნა მკვლევართა ჯგუფი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან. სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა 1984 წელს მღვიმის ახალი დარბაზები აღმოაჩინეს („საქართველოს მღვიმეები"..., 2015). მალევე დაიწყო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც 1990–იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. მაშინდელი პროცესების მონაწილე ერთ–ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა და სოფლის მკვიდრმა გვითხრა, რომ აღნიშნული პროექტის მიზანი არ გახლდათ ტურისტული ობიექტის შექმნა, არამედ უფრო პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახევი, რათა ცივი ომის პერიოდში, სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, გამოყენებული ყოფილიყო, როგორც თავშესაფარი. ამდენად, დღევანდელ მღვიმეში შესრულებული სამუშაოების დაახლოებით 70%, მაშინ იქნა ჩატარებული.

ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლად აღიარების შემდეგ, 2007 წლიდან სახელმწიფოს ინიციატივითა და კერძო ინვესტორის მხარდაჭერით, დაიწყო დაცვითი და ინფრასტრუქტურული სამუშაოები მღვიმის ტურისტულ ობიექტად (პრომეთეს მღვიმის სახელწოდებით) გადაქცევისა და რეგიონში ტურიზმის დარგის შექმნის მიზნით („პრომეთეს მღვიმის"...., 2014). ეს პროცესი აუცილებლად გამოიწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას და ხელს შეუწყობდა მათი დასაქმების პროცესს. პროექტი წარმატებით განხორციელდა და 2011 წლიდან პირველი ვიზიტორებიც მიიღეს. ყუმისთავის მღვიმემ საინტერესო ტურისტული იმიჯი შეიძინა, რაზეც მნახველთა მზარდი სტატისტიკაც მიუთითებს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, 2014 წელს კარსტულმა ობიექტმა 91 711 ვიზიტორი, 2015 წელს 106 959 დამთვალიერებელი, 2016 წელს 138 227 ტურისტი, ხოლო 2017 წლის 10 თვის მონაცემებით 160 445 სტუმარს უმასპინძლა. აღნიშნული სტატისტიკით, ის ყველაზე

მონახულებადი ტურისტული ობიექტია საქართველოში (ცხრილი #3) („ვიზიტორთა სტატისტიკა“, 2017; „პრომეთეს მღვიმე“, 2017).

ცხრილი #3

| ვიზიტორების რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დაცული ტერიტორიები** | **2016** | **2017** | **ცვლილება** | **ცვლილება %** | **წილი %** |
| **სულ** | **734,874** | **954,397** | **219,523** | **29.9%** | **100%** |
| პრომეთეს მღვიმე | 138,227 | 163,941 | 25,714 | 18.6% | 17.2% |
| ყაზბეგის ეროვნული პარკი | 134,111 | 154,085 | 19,974 | 14.9% | 16.1% |
| მარტვილის კანიონი | 62,434 | 147,374 | 84,940 | 136.0% | 15.4% |
| სათაფლია | 78,323 | 85,526 | 7,203 | 9.2% | 9.0% |
| ოკაცეს კანიონი | 52,197 | 73,113 | 20,916 | 40.1% | 7.7% |
| ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი | 55,818 | 59,458 | 3,640 | 6.5% | 6.2% |
| ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები | 49,590 | 55,519 | 5,929 | 12.0% | 5.8% |
| თბილისის ეროვნული პარკი | 35,439 | 52,015 | 16,576 | 46.8% | 5.5% |
| მტირალას ეროვნული პარკი | 33,774 | 47,460 | 13,686 | 40.5% | 5.0% |
| კოლხეთის ეროვნული პარკი | 26,816 | 29,523 | 2,707 | 10.1% | 3.1% |
| ალგეთის ეროვნული პარკი | 16,076 | 28,020 | 11,944 | 74.3% | 2.9% |
| თუშეთის დაცული ტერიტორიები | 13,793 | 14,306 | 513 | 3.7% | 1.5% |
| ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები | 11,806 | 12,250 | 444 | 3.8% | 1.3% |
| ქობულეთის დაცული ტერიტორიები | 9,175 | 11,286 | 2,111 | 23.0% | 1.2% |
| ჯავახეთის დაცული ტერიტორიები | 6,803 | 6,872 | 69 | 1.0% | 0.7% |
| კინტრიშის დაცული ტერიტორიები | 5,138 | 5,384 | 246 | 4.8% | 0.6% |
| მაჭახელას ეროვნული პარკი | 2,062 | 5,092 | 3,030 | 146.9% | 0.5% |
| ჭაჭუნას აღკვეთილი | 3,292 | 3,173 | -119 | -3.6% | 0.3% |

წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

სამუშაოების დასრულების შემდეგ სოფელში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, როგორც ინფრსტრუქტურა, ასევე რიგით მაცხოვრებელთა ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა, გაიზარდა ბუნებრივი გარემოს დაცულობა, მკვეთრად შემცირდა ტყის გაჩეხვის შემთხვევები. ტურისტული ნაკადების მუდმივმა ზრდამ ხელი შეუწყო ადგილზე ნაწარმი პროდუქტის რეალიზაციას, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას სტაბილურად ანაზღაურებად სამუშაოზე და მოსახლეობის გადინების, გარკვეულწილად, შემცირებას.

სოფელი არ გამოირჩევა ნაყოფიერი მიწებითა და საძოვრებით. დამუშავებისათვის ვარგისი ფართობები მცირეა. რელიეფი მთაგორიანია.

ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია რელიქტური კოლხური ტიპის ტყით, რომელსაც ქმნის წიფელი, წაბლი, თელა, რცხილა, ბზა, მუხა, ძელქვა, ცაცხვი („მღვიმეები“, 2017).

მეურნეობის ძირითადი მიმართულება ტრადიციულად, მესიმინდეობა და მეფრინველეობაა. ზოგიერთ ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ან მისდევს მეფუტკრეობას, მაგრამ შემოსავლები მწირია. ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმში ჩართვამ, ძირითადი შემოსავალი შექმნა უმეტესი შინამეურნეობისათვის. ჩვენი პროექტის მთავარი მიზანიც იმის კვლევაა თუ რამდენად უწყობს ხელს ტურიზმი მოცემულ სასოფლო თემში სიღარიბის დაძლევას და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.

აკადემიურ ლიტერატურაში მწირია კვლევები ტურიზმის ლოკალურ გავლენის შესახებ. საუკეთესოდ მიიჩნევა მოდელები, რომლებიც იძლევა დარგის ზეგავლენის შეფასებას დასაქმებაზე და შემოსავლებზე. მაგრამ იმის გამო, რომ ტურისტული აქტივობა მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკურ სივრცეს (ტერიტორია), აბსტრაქტულ სივრცეს (ურთიერთობა ადგილობრივებსა და სოციალურ სტრუქტურებს შორის) და გეოგრაფიული გარემოს დაცვას, ცოტა თუ იკვლევს ტურიზმის გავლენას დინამიკაში სოფლის თემების საცხოვრებელ ბუნებრივ გარემოზე ან მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ–კულტურულ მდგომარეობაზე (Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C.,2005: 49).

საკითხი რეგიონის განვითარების შესახებ თავისი ხასიათითა და სტრუქტურით, კომპლექსურია, რაც პრობლემის გადაჭრისათვის სხვადასხვა მიმართულების დისციპლინებისა და რეგიონის აქტორების ჩართულობას მოითხოვს. მონაწილეთა შერჩევისა და ინტეგრაციის ეს პროცესი, ***ტრანსდისციპლინური*** მიდგომის პრინციპითაა ცნობილი. რეგიონის კვლევისას, მონაწილე სტრუქტურების ანუ სტეიკჰოლდერების შერჩევა, თავმოყრა და მათი გავლენის შესწავლა დარგის ეკონომიკურ განვითარებაზე, ადამიანურ რესურსებზე თუ გეოგრაფიულ გარემოზე გადამწყვეტია სწორი შედეგების მისაღებად. სტეიქჰოლდერები — ბიზნესთა ჯგუფები, ადგილობრივი მოსახლეობა, სამთავრობო სტრუქტურები და თავად ტურისტებია, რომელთაც მიუძღვით წილი მოცემულ რეგიონში ტურიზმის

განვითარებაში (Cooper, et.al., 2008: 687). აქედან გამომდინარე, ამ სოციალური ქსელის ანალიზი, მნიშვნელოვანია ყველაზე რეალურ თანამონაწილეთა როლის გამოსავლენად რეგიონის განვითარებაში (Muhar, et.,al., p.297).

***მდგრადობა*** ფუნდამენტური კონცეფციაა ტურიზმის როლის შესაფასებლად საზოგადოებაში. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიხედვით, მდგრადი ტურიზმი აკმაყოფილებს თანამედროვე ტურისტთა მოთხოვნებს, იმავდროულად, იცავს ტურისტული დანიშნულების რეგიონებს და ზრდის სამომავლო შესაძლებლობებს. ტურიზმი პასუხობს ეკონომიკურ, სოციალურ და ესთეტიურ მოთხოვნებს რესურსების მართვის იმგვარი გზით, რაც შესაძლებელს გახდის შენარჩუნებულ იქნას კულტურული და ეკოლოგიური პროცესების ბიომრავალფეროვნებისა და სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემების მთლიანობა (“Sustainable Development of Tourism”, 2005).

საქართველოში ეკოლოგიურ პრობლემათა გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ–ერთია ტერიტორიების სამეურნეო ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები კერძოდ, ცალკეულ რეგიონებში ტურისტულ–რეკრეაციული კომპლექსების შექმნა სათანადო ინფრასტრუქტურით, გარემოზე პოზიტიური და ნეგატიური გავლენის ჩათვლით. ამიტომ, ტერიტორიების ასეთი ათვისებისას, უმნიშვნელოვანესია ე.წ. მდგრადობის პრინციპის დადგენა ანუ გარემოსა და რესურსების ისეთი გამოყენება, რომ საფრთხე არ შეექმნას საზოგადოების განვითარებას (დავითაია და სეფერთელაძე, 2014, გვ.273).

ჩვენი კვლევის ***მიზანს*** შეადგენდა, დაგვედგინა თუ რამდენად უზრუნველყოფს ტურიზმი, როგორც ეკონომიკის დარგი, რეგიონის მდგრად განვითარებას. ტურიზმის მდგრადი განვითარების მოდელი ეფუძნება ეკონომიკურ, სოციალურ–კულტურულ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი აქტივობების შეფასებას.

ჩვენი **სამუშაო ჰიპოთეზაა** ის, რომ ტურიზმი მთავარი წყარო უნდა იყოს მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის —— დადებითი ეფექტით დასაქმებაში, შემოსავლების ზრდაში, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაში.

ქმნის თუ არა პრომეთეს მღვიმის რეკრეაციული სტრუქტურა ცხოვრების უკეთეს პირობებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ეხმარება თუ არა დაბალშემოსავლიან ოჯახებს სიღარიბის დაძლევაში? როგორია ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები სოფლის მკვიდრთა მხრიდან და როგორ აისახება მზარდი ტურისტული ნაკადების გავლენა ეკოსისტემის მდგრადობაზე? რამდენად წვდება ადგილობრივი თემის ყველა სოციალურ–ეკონომიკურ და დემოგრაფიულ სეგმენტს ტურისტული ობიექტის გავლენა? როგორია მოსახლეობის ჩართულობა და რამდენად მჭიდროა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს, კერძო ბიზნესებსა და ადგილობრივი თემის წევრებს შორის? ანუ რამდენად წარმატებით მუშაობს პრომეთეს მღვიმის ტურისტული კლასტერი.

ჩვენი კვლევა ეფუძნება *შემთხვევების ანალიზის* (Case Study method) მეთოდს. ***თვისებრივი კვლევის*** მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუს სახით ტურისტული ობიექტიდან 10 კმ–იან რადიუსში, რომელიც შეჯერებულია მეორად თეორიულ წყაროებთან; ერთ–ერთ მეთოდად ასევე ავირჩიეთ ***სტეიქჰოლდერების ანალიზის*** **მეთოდი,** რადგან მისი გამოყენება მდგრადი ტურისტული განვითარების ზევრად სრულყოფილ სურათს იძლევა. დასკვნებისა და რეკომენდაციების განსაზღვრისათვის ვისარგებლეთ *საჭიროების ანალიზის* (Need Analysis), იგივე *დეფიციტის (ხარვეზის) ანალიზის* (Gap Analysis) მეთოდით. ის გვიჩვენებს სხვაობას რეალურ მდგომარეობასა და სასურველს შორის. ეს მეთოდი უფრო მეტად მიემართება არა იმის შეფასებას, რაც გაკეთდა ან რაც არის, არამედ იმას, რაც უნდა შესრულდეს. ამიტომ ამ მეთოდს, ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „საჭიროების ანალიზს/შეფასებას“ (“Need Analysis”, 2000:1).

სულ გამოკითხულ იქნა 10 საოჯახო და არასაოჯახო სტრუქტურა და შედგა ერთი ფოკუს ჯგუფი. კვლევა ჩატარდა 2017 წლის სექტემბერ–ნოემბერში.

სოფელ ყუმისთავში, პრომეთეს მღვიმის ადმინისტრაციაში (გიდთან და რეინჯერთან), კერძო ბიზნესებთან (სუვენირების მაღაზიის, კაფეების, რესტორნის, სასტუმროსა და სხვა ღამისთევის ობიექტების მფლობელებთან და მენეჯერებთან) და მოსახლეობასთან (გარე მოვაჭრეები, მკვიდრი მოსახლეობა) ანუ ტურისტული საქმიანობის თანამონაწილე ინდივიდებთან თუ ჯგუფებთან ჩაწერილი

ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, ტურიზმის განვითარების ეკონომიკური სარგებელი და ამ სარგებლის დიფერენცირებული გავლენა სოციალურ კაპიტალზე — – განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე შინამეურნეობებზე —– გამოავლინა დარგის შექმნით გამოწვეული ბუნებრივ–რესურსული დანაკარგები და შეზღუდვები, ცხადყო სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის კოორდინაცია და პროცესში ჩართულობა, მათი ინდივიდუალიზმის მაღალი ხარისხი და კომერციული საქმიანობის წარმართვისათვის ინფორმაციის სიმწირე. კვლევით დადგინდა, რომ მოსახლეობისათვის უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და კეთილდღეობის ზრდა ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თანმხლები (ირიბი) პროცესია და პირველი რანგის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი, თავად დარგის განვითარებაა, რომლის გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე სხვადასხვაგვარად აისახება, რაც უშუალოდ შინამეურნეობის წევრების პირად გამოცდილებასა და მათ საკუთარ მფლობელობაში არსებული რესურსების მიზანმიმართულად გამოყენებას უკავშირდება.

რიონ–ცხენისწყლის ხეობებს შორის მდებარე ფიზიკურ–გეოგრაფიული სივრცე, რომელიც ჩრდილოეთით ხვამლის სამხრეთი შვეული ფერდობის ძირით ისაზღვრება, ხოლო სამხრეთით, კოლხეთის დაბლობით, წყალტუბოს მასივს წარმოადგენს. ამ ქვეზონაში მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტები —– კურორტი წყალტუბო და ყუმისთავის (პრომეთეს) მღვიმე. აღნიშნული გეოგრაფიული სივრცე, კარგად გამოყოფილი მორფოლოგიური ერთეულია, რომლის რელიეფი გორაკ–ბორცვიანი კარსტული ტიპისაა. გეოლოგიურად ის *წყალტუბოს კირქვულ მასივს,* ხოლო გეომორფოლოგიურად, *წყალტუბოს ტალღოვანი ვაკეს შეესატყვისება.* მისი ზედაპირი დამრეცადაა დახრილი სამხრეთით და თითქმის შუაზეა გაკვეთილი მდ.გუბისწყლის მერიდიანული ხეობით, რომლის ზემო დინებას მდ. სემისწყლი წარმოადგენს. ვაკის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილი ძირითადად ცარცულის მძლავრი შრეებრივი კირქვებითაა აგებული. აღნიშნულ სივრცეს (რიონის ხეობის დასავლეთით ცხენისწყლის ხეობამდე) ო. ჩხეიძე *გარე ოკრიბის* სახელით მოიხსენიებს (2009:159).

წყალტუბოს ვაკეზე ფართოდაა გავრცელებული მიწისქვეშა კარსტული რელიეფის ყველაზე რთული და სანახაობრივადაც საინტერესო ფორმები — მღვიმეები. აქ დღემდე გამოვლენილი და მორფოლოგიურად მეტ–ნაკლებად შესწავლილია ოთხ ათეულამდე მღვიმე. 1979 წლისათვის წყალტუბოს მასივზე აღმოჩენილი იყო 27 მღვიმე. მათგან მნიშვნელოვანია: სათაფლიის მღვიმური კომპლექსი, წყალტობო, სარყუმალი, საწურბლია, სოლკოტა, საქაჯია, ღლიანა, ხაფი, თავუკუღმა ღელის მღვიმე, ოფიჭო, თეთრა, ბასილას, ორღელეს და მრავალი სხვა (ჩხეიძე, 2009:163).

წყალტუბოს კირქვული მასივის/ტალღოვანი ვაკის სამხრეთ ნაწილი უჭირავს *წყალტუბოს ქვაბულის ქვერაიონს.* ის დასავლეთიდან შემოფარგლულია მდ. ცხენისწყლით, აღმოსავლეთიდან სამგურალის სერით, ჩრდილოეთიდან დიდვაკის, სამგლიისა და მელოურის პლატოებით, სამხრეთიდან კოლხეთის დაბლობით. მისი სიმაღლითი მაჩვენებლები ზ.დ 75 მ–დან 600 მ–მდე იცვლება. ქვაბულში მდებარეობს კურორტი წყალტუბო მის მიდამოებში არსებული ქვემო იმერეთის სოფლებით. წყალტუბოს ქვაბულში დღეისათვის, ქართველ გეოგრაფთა მიერ გამოვლენილია მეტ–ნაკლებად შესწავლილი სამ ათეულზე მეტი მღვიმე — წყალტუბოს, ხომულის, ყუმისთავის, ქვილიშორის, წიამწკვარამის, ცხუნკურის, წკვარამისწყაროს, ხაფის, თავუკუღმა ღელის, საწურბლიას, სოლკოტას, სარყუმალის, ოღასყურას და სხვ., რაც დიდ ტურისტულ ღირებულებას ანიჭებს რეგიონს.

ქვერაიონი ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული ჰავით, სადაც დამახასიათებელია თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთის ზღვიური ქარები. საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5°–ს შეადგენს, იანვრის საშუალო ტემპერატურა 5,2°–ია, ივლისის 23°. წელიწადში საშუალოდ, 1600–1829 მმ ნალექი მოდის. ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის ზედაპირული და კარსტული წყლები. მნიშვნელოვანი მდინარეა სემი, რომელიც რაიონისათვის ტრანზიტულია. გაბატონებულია კორდიან–კარბონატული ძლიერ ხირხატიანი, ალუვიური და ყვითელმიწა ნიადაგები. ქვერაიონის დაბლობ ზონაში ადრე კოლხური ტიპის ტყე იყო გავრცელებული, მაგრამ ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედებით მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამ

ტყის მთავარი შემქმნელი ჯიშებია რცხილა, მუხა, ცაცხვი, იფანი და სხვ. მარადმწვენე ქვეტყიდან წარმოდგენილია შქერი, წყავი, ბაძგი, თაგვისარა (ჩხეიძე, 2009:184–185). აღნიშნული ბუნებრივი პირობები განაპირობებს რეკრეაციული დასვენების ნაკლებად სეზონურ ხასიათს. რბილი ზამთარი და ზომიერად ცხელი ზაფხული ნალექების თანაბარი განაწილებით, მთელი წლის განმავლობაში საკურორტო მკურნალობის უწყვეტი რეჟიმის შესაძლებლობას იძლევა.

რადგან განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სიღარიბის დაძლევისათვის ერთ–ერთი მნიშვნელოვან ფაქტორად ტურიზმი მიიჩნევა, სპეციალურად შემოღებული იქნა ტერმინი „პრო–ღარიბული ტურიზმი" (შუბლაძე, 2006:24) ის განსხვავებული მიდგომაა, რომელიც ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობას აძლევს საშუალებას მიიღონ ეკონომიკური სარგებელი ტურიზმიდან სამართლიანი და მდგრადი განვითრების გზით. ეს სარგებელი კი გულისხმობს:

- ✓ შემოსავლებს დასაქმებითა და მცირე ბიზნესის განვითარებით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარებას გზების კეთილმოწყობით, მუდმივი ელექტროენერგიით უზრუნველყოფით, საკანალიზაციო ქსელის შექმნით და გამდინარე წყალზე ხელმისაწვდომობით;
- ✓ გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობას ("Tourism and Local", 2004:2).

ანუ ტურიზმის ეს სახეობა ახდენს შემოსავლების უზრუნველყოფას ღარიბთათვის. ამ სახით, ტურიზმის სტრატეგია ორიენტირებულია არა იმდენად მთლიანი ტურიზმის სექტორის განვითარებაზე, არამედ მეტწილად ღარიბთათვის ტურიზმში მონაწილეობის განსაკუთრებულ შესაძლებლობებზე (შუბლაძე, 2006:24).

როგორც კვლევებიდან ("Major issues", 2005; da Cunha, S. & da Cunha, J., 2005; "Tourism and Local", 2004; Ashley, Boyd, &Goodwin, 2000; Ashley, 2002; შუბლაძე, 2006) ჩანს, სიღარიბის შემცირებაზე ორიენტირებული ტურიზმი გარკვეულ სარგებელს თვით დარგისათვისაც იძლევა, კერძოდ:

- ✓ ადგილობრივი მოსახლეობა მცირე შემოსავლებითა და კვალიფიკაციის გარეშე, სიამოვნებით თანხმდება სასტუმროებში, გასართობ და კვების ობიექტებზე დასაქმებას. ეს კი თავის მხრივ დამქირავებელს საშუალებას აძლევს თავიდან

აიცილოს შრომითი რესურსის გადინება განსაკუთრებით, არასეზონურ პერიოდში (“Major issues”, 2005:3);

- ტურისტული ბიზნესი, ხშირად იძენს ადგილობრივად ნაწარმ კვების პროდუქტებს, რითაც ზრდის ეკონომიკურ სარგებელს ღარიბი მოსახლეობისათვის. მეორეს მხრივ, თავად ბიზნესისათვის ეს შეთავაზება ხელსაყრელია ფინანსური თვალსაზრისით, რასაც ლოკალურად მოყვანილი პროდუქტის უპირატესობაც ემატება. საქართველოს მაგალითზე, ჩვენი კვლევის ფარგლებში, იმერეთის რეგიონის ბალნეოლოგიურ კურორტებზე, მსგავსი კომერციული ურთიერთობები განმსაზღვრელი აღმოჩნდა ორივე მხარის ეკონომიკური სარგებლიანობისათვის. ამასთანავე, მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავად მოახდინოს საკუთარი სასურსათო პროდუქტების თუ ხელით ნაკეთობათა რეალიზება უშუალოდ ტურისტებთან. კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთის კურორტებზე ადგილობრივად ნაწარმ სურსათს, უფრო აქტიურად იძენენ უცხოელი ვიზიტორები, ვიდრე ქართველი დამსვენებლები. როგორც წესი, ასეთი ურთიერთობა არაფორმალურია, თუმც სათანადო ტრენინგის პირობებში და ლოკალური მუნიციპალიტეტების დახმარებით, ეს სექტორი შეიძლება ორგანიზებული გახდეს (როგორც ამას აქვს ადგილი პრომეთეს მღვიმის რეკრეაციულ ზონაში), დაიხვეწოს პროდუქციის ხარისხი და შეთავაზების მენეჯმენტი, რათა უფრო მეტი სარგებელი მიიღონ, როგორც მასპინძლებმა, ასევე ტურისტებმა.
- გარკვეული დროის შემდეგ ტურისტულ ადგილებზე, ახალი სტრუქტურები ჩნდება ღამისთევის, კვების, გართობის ობიექტების სახით, რომელსაც მიღებული გამოცდილებით, რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობა ან მცირე გაერთიანებები აფუძნებენ. ისინი თავად უძღვებიან ახალ ბიზნესებს და შესაბამისად, ტურიზმის დარგის რეკლამირებასაც ახდენენ (“Major issues”, 2005:4);
- ტურიზმის ახალი მიმართულებებისა და ობიექტების განვითარება, რომლებსაც ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობა აფუძნებს, ბიძგს აძლევს ისეთი ტურისტული ნიშის ჩამოყალიბებას, როგორიცაა ეკო–, სათავგადასავლო,

სასოფლო ტურიზმი და სხვ. გარკვეული დროის შემდეგ ეს ახალი ბაზრები ტურიზმის მთავარ მიმართულებასთან ერთად, კიდევ უფრო მძლავრ როლს თამაშობს სიღარიბის დაძლევაში, რადგან მეტ შრომით რესურსს და ბაზრის დივერსიფიკაციას საჭიროებს, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა უფრო აქტიური ხდება. ამ ინტეგრირების შედეგად კი, ძირითადი ტურისტული ბიზნესი, წარმატებით აფართოებს საკუთარ წილს ბაზარზე. ფინანსურის გარდა, რეგიონის წინსვლას არაეკონომიკური სარგებელიც ახლავს თან, რაც ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებასა და გაცნობა-გაზიარებას გულისხმობს, რაც არც თუ იშვიათად ეროვნული სიამაყის საფუძველიც ხდება ("Major issues", 2005:5; Ashley, Boyd, & Goodwin, 2000:5)

ტურიზმის განვითარება იმავდროულად, შეიძლება დიდი გამოწვევაც აღმოჩნდეს ღარიბი რეგიონისათვის, თუკი არ მოხდა მისი ოპტიმალურად მართვა. დარგის სწრაფი აზევება ხშირად, ფასების სწრაფ მატებას იწვევს, რაც ტვირთად აწვება ადგილობრივ მოსახლეობას. გარდა ამისა, ძლიერდება როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურულ რესურსებზე ზეწოლა, რაც მრავალ ფასეულობას მოხმარების საგნად ან კომერციულ ნივთად აქცევს. ერთ–ერთი სერიოზული პრობლემაა ის, რომ ღარიბ მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება საბანკო კრედიტზე და არც სათანადო ცოდნა აქვს ბაზრის რეგულირების მოქმედების შესახებ. ამიტომ სულ არსებობს იმის საფრთხე, რომ ლოკალურ ტურისტულ რესურსებს უფრო დიდი და გამოცდილი ბიზნესმენები დაეპატრონებიან და მკვიდრი მოსახლეობა მათ მოიმედედ დარჩება. ამიტომ ადგილობრივი ადმინისტრაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზების როლი, დაიცვან სათანადო ბალანსი ღარიბთა სასარგებლოდ, მეტად მნიშვნელოვანია („Major issues", 2005:10; Ashley, Boyd, & Goodwin, 2000:4).

სოფელი ყუმისთავი, წყალტუბოდან 12 კმ–ის დაშორებით, წყალტუბოს ტალღოვან ვაკეზე, მდინარე ყუმის (გუბისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 220 მეტრზე მდებარეობს. თავად მღვიმის სიმაღლე ზ.დ. 100 მეტრს არ აღემატება. კარსტული ობიექტი გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მისი მთავარი შესასვლელიდან 60 მ–ის სიღრმეზე, სიფონური ტბა მდებარეობს, საიდანაც გამოედინება მდინარე ყუმი (ქსე, 1986: 663). მღვიმის ფართობი 46,6 ჰა–ია, ჭერის

სიმაღლე 20–25 მეტრი, ხოლო ტურისტული ბილიკის სიგრძე 1420 მ–ს შეადგენს. მღვიმე მოიცავს 17 სხვადასხვა ზომის დარბაზს და მდიდარია კალციტის ნაღვენთებით (სფეროსებური, დაკიდული ფარდისებრი, ტალღოვანი სტალაქტიდები, გაქვავებული ჩანჩქერები, მღვიმური მარგალიტები). გასასვლელი ბოლოვდება მდინარე ყუმით, რომელზეც ნავით გასეირნებაა შესაძლებელი (პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი, 2014).

როგორც უკვე აღინიშნა, ტრანსდისციპლინარიზმის კონცეფცია გულისხმობს პროცესში ჩართული აქტორების, იგივე სტეიქჰოლდერების კვლევას. პრომეთეს მღვიმის ტურისტული ობიექტის შესწავლის ჩვენეული სტრატეგია სწორედ მიმართული იყო ტურიზმის სექტორში ჩართული სამთავრობო, კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა და რეგიონის მოსახლეობის როლისა და საქმიანობის კვლევისაკენ.

*სახელმწიფო სტრუქტურები* აქ წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოსა (ადმინისტრაცია) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სახით. ადმინისტრაცია, რომლის პასუხისმგებლობა ყველაზე დიდია მართვისა და ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის, ქმნის საქმიანობის სტრატეგიას, ატარებს ტრენინგებს გამცილებლებისათვის მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფს ვიზიტორთა ხარისხიან მომსახურებას რამოდენიმე ენაზე, მონიტორინგს აწესებს და ზრუნავს ობიექტის ბუნებრივ და ტექნიკურ ინფრასტრუქტურაზე, აქვს კომუნიკაცია სოფლის მოსახლეობასთან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის მიზნით, პასუხისმგებელია ტურისტთა და პერსონალის უსაფრთხოებაზე, უზრუნველყოფს კერძო ბიზნესების (კვებისა და ღამისთევის ობიექტები, გარე მოვაჭრეები) საქმიანობას კანონმდებლობის ფარგლებში.

*მუნიციპალიტეტის* როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პრომეთეს მღვიმის კეთილმოწყობის საწყის ეტაპზე, როცა დაიგო გზა და სოფელი რაიონის საავტომობილო მაგისტრალს დაუკავშირდა. ამასთან ერთად, აღდგა რეგულარული მუნიციპალური სატრანსპორტო მიმოსვლა რაიონულ ცენტრთან. თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობას ფეხით უხდებოდა აღნიშნული მანძილის

გავლა. დღეისათვის, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს ნაგვის გატანას ტურისტული ობიექტის ტერიტორიიდან.

კვლევის პროცესში გამოვლინდა სუსტი კოორდინაცია კონსულტაციების დონეზე ადმინისტრაციასა და კერძო ბიზნესს, ასევე ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის. ვგულისხმობთ კერძო ბიზნესებისა და მოსახლეობის ნაკლებ ხელმისაწვდომობას მარკეტინგულ ინფორმაციაზე კომერციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით. მიგვაჩნია, რომ ტრენინგებისა და კონსულტაციების სახით, ადმინისტრაციამ უნდა გამოძებნოს სათანადო რესურსი იმისათვის, რომ ითანამშრომლოს კერძო ბიზნესთან და მიაწოდოს მას ინფორმაცია ტურისტულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ტურიზმში მოღვაწე სამთავრობო სტრუქტურები წინასწარ აცნობენ ლოკალურ მოსახლეობას პოტენციურ ინვესტორს, რომელიც ადგილობრივებისაგან მაგალითად, მიწის შეძენითაა დაინტერესებული. აძლევენ მათ ინფორმაციას ბაზარზე მიწის ფასების შესახებ, უხსნიან გარიგების დადებითი და უარყოფითი მხარეების, ასევე მოსალოდნელი მოგებისა და დანაკარგის შესახებ (Ashley, Boyd, and Goodwin, 2000:3) რათა დაიცვან საკუთარი მოსახლეობის ინტერესები და უფლებები.

პრომეთეს ტურისტულ კომპლექსზე სრულიად არ ჩანს *არასამთავრობო სექტორი,* რომელსაც შეუძლია დამწყებ მეწარმეთა ინფორმირება თუ როგორ წარმართონ ბიზნესი და როგორი მომსახურება შესთავაზონ ვიზიტორებს. პრომეთეს მღვიმის რეკრეაციულ ობიექტზე ტურისტული ჯგუფები წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით მიდიან და მათი კვებითი მომსახურება შემომყვან ტურსააგენტოებს ადგილზე დაგეგმილი არ აქვთ. არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, შესაძლებელი იქნებოდა ბიზნესის წარმართვის სწავლება ადგილობრივი კერძო მეწარმეებისათვის ტურსააგენტოების დაინტერესების მიზნით, მაგალითად: ტურისტებისათვის განსაკუთრებული მენიუს, ასევე ხელსაყრელი ფასებისა და განსხვავებული მომსახურების შეთავაზებით (მაგ. ლანჩი მხოლოდ ადგილზე მოყვანილი ე.წ. ორგანული პროდუქტით ან განსაკუთრებული კერძის/სასმელის დაგემოვნებით, კონკურენტული ფასით, ეგზოტიკური ბუნებრივი გარემოს შეთავაზებით ანუ დამატებითი ფასეულობის (Added Value) შექმნითა და ხარისხის

მენეჯმენტის უზრუნველყოფით). სამომავლოდ, თუკი პრომეთეს მღვიმის ტური გახანგრძლივდება საწურბლიის მღვიმის მარშრუტით, რომლის კეთილმოწყობაც ახლა მიმდინარეობს, ვფიქრობთ, მეტი შესაძლებლობა შეიქმნება კვებითი მომსახურების ადგილზე შეთავაზებისათვის, რაც ასევე ხელს შეუწყობს ადგილზე ღამისთევის ობიექტების დატვირთვასაც.

პრომეთეს მღვიმის ტურისტული კომპლექსის კვლევისას ცალკეულ *კერძო ბიზნესთა* მხრიდან, გამოჩნდა ინფორმაციის არქონა არსებული მარკეტინგული სიტუაციის, კერძოდ კი ბაზარზე ტურისტული მოთხოვნების შესახებ. ბიზნესის მფლობელები და მენეჯერები უჩივიან ტურისტთა მცირე მიმართვიანობას კვების ობიექტებზე, მაშინ როცა ვიზიტორთა ნაკადები ყოველწლიურად მზარდია. რამოდენიმე კაფე და რესტორანი, რომლებიც უკეთ ფუნქციონირებს, მენეჯმენტში საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა, კარგად იცნობს სიტუაციას სოფლად და შედეგად, ბიზნესსაც ამ გამოცდილებითა და საკუთარი სოციალური რესურსებით უძღვება. ასეთი სიტუაცია კი სხვა ინვესტორებს არათანაბარ პირობებში აყენებს. ამდენად, საველე სამუშაობის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტურისტული ობიექტის შექმვფიქრობთ, რომ სამთავრობო სტრუქტურების (მუნიციპალიტეტი, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია) და არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანმიმართული კონსულტაციები, უთუოდ წაადგებოდა მცირე მეწარმეობის განვითარებას, ხელს შეუწყობდა მოსახლეობის სტიმულირებას ბიზნეს საქმიანობისათვის და შექმნიდა ჯანსაღ კონკურენციას ბაზარზე. ნის უპირველესი მიზანი, თავად დარგის შექმნა და ჩამოყალიბებაა, რომელსაც ირიბად თან მოჰყვება კერძო ბიზნესების სტიმულირება. მისი განვითარება ჩვენს შემთხვევაში, მთლიანად თვითრეგულირებადი პროცესია და მცირე გამონაკლისების გარდა ვერ პასუხობს ტურისტული ბაზრის მოთხოვნებს.

საკვლევ რეგიონში პროცესების თანამონაწილე და ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე *მკვიდრი მოსახლეობაა,* რომელიც 490 კომლითაა (მონაცემები საჯარო რეესტრიდან) წარმოდგენილი (თუმც, დიდი ნაწილი მუდმივი მოსახლე არ არის და მხოლოდ სეზონურად აკითხავს საკუთარ კარ–მიდამოს).

ჩვენი რესპონდენტი ოჯახების უმეტესობიდან, ერთი წევრი მაინც არის დასაქმებული პრომეთეს მღვიმის ტურისტულ ობიექტზე ან რაიმე საქმიანობით უკავშირდება მას –– სტაბილური შემოსავალი ხელფასის სახით ან არასტაბილური სეზონური შემოსავალი მცირე ბიზნესისაგან, რომელიც არაერთგვაროვნად აისახება ოჯახების კეთილდღეობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში (Ashley, 2002; Ashley, Boyd, and Goodwin, 2000) ერთ–ერთი მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად განსხვავებულ გავლენას ახდენს ტურიზმის განვითარება ადგილობრივ ღარიბ და არა–ღარიბ ოჯახებზე, საიდანაც უფრო ხშირად, არაკვალიფიციური შრომითი რესურსია დარგთან დაკავშირებული. საკითხი, რომელიც პრობლემურად ისმება არის ის, ვინ უფრო მეტად სარგებლობს ღარიბი თუ შედარებით არა–ღარიბი ოჯახები? ან როგორ შეიძლება ტურიზმი ამ სოციალურ სეგმენტზე იყოს ორიენტირებული? (Ashley, 2002:17).

ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, რაც ამ შემთხვევაში დგება არის შინამეურნეობების სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრა –– რომელი განეკუთვნება ღარიბ, შედარებით არა–ღარიბ და არა–ღარიბ (poor, not-so-poor, non-poor) ოჯახებს. რაოდენობრივად ამის განსაზღვრა ძნელია, ამიტომ უფრო რეალურად, სიღარიბის ისეთი კრიტერიუმები მივიჩნიეთ, როგორიცაა მაგალითად: დასამუშავებელი მიწების სიმცირე, არარეგულარული შემოსავალი, ქვრივის ოჯახი, სხვაზე დამოკიდებული პირი, კვალიფიკაციის არმქონე, არამუდმივი სამუშაო, უმუშევარი (Ashley, 2002:11), რომელსაც დავამატეთ ჩვენეული პარამეტრებიც –– მკურნალობის ხარჯებზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, ოჯახში დასაქმებულ წევრთა რაოდენობა ანუ შრომითი საქმიანობისა და შემოსავლების დივერსიფიკაცია, აღებული მოსავლის რაოდენობა, მრავალფეროვნება და მოხმარების სტრუქტურა (სასქონლო ან სამომხმარებლო მიზნით), საბანკო კრედიტზე ხელმისაწვდომობა, ბიზნესის წარმართვა, ცილოვანი პროდუქტების მოხმარების სიხშირე. აქედან გამომდინარე მოვახდინეთ შინამეურნეობათა კლასიფიცირება ეკონომიკური და სოციალური სტატუსების მიხედვით:

***„ღარიბს“*** მივაკუთვნეთ ის შინამეურნეობა, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთზე მხოლოდ რამოდენიმე ძირი ხე–ხილი აქვს, დაკრეფილი ხილის გაყიდვით აღებული

ფული კი სიმინდის მთლიან მოსავალთან ერთად 3–4 თვე ჰყოფნის, არ ჰყავს პირუტყვი და მხოლოდ მცირე რაოდენობის ფრინველს უვლის; ოჯახში ერთი წევრი მუშაობს არაკვალიფიციურ სამუშაოზე ტურისტულ ობიექტზე და მისი ხელფასი მხოლოდ ნაწილობრივ წვდება შინამეურნეობის ხარჯებს. ოჯახის რომელიმე წევრის მასშტაბური მკურნალობის შემთხვევაში, ბანკიდან სესხის აღებაც უწევს, რომლის დაფარვას ეტაპობრივად, ხელფასიდან ახდენს; ემიგრაციიდან ფინანსურ გზავნილს არ ღებულობს, კვირეების განმავლობაში მენიუში ხორცი არ აქვს, ფლობს ერთ საცხოვრისს და შემოსავალი ტურიზმიდან ოჯახის ძირითადი საარსებო წყაროა;

*„შედარებით არა–ღარიბად“* მივიჩნიეთ შინამეურნეობები ოჯახის წევრთა დივერსიფიცირებული სტაბილური ან არასტაბილური სამუშაოთი, მაგალითად: ტურისტულ ობიექტზე დასაქმებული ერთი წევრით კვალიფიციურ ან არაკვალიფიციურ სამუშაოზე სახელფასო ანაზღაურებით; მეორე, სეზონური შემოსავლით მცირე ბიზნესისაგან (ტურისტულ ობიექტზე სურსათის ან სუვენირების გაყიდვით); მესამე წევრი საკარმიდამო მეურნეობის გაძღოლით (ვენახისა და პირუტყვის მოვლა, რძის პროდუქტების წარმოება) ან ეზოს გაქირავებით პიკნიკისათვის. საკარმიდამოს გარდა ასეთ ოჯახებს, სხვა მიწის ნაკვეთიც აქვთ (უპირატესად სიმინდის ნათესებით), საიდანაც აღებული მოსავალი, თითქმის მთელი წელი ჰყოფნით;

*„არა–ღარიბი“* ოჯახების წევრებს აქვთ სტაბილური შემოსავალი კვალიფიციური სამსახურიდან (გიდები, რეინჯერები), ხოლო შინამეურნეობის სხვა წევრები მართავენ საოჯახო ბიზნესს (ძირითადად კაფეს სახით) ან აქირავებენ რამოდენიმე საძინებელ ოთახს საკუთარ სახლში ტურისტებზე; სეზონზე ჰყავთ კლიენტურა, იხდიან საბანკო კრედიტს და მიღებულ შემოსავლებს ანაწილებენ არასეზონურ პერიოდზეც. ასეთი ოჯახები ასევე ეწევიან სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, ზოგიერთ მათგანს კი აქვს ემიგრაციიდან შემოსავალი ფინანსური გზავნილის სახითაც.

და ბოლოს, *„შეძლებულად“* მივიჩნიეთ შინამეურნეობა, რომელთა საკუთრებაშია სასტუმრო ან რესტორანი. ხშირად, მათი საქმიანობა მხოლოდ ტურისტულ ობიექტთან კავშირით არ შემოიფარგლება. ისინი ასევე მასპინძლიბენ

ვიზიტორებს ახლო მდებარე ქალაქებიდან, რომელთა სტუმრობის მიზეზი პრომეთეს მღვიმის რეკრეაციულ ობიექტს არ მიემართება. მსგავსი კომერციული სტრუქტურების მფლობელები, ჩვენს საკვლევ რეგიონში, ქართველი ინვესტორები არიან, რომლებმაც ადგილობრივებისაგან შეიძინეს მიწა ბიზნესისათვის, თავად სოფლად არ ცხოვრობენ და ობიექტს მენეჯერები მართავენ. მომსახურე პერსონალი კი ძირითადად, სოფლის მკვიდრია.

კვლევისას, ჩვენს მთავარ მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა თუ რამდენად განსხვავებულად მოქმედებს ტურიზმის განვითარება მოცემულ რეგიონში სხვადასხვა სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებზე, ვინ სარგებლობს მეტად და რატომ?

კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ ოთხივე კატეგორიის შინამეურნეობის წევრები. შედეგებმა აჩვენა, რომ ტურიზმის დარგის განვითარებით, უფრო მეტად *არა–ღარიბი* ოჯახები სარგებლობენ ანუ ის შინამეურნეობები, რომელთაც აღმოაჩნდათ სათანადო მატერიალური და არამატერიალური რესურსი, რომელიც ინვესტიციის სახით შესთავაზეს ტურისტულ ბაზარს — კვალიფიკაცია, მოსავალი საკრმიდამო ნაკვეთიდან, გასაყიდი მიწა, შედარებით კეთილმოწყობილი ეზო გასაქირავებლად პიკნიკისათვის და ა.შ. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ტურისტული ობიექტის არსებობა, თავისთავად არ ნიშნავს ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობის მხარდაჭრას, ანუ საკუთარი რესურსით თანამონაწილეობა გადამწყვეტია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ *შეძლებული* ოჯახის მფლობელობაში არსებული რესტორანი, რომელშიც სერიოზული ინვესტიციაა ჩადებული, პრომეთეს მღვიმეზე მოსული ტურისტებით ნაკლებად იტვირთება, თუმც მენეჯმენტის მხრიდან არ ჩანს რაიმე მცდელობა სიტუაციის შეცვლისა. ვფიქრობთ, რომ სოფელ ყუმისთავში, ტურიზმის განვითარება მოცემული მოკლე პერიოდისათვის, ჯერ–ჯერობით ვერ უნდა ახდენდეს მნიშვნელოვან გავლენას შეძლებული ოჯახების შემოსავლებზე, რადგან ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურაში ჩადებულ ინვესტიციას უკუგებისათვის, დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდი ჭირდება. სამომავლოდ კი, როცა ყუმისთავის მარშრუტი გაგრძელდება საწურბლიას მღვიმემდე („საქართველოში კავკასიაში“, 2018), შესაძლებელია აღნიშნული ობიექტი

უფრო დატვირთული აღმოჩნდეს და ადექვატური გახდეს ტურისტთა მოთხოვნებისათვის. გარდა ამისა, გადამწყვეტად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ რესტორანი არ/ვერ თანამშრომლობს ტუროპერატორებთან. მის მიმართ ნაკლები ინტერესი კი ვფიქრობთ, დიდწილად, არაინფორმირებულობით უნდა იყოს განპირობებული.

საველე სამუშაოების ანალიზმა ასევე ვერ აჩვენა ტურიზმის არსებითი გავლენა რეგიონის *ღარიბ* მოსახლეობაზე. ასეთი ოჯახები ვერაფერს სთავაზობენ (ფულადი და არაფულადი რესურსები) ტურისტულ ბაზარს. შესაბამისად, უკუგებაც ნაკლები აქვთ. რადგან საქართველოს ტურიზმის პოლიტიკა, პირველ რიგში თავად დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული და ლოკალურ მოსახლეობაზე მის დადებით გავლენას თანამდევ პროცესად მოიაზრებს, ღარიბი ოჯახები პროცესის მთავარი

ბენეფიციარ33ები ვერ არიან. თუმც, ჩვენს შემთხვევაში, სოციალური კაპიტალის (პროფესიული უნარები) და სხვა რესურსების არქონის მიუხედავად, ასეთი შინამეურნეობის თუნდაც ერთი წევრის დასაქმება ტურისტულ ობიექტზე (სტაბილური ხელფასით), საკმაოდ ზრდის მათ ჩართულობას თემსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში და უდაოდ, დადებითად უნდა შეფასდეს.

რეგიონში ტურიზმის განვითარების შედეგად გამოწვეული ცვლილებებით, უკეთესად სარგებლობენ *შედარებით არა–ღარიბი* ოჯახები. ამას ხელს უწყობს მათი ინიციატივა – შრომითი საქმიანობის დივერსიფიკაციის გზით გაზარდონ საკუთარი შემოსავლები. გარე ვაჭრობა და სტაბილური ხელფასი დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოდან პრომეთეს მღვიმის ტურისტულ ობიექტზე, სასოფლო–სამეურნეო საქმიანობასთან ერთად, ზრდის მათ შემოსვლებს. მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ტურისტულ ობიექტზე დასაქმებამ ცალკეულ შემთხვევებში, შეაჩერა ქალთა გადინება სეზონურ სამუშაოებზე თურქეთში.

ვფიქრობთ, საკვლევ რეგიონში ტურიზმის განვითარება, ყველაზე ეფექტურად *არა–ღარიბ* ოჯახებზე აისახა. გამოიყენეს რა საკუთარი მატერიალური და სოციალური/ჰუმანური/ინტელექტუალური რესურსები (საცხოვრისი, კვალიფიკაცია, გამოცდილება, ფულადი და სხვა არაფულადი კაპიტალი), მათ ყველაზე უკეთ შეძლეს შრომითი საქმიანობის დივერსიფიკაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა

შემოსავლები ტურისტული ბიზნესიდან. მათ შეძლეს, რომ მრავალფეროვანი საქმიანობით მიეღოთ სარგებელი ტურიზმიდან --- დასაქმება კვალიფიციურ სამუშაოზე, მიწების იჯარით გაცემა ან რამოდენიმე ნაკვეთის ქონის შემთხვევაში გაყიდვა, კერძო ბიზნესის აწყობა (ძირითადად კაფე ან ლუდხანა), სასოფლო–სამეურნეო საქმიანობა და სხვ.

კვლევის პროცსში, თითქმის ყველა რესპონდენტ ოჯახში წარმოჩნდა *პრობლემა* დემოგრაფიული სტრუქტურის დისბალანსის სახით, რაც შრომისუნარიანი ასაკის ახალგაზრდა თაობის ნაკლებობაში გამოიხატება. ეს ფაქტორი, აქტიური ბიზნესის წარმართვისათვის ხელისშემშლელ პირობად მივიჩნიეთ. შინამეურნეობათა უმეტესობა მშობლებისა და მცირეწლოვანი შვილების ან მხოლოდ ხანდაზმული მშობლების თაობით არის წარმოდგენილი. ახალგაზრდა სრულწლოვანი კონტინგენტი კი დედაქალაქშია. მით უფრო უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე მათ არ აქვთ სურვილი ოჯახის ბიზნესში თანამონაწილეობისა, რომლის წინაპირობა მრავალი შეიძლება იყოს — ფინანსების სიმცირე, უფრო სერიოზული საქმიანობა ქალაქად, დროის მოკლე პერიოდი იმისათვის, რომ ტურისტულ ბიზნესში ჩართვა საიმედოდ მიიჩნიონ და სხვ.

ხელისშემშლელ ფაქტორებს შორისაა ფინანსების სიმწირეც. რადგან *ღარიბებს* არ აქვთ სტაბილური ფულადი შემოსავალი და  არც კომერციულ საქმიანობას ეწევიან, მათ ბანკის კრედიტზე ხელი არ მიუწვდებათ. თუმც, ბანკის მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო,  ეს საკითხი ასევე პრობლემურია *შედარებით არა–ღარიბი* ოჯახებისთვისაც, რომელთაც სურთ საკუთარი მცირე ბიზნესის გაფართოვება. გარდა ამისა, მათ უმეტესობას, კომერციული საქმიანობისათვის თავიდანვე სამომხმარებლო სესხი აქვს აღებული, რადგან ბანკები სტარტაფებზე, თითქმის არ გასცემენ კრედიტს.

ამავე კატეგორიის ოჯახების კიდევ ერთ პრობლემას მღვიმეში შესასვლელი ბილეთების გაძვირება წარმოადგენს. ისინი ეზოებს აქირავებენ საპიკნიკედ, რომელზეც მოთხოვნა ყველაზე მეტად სასკოლო ექსკურსიების მხრიდანაა. როგორც რესპონდენტები მიუთითებენ, აღნიშნული მიზეზის გამო, შემცირებულია

მოსწავლეთა ორგანიზებული ჯგუფების შემოსვლა, რაც მათ შემოსავლებზე პირდაპირ აისახება.

ერთ–ერთი პრობლემა, რომელიც კვლევამ დაგვანახა ტურისტთა მიღების ელექტრონული დაჯავშნის სისტემის არქონაა, თუმც ამ ეტაპზე, ხელმძღვანელობა მის საჭიროებას ვერ ხედავს. თვლიან, რომ რადგან ყველა ვიზიტორს სისტემაზე ხელი არ მიუწვდება, ზოგი ტურისტული ჯგუფისათვის წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დრო, გაახანგრძლივებს დაყოვნებას სპონტანურად მისული დამთვალიერებლისათვის, რომელიც ამჟამად, 20 წუთს არ აღემატება. ჩვენის მხრივ, მიგვაჩნია, რომ წინასწარი რეგისტრაცია, უფრო მოწესრიგებულს გახდიდა თითოეულ ვიზიტს, რადგან ზოგჯერ, რიგში დგომის ხანგრლივობა სეზონის პიკზე რამოდენიმე საათსაც კი ითვლის.

ტურიზმის განვითარებას ხშირად თან ახლავს უარყოფითი გავლენა ლოკალური თემის ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივი გარემოს მდგრადობაზე, როგორიცაა ხმაური, დაბინძურება, უძრავი ქონებით სპეკულირება, დაცული ტერიტორიების არასწორად გამოყენება, მომხმარებელთა სტრუქტურისა და ქცევის ცვლილება, იდენტობისა და ადგილობრივი კულტურის ტრანსფორმაცია და სხვ. ზემოქმედების ინტენსივობა და მიმართულება (როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის) დამოკიდებულია ლოკალურ სოციალურ აქტორებზე/სტრუქტურებზე, მათ მენეჯმენტზე მიაღწიონ საერთო მიზნებს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებაში, ბაზრების კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, ტურისტული ადგილის მიზიდულობის გაფართოებაში, კულტურული და ბუნებრივი გარემოს დაცვაში და ა.შ.( Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C.,2005: 48).

გვინდა ავღნიშნოთ იმ ანთროპოგენური გავლენის შესახებ, რომელიც გარკვეულ რისკებს შეიცავს და საფრთხეს უქმნის ტურისტულ ობიექტსა და თავად დარგის შემდგომ გაფართოებას.

რადგან დაცული ტერიტორიების არეალში სამოსახლო ზონაც შემოდის, პრობლემად რჩება ტერიტორიების დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. წყალტუბოს რაიონი მთლიანად კარსტულ რელიეფზეა განფენილი, შესაბამისად, ხშირია ზედაპირზე კარსტული ძაბრების

გამოვლინება. როგორც ბუნებრივ სასულეს, მოსახლეობა მათ ნაგავსაყრელად იყენებს (როგორც მყარი, ასევე თხევადი ნარჩენებისათვის). ასეთი ქმედება უაღრესად ართულებს არა მარტო ჯერ კიდევ აუთვისებელი მღვიმეების ეკოლოგიურ მდგომარეობას, არამედ მთლიან ბუნებრივ სისტემას — ნარჩენები აბინძურებს ნიადაგს, ხვდება გრუნტის წყლებში, რომლითაც ის კორდიანი ზედაპირი საზრდოობს, მოსახლეობა რომ საქონლის საძოვრად იყენებს. გარდა ამისა, ზარალდება მთლიანი არეალის რეკრეაციული პოტენციალი. საქმე ის არის, რომ წყალტუბოს ტალღოვან ვაკეზე ათვისებული კარსტული ობიექტების პოპულარობა მზარდია და სულ უფრო მეტ ტურისტს იზიდავს. ახლო მომავალში, სავარაუდოდ, მოიმატებს სათავგადასავლო ტურიზმის (ე.წ. ექსტრემალური ტურიზმის) მოყვარულთა რაოდენობაც, რომელთაც აუთვისებელი მღვიმეები აინტერესებთ. მსგავსი დაბინძურების პირობები კი, მხოლოდ დააფრთხობს ვიზიტორებს და მეტად უარყოფითად იმოქმედებს საერთო ტურისტულ იმიჯზე. იგივე შედეგამდე მიგვიყვანს ისეთი პრობლემაც, როგორიცაა კოცონების დანთება მღვიმეებში. ჭვარტლი აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს გეოლოგიური ეპოქების განმავლობაში შექმნილ მღვიმის მორფოსტრუქტურას. შედეგად, ვღებულობთ ურთიერთგამომრიცხავ ვითარებას, რომელიც პირიქით, ყველას საერთო ინტერესი უნდა იყოს — ხელი შეეწყოს ტურიზმის გაფართოებას რეგიონში, რათა მეტმა ადგილობრივმა ისარგებლოს ამით. სანაცვლოდ, მოსახლეობა იმას ანადგურებს, რაც ახლო მომავალში რეალურად, მათი ოჯახების შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

არცთუ იშვიათად, ლანდშაფტების ათვისებისას ყალიბდება კონფლიქტური სიტუაცია. მათ შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანია სამეურნეო დარგებისა და დასახლებების არარაციონალური განლაგება, რომელთა მოწესრიგებაში გადამწყვეტი როლი თანამონაწილეობით კვლევებს ენიჭება გეოგრაფების, ლანდშაფტმცოდნეების, კლიმატოლოგების, ჰიდროლოგების, ეკოლოგების, ინჟინრების ჩართულობით, რომლებიც კომპლექსურად სწავლობენ საკითხს. ასეთი მიდგომის ანალიზი გულისხმობს ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხის, დონისა და მასშტაბების დადგენას, ბუნებათსარგებლობის მოწესრიგებას და სხვა მრავალი საკითხის კვლევას (დავითაია და სეფერთელაძე, 2014: 228–229).

ეკოლოგიური თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერების არსებობას ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, არამედ მათი კონცენტრაციის დონეს. ატმოსფეროში გაფრქვეული დამაბინძურებელი ინგრედიენტების 80% ავტოტრანსპორტზე მოდის, ხოლო ტექნიკურად გაუმართავი ძრავის მუშაობის პირობებში, გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია 10–15–ჯერ იზრდება. ეს მნიშვნელოვნად აუარესებს სასიცოცხლო პირობებს და უარყოფითად მოქმედებს სამეურნეო საქმიანობაზე (დავითაია და სეფერთელაძე, 2014:235). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში მოძრავი მანქანების დიდი წილი მეორად სატრანსპორტო საშუალებებზე მოდის, ამასთანავე, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონი არ ავალდებულებს მსუბუქი ავტომობილების მძღოლებს ტექდათვალიერების გავლას, იოლი შესაძლებელია, რომ ტრანსპორტის კონცენტრაციის ადგილებზე ატმოსფეროს დაბინძურება ნორმის ფარგლებში არ იყოს.

ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პრომეთეს მღვიმის კომპლექსზე ტურისტული აქტივობის ზემოქმედების მასშტაბები გარემოზე უკვე შესამჩნევია. ტურისტული ფირმების ავტობუსები, რომელთაც ჯგუფები ორგანიზებულად მიჰყავთ მღვიმის მოსანახულებლად, გამონაბოლქვით აბინძურებენ გარემოს. ლოდინის დროს მძღოლები არ თიშავენ მანქანის ძრავას სალონის უწყვეტ რეჟიმში კონდიცირების მიზნით, რაც საშუალოდ, საათზე მეტ ხანს გრძელდება. ტურისტულ სეზონზე კი ერთდროულად მოსული ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების რაოდენობა, ხშირად ოც ერთეულზე მეტია, რაც კიდევ უფრო ახანგრძლივებს ვიზიტორთა ჯგუფების დალოდების პერიოდს. გამონაბოლქვი შემაწუხებელია მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სოფლის ძალიან მჭიდრო სამოსახლო ზონა, ტურისტული ობიექტიდან სულ 5–10მ–ის მოშორებით მდებარეობს. გარდა ამისა, საქართველოში ძირითადად გამოიყენება ეთილირებული ბენზინი. მისი წვის შედეგად, გარემოში გამოიტყორცნება ტყვია, რომელიც ილექება ნიადაგზე, მცენარეებზე და რაც მთავარია ხე–ხილის ნაყოფზე, რომელსაც ადგილობრივებიც მიირთმევენ და ტურისტებსაც სთავაზობენ.

ბუნებრივ–რეკრეაციული კომპლექსების შეფასებაში, ერთ–ერთი ძირითადია მისი *ესთეტიური მიმზიდველობა* (მაგ: ტყიანობის მაჩვენებელი და ტყის სახეობრივი შემადგენლობა), *მისადგომობა და მის შიგნით მანევრირების შესაძლებლობა* (ფეხით, ველოსიპედით, მოტო და ავტოტრანსპორტით) და *მრავალფეროვნება* ანუ რეკრეაციის მიზნით მისი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა (დავითაია და სეფერთელაძე, 2014: 203) (მაგალითად, პრომეთეს მღვიმის შემთხვევაში, გამოყენება სპელეოტურიზმისათვის, პიკნიკების მოსაწყობად, კარსტული ლანდშაფტის გასაცნობად). ეს ფაქტორები ცალსახად გულისხმობს ჭარბ ტურისტულ ნაკადებს მოცემულ ობიექტზე.

პრომეთეს მღვიმის რეკრეაციულ კომპლექსზე, ასევე მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი საკმაოდ იოლი მისადგომობა. ვფიქრობთ, ეს გარემოებები გადამწყვეტია ვიზიტორთა მისაზიდად და პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული ეკოლოგიური წონაწორობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული ფაქტორები ერთის მხრივ, განაპირობებს ობიექტის პოპულარობას, მაგრამ მეორეს მხრივ, მეტად ზრდის ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბებს.

რადგან პრომეთეს მღვიმის ტერიტორია დაცულ ლანდშაფტს წარმოადგენს, ახლო მდებარე ტყეებიდან საშეშე მასალის დამზადება და გამოტანა იკრძალება. ეს ცხადია, უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს დაცულობას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სოფელი ჯერ–ჯერობით ბუნებრივი აირის მხოლოდ მოლოდინშია, ზამთრის სეზონი მძიმედ აწვება ოჯახების ბიუჯეტს. მოსახლეობას თავად უწევს ალტერნატიული საწვავის მოძიება და ძვირადაც შეძენა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- ✓ მდგრადი განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე, პრომეთეს მღვიმის ტურისტული ობიექტის შექმნა, ნამდვილად განაპირობებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ქმნის ცხოვრების უკეთეს სოციალურ პირობებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უზრუნველყოფს მღვიმისა და მიმდებარე ტყის ეკოსისტემების დაცვას. თუმც, თუკი ადგილობრივ თემზე ტურიზმის გავლენას განვიხილავთ სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის პოზიციიდან, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტად *არა–ღარიბი* ოჯახები

სარგებლობენ, რომელთაც აქვთ საწყისი ფულადი და არა ფულადი კაპიტალი, სთავაზობენ მას ტურისტულ ბაზარს და შესაბამისად, პასუხობენ კიდეც მომხმარებლის მოთხოვნებს;

- ✓ გამოიკვეთა პრობლემა, როგორც *ღარიბი* ასევე *შედარებით არა–ღარიბი* მოსახლეობისათვის, რასაც ბიზნესის წარმართვის არცოდნა ჰქვია. შეიძლება ითქვას, რომ კერძო ბიზნესი მხოლოდ პირადი კომერციული გამოცდილებით იქმნება და იმართება, ეს პროცესი კი უფრო ხშირად, მექანიკურად ვითარდება და მხოლოდ ზოგ შემთხვევაში ამართლებს. არც თუ იშვიათია, როცა შინამეურნეობა გარკვეულ რესურსს ფლობს, მაგრამ მისი მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას ტურიზმისათვის ვერ ხედავს. ასეთ ვითარებაში, მოსახლეობა ძალიან უფრთხის მცირე ბიზნესის წამოწყებას, რადგან არ აქვთ წინაპირობა იმისათვის, რომ მათი კომერციული საქმიანობა ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და წარმატებული იქნება. თუმც, მათი სურვილი და მზაობა მიიღონ სათანადო კონსულტაციები, ისწავლონ თუ როგორ დაიწყონ და წარმართონ კომერციული საქმიანობა დიდია, მაგრამ ასეთი სტრუქტურა არ ჩანს, რომელშიც როგორც სამთავრობო (მღვიმის ადმინისტრაცია), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვიაზრებთ;
- ✓ სოფლის ბუნებრივი გარემო ჯერ–ჯერობით, იტანს მზარდ ტურისტულ ნაკადებს, თუმც არსებული დინამიკა რამოდენიმე წელიწადში დღის წესრიგში დააყენებს პარკირების არეალის გაფართოების საკითხს, რაც პრობლემას შექმნის, როგორც მჭიდრო სასოფლო განსახლებისათვის, ასევე უარყოფითად იმოქმედებს არსებულ ეკოსისტემებზე —გაზრდის ატმოსფეროს დაბინძურებას და მოახდენს მიწის რესურსების შემცირებას. საბოლოო ჯამში აღნიშნული ცვლილებები მეტად გააუარესებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს, რაც პირდაპირ თუ ირიბად, უთუოდ აისახება ტურიზმის განვითარებაზეც. ამჟამად, მღვიმის ადმინისტრაცია მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ბუნებრივი ლანდშაფტის მდგრადობის შენარჩუნებაზე;

- ✓ ტურისტული პოლიტიკა ე.წ. „დაღმავალი ნაკადის" (trickle down) ეფექტით ვითარდება (Ashly, 2002:17). ანუ ტურიზმის ინდუსტრია იქმნება უშუალოდ იქ, სადაც ამის ბუნებრივ–გეოგრაფიული რესურსები არსებობს, რათა დარგი შეიქმნას იმ იმედით, რომ ის დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე და გამოიწვევს მეურნეობის სხვა მიმართულებების სტიმულირებას;
- ✓ ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია ვიზიტების ელექტრონული დაჯავშნის სისტემის შემოღება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მღვიმეში მისული ორგანიზებული ჯგუფებისა თუ ინდივიდუალურ ტურისტთა რიგში დაყოვნების ხანგრძლივობას;
- ✓ ხელისუფლების სამომავლო პოლიტიკა რეგიონში სპელეოტურიზმის მარშრუტების გავრცობაა, რაც ყუმისთავის გარდა სხვა სოფლებსაც მოიცავს. მსგავსი პროექტების მთავარი მიზანი ტურიზმის ინდუსტრიის გაფართოება და მეტი ვიზიტორების მიზიდვაა. თავის მხრივ, მღვიმეების გამოყენებაც მრავალფუნქციურია — სპელეოტურიზმის, სპელეოსპორტის, სამკურნალო მიზნით. მაგრამ უახლოეს პერიოდში თუ არ მოხდა ტურისტული აქტივობის გადანაწილება (დასრულებული პროექტია მხოლოდ პრომეთეს და სათაფლიის მღვიმეები) რეგიონში სხვა კარსტულ ობიექტებზე, ამ ორი ობიექტის მულტიფუნქციური დატვირთვა, უაღრესად გაზრდის უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბებს გარემოზე და დააზიანებს თავად დარგს; ასევე დაიკარგება მისი თანამდევი ეფექტი — ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც მეტად ღირებული შედეგი გახლავთ.

## 5.3. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთში — ოკაცეს კანიონი და გორდის ტურისტული კომპლექსი

იმერეთის ნაწილი, რომელიც დასავლეთ კავკასიონის ლანდშაფტურ ქვეოლქს ეკუთვნის, ასხის მთიან რაიონს მოიცავს. ასხის მასივი/პლატო სამხრეთ ფერდობის კიდურ დაბოლოებაზე მდებარეობს და ეროზიული კანიონებით მკვეთრად გამოყოფილ მორფოლოგიურ და ლანდშაფტურ ერთეულს წარმოადგენს. გეოლოგიურად მას კარსტული საფუძველი აქვს, ლანდშაფტურად კი, მთის ტყის ქვედა (ფოთლოვან), ზედა (წიწვოვან), სუბალპური და ალპური ბალახოვანი მცენარეულობის სარტყელს უჭირავს (ჩხეიძე, 2009:17).

ჩვენი საკვლევი სივრცე — ოკაცეს კანიონის ტურისტული რეგიონი, ორ გეომორფოლოგიურ ერთეულს – კინჩხის ქვაბულსა და გორდის მოსწორებულ ზედაპირს მოიცავს. ქვაბული მერიდიანულადაა გაკვეთილი მდ. ოკაცეს ხეობით, რომელიც ულამაზეს კანიონს ქმნის. ქვაბულიდან მდ. ცხენისწყლის კალაპოტამდე, ორივე ნაპირზე, სოფლები – კინჩხა, კინჩხაფერდი, ზედა და ქვემო კინჩხა მდებარეობს, ხოლო მოსწორებული ზედაპირი სოფელ გორდითაა დასახლებული (ჩხეიძე, 2009:42). სოფლებში სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიმართულება ძველადაც და ახლაც მესაქონლეობაა. 1990–იან წლებამდე ყველაზე დიდ ეკონომიკური ერთეულს გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენდა (ქსე, 1980:527).

წინამდებარე კვლევა შესრულდა პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსთან შედარებითი ანალიზის ***მიზნით,*** რათა დაგვედგინა, რამდენად განსხვავებულია მდგრადი განვითარების გავლენა იმერეთის ტურისტული რეგიონების მოსახლეობაზე ზოგადად, რამდენად მეტად/ნაკლებად სარგებლობენ ლოკალური თემები დარგის შექმნით, აქვს თუ არა მნიშვნელობა დასახლების სასოფლო–სამეურნეო ტრადიციას და ეხმარება თუ არა ძველი გამოცდილება ახლანდელი საქმიანობის, კონკრეტულად მცირე ბიზნესის წარმართვაში; რომელ მხარეში უფრო აქტიურია კომუნიკაცია მოსახლეობას, სამთავრობო/არასამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის, რომელ რეგიონში უფრო მეტ სარგებელს იღებს

მოსახლეობა ტურიზმიდან და სად უფრო უწყობს ხელს დარგი მდგრად განვითარებას; რამდენად დაცულია ბუნება, ხელმისაწვდომია თუ არა აუცილებელი რესურსი (მაგალითად, საშეშე მასალა) და უქმნის თუ არა საფრთხეს ეკოლოგიურ გარემოს ვიზიტორთა მზარდი დინამიკა.

ტურისტული დანიშნულების ადგილზე სოფლების მკვიდრი მოსახლეობა, ვიზიტორთა ცენტრის ადმინისტრაცია (როგორც სამთავრობო სტრუქტურა), ტურისტულ სექტორთან დაკავშირებული კერძო ბიზნესის წარმომადგენლები (საოჯახო სასტუმროების მფლობელები და მენეჯერები, ავტოგაქირავების მძღოლები და სხვა კომერციული სტრუქტურების მეპატრონეები), ჩვენი ***სამიზნე ჯგუფებია.***

კვლევაში აპრობირებულია ტრანსდისციპლინური მიდგომა, თვისებრივი ***მეთოდი*** სიღრმისეული ინტერვიუების სახით და კარტოგრაფიული მეთოდი GIS ტექნოლოგიის გამოყენებით.

ოკაცეს კანიონი, პრომეთეს მღვიმესთან ერთად, საქართველოში ერთ–ერთ ყველაზე აქტიურად მონახულებადი ტურისტული ადგილია (ნახაზი #1). 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, მას 71 874 ვიზიტორი ესტუმრა („ტურისტებისათვის ყველაზე პოპულარული“, 2017).

ნახაზი #1




წყარო: „პრომეთეს მღვიმე“, 2017

ჩვენი საკვლევი სივრცე საქართველოს მთიან რეგიონს ეკუთვნის.

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ჯერ კიდევ 1999 წელს იქნა მიღებული. საქართველოს კონსტიტუციის 31–ე მუხლისა და „ალპური კონვენციის“ საერთაშორისო წესდების შესაბამისად, მისი მიზანი იყო მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარება, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობის გაძლიერება, მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება, დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინება, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვა, გზების მშენებლობა, თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ერთ–ერთ საფუძვლად ტურიზმი, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობა იქნა მიჩნეული. შეღავათიან საკრედიტო-საინვესტიციო ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული იყო დარგის განვითარება, ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვა, რესტავრაცია და ტურიზმის სამსახურში ჩართვა. 2009 წლამდე კანონში რამდენიმეჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი („საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური“, 1999:1).

2015 წელს მიიღეს ახალი კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ. იგი „...ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილია და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. ...[მისი] მიზანია ...სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“ (საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების, 2017:1). ჰიფსომეტრიულად,

მაღალმთიანია დასახლება ზღვის დონიდან 1500მ. სიმაღლეზე ან ზევით. მაგრამ სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სიმცირე, დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ.) გათვალისწინებით, მაღალმთიანის სტატუსი ენიჭება დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამ კრიტერიუმებით ჩვენი საკვლევი სივრცე მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება. აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია: მაღალმთიანი დასახლების მეწარმე სუბიექტის საშემოსავლო და ქონების გადასახადებისაგან განთავისუფლება, ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან 15 აპრილის ჩათვლით) გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება, პენსიაზე დანამატის სახით პენსიის 20%–ის ოდენობით გაცემა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის ხელფასიგათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება, პენსიაზე დანამატის სახით პენსიის 20%–ის ოდენობით გაცემა, ს 35%–ის ოდენობის დანამატის ანაზღაურება, ექიმისათვის ხელფასზე დანამატის სახით სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობის (ექთნისათვის ერთმაგი ოდენობის) ანაზღაურება, პირველი და მეორე ბავშვისათვის 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარება არანაკლებ 100 ლარისა, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის, 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების არანაკლებ 200 ლარის გაცემა; მთავრობა უფლებამოსილია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასევე შეიმუშაოს დამატებითი სოციალური პროგრამები (საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების, 2017:5).

ოკაცეს კანიონის ტურისტული კომპლექსის მშენებლობა 2011 წელს დაიწყო და პირველი ვიზიტორები 2014 წლის 10 სექტემბერს მიიღეს. ტურისტული ობიექტის ამოქმედების გარდა ერთ-ერთი მიზანი ადგილობრივი მოსახლოების მხარდაჭერა და

მათთვის შემოსავლების ზრდა იყო. კანიონის ადმინისტრაცია ვიზიტორთა ცენტრშია განთავსებული, რომელიც სოფლების გორდისა და კინჩხას საზღვარზე მდებარეობს. სულ რამდენიმე კილომეტრში ვიზიტორთა მეორე ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც კინჩხას ჩანჩქერზე მისულ ტურისტებს მოემსახურება. სოფ. გორდის და კანიონის ტურისტულმა დატვირთვამ მნიშვნელოვნად განაპირობა ჩანჩქერის ახალ ობიექტად გადაქცევა და ინფრასტრუქტურულად მოწყობა, მისი პროექტი 2018 წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს.

ოკაცეს კანიონისა და პრომეთეს მღვიმის ტურისტული ობიექტის შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა თანამშრომლობის უფრო მაღალი ხარისხი *სამთავრობო სტრუქტურებსა და მოსახლეობას* შორის პირველის სასარგებლოდ. მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას (სოფლებისათვის წყალსადენის მშენებლობა), გორდში და კინჩხაში უფრო აქტიური იყო თანამშრომლობა მკვდრ მოსახლეობასთან მათი ინტერესების გათვალისწინებით; დაცული ტერიტორიების სააგენტო მეტი სიხშირით ატარებს ტრენინგებს საოჯახო სასტუმროს მფლობელებთან, საკომუნიკაციო უცხო ენის მინიმალური უნარ-ჩვევების შესაძენად; კანიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ მარტვილისა და ხონის რაიონის სკოლებში საგანმანთლებლო მიზნით; სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტრული პროექტი ხონთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობისა.

კვლევისას ვერ გამოიკვეთა სახელმწიფო, არასამთავრობო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დიფერენცირებული წვლილი ტურისტული ობიექტის განვითარებაში. ისევე, როგორც პრომეთეს მღვიმის შემთხვევაში, მოსახლეობას და ადმინისტრაციას აქაც უჭირთ რომელიმე *არასამთავრობო ორგანიზაციის* დასახელება, რომელსაც კი ტრენინგის სახით კონსულტაცია გაეწიოს ადგილობრივებისათვის, მაშინ, როცა სხვა ტურისტულ რეგიონში ამის გამოცდილება არსებობს. მაგალითად, ზემო სვანეთში საოჯახო სასტუმროების პერსონალმა გაიარა სერტიფიცირება, რომელიც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა"-ს მიერ ჩატარდა („მესტიის მუნიციპალიტეტში" 2016:148).

პრომეთეს მღვიმის ტურისტული ადგილისაგან განსხვავებით, *მცირე ბიზნესი* გორდსა და კინჩხაში უკეთ მუშაობს. რადგან წინა ათწლეულებში, რეგიონს ჰქონდა

ბავშთა კლიმატური კურორტის ფუნქცია, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს სეზონზე, საკუთარი სახლების გაქირავება წარმოადგენდა. ეს გამოცდილება დღეს მათ ეხმარება მცირე ბიზნესის ახლებურად წარმართვაში. სოფლებში საოჯახო სასტუმროების რიცხვი მზარდია, რომელთა უმეტესობა ცდილობს მოერგოს ახალ მოთხოვნებს - უკვე ხელმისაწვდომია საოჯახო სასტუმროების ონლაინ დაჯავშნა, კვებითი მომსახურება და საცხენოსნო ტურები; მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა - ცივი და ცხელი წყლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. თითქმის ყველა საოჯახო სასტუმროსა და კვების ობიექტს კავშირი აქვს ტურისტულ სააგენტოებთან და ტუროპერატორებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მათთან ტურისტთა მუდმივი ჯგუფების მიყვანას, ბევრი ტურისტული მარშრუტი სწორედ აქ ჩერდება წინასწარ დაგეგმილი და შეთანხმებული ლანჩისათვის. სასტუმროს მენეჯერთა ან მფლობელთა მთავარი მიზანია ტურისტთა განმეორებითი ვიზიტები, რაც ხშირ შემთხვევაში მიღწეულია კიდეც. ეს კი, იმაზე მიუთითებს, რომ მცირე ბიზნესში ჩართულ ადგილობრივ მოსახლეობას კარგად აქვს გააზრებული საკუთარი საქმიანობის წარმატების სტრატეგია.

კომერციული საქმიანობის წინსვლას ზოგიერთი შინამეურნეობისათვის, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოშიც" უწყობს ხელს. რესპონდენტებს შორის მაღალი აღმოჩნდა ცნობადობა ასეთი პროექტების მიმართ. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სასტუმრო ბიზნესის დამწყებმა ოჯახებმა ამ გზით შეძლეს შეეძინათ საჭირო ინვენტარი - სამზარეულოს ტექნიკა, ჭურჭელი, ავეჯი, მზის ბატარეები. ალტერნატიული ენერგიის წარმოება და გამოყენება უაღრესად ხელსაყრელი აღმოჩნდა მცირე საოჯახო სასტუმროებისათვის – მინიმუმამდე შემცირდა ხარჯი ელექტროენერგიის მოხმარებაზე და უფრო კომფორტული გახდა მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმიანობა შინამეურნეობებისათვის კარგი შემოსავლის მომტანია, ამ კატეგორიის ოჯახებში შრომითი აქტივობის დივერსიფიკაციაც ხდება. ტურიზმში ჩართულობასთან ერთად ტრადიციულად, *მესაქონლეობას* მისდევენ – ზაფხულში მთის მდიდარ საძოვრებზე გადარეკავენ პირუტყვს (ასხისა და თურჩუს მთები) ზამთარში კი ბაგურ კვებაზე ჰყავთ. ხშირად, თითო ოჯახს 20-30 სული საქონელი, ზოგს კი ორმოცდაათი რქოსანიც ჰყავს. დამზადებული რძის პროდუქტი საკმარისია, როგორც

დამსვენებელთა და ტურისტთა მომსახურებისათვის, ასევე ქალაქში ბაზარზე გასაყიდად. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევს შინამეურნეობის ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, როგორც ტურიზმის ასევე მესაქონლეობის მიმართულებით. როგორც თავად აცხადებენ, შემოსავლები ავსებს ერთმანეთს, რაც სტაბილობის გარანტიაა, გარდა ამისა, ინვესტირების საშუალებასაც იძლევა ტურისტული ბიზნესის გაფართოებისათვის. მეორე ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა არის, ის რომ სამომავლოდ შემცირდება მოსახლეობის დასაქმება სოფლის მეურნეობის კუთხით. დღეისათვის, პირუტყვის მოვლა-პატრონობას შინამეურნეობის უფროსი თაობის წარმომადგენელი უძღვება. სამომავლოდ, ამ მოვალეობას ახალგაზრდობა აღარ გადაიბარებს, რაც ცხადია, მნიშვნელოვნად დააზარალებს რეგიონის ეკონომიკის მიმართულებას, მათ შორის უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმზეც. დღეისათვის, ის რაც დიდწილად დამსვენებელთა მუდმივი ნაკადების მიზიდვას განაპირობებს გორდსა და კინჩხაში, ეკოლოგიურად სუფთა მთის პროდუქტია, რითაც ადგილობრივები უმასპინძლდებიან ვიზიტორებს. ნატურალურ პროდუქტზე მოთხოვნა კი ტურისტული დანიშნულების ადგილებში მსოფლიო მასშტაბით მეტად მზარდია.

მიწათმოქმედება რეგიონში უპირატესად, მეხილეობითაა წარმოდგენილი, მისდევენ ასევე მესიმინდეობას, მაგრამ მხოლოდ სამომხმარებლო მიზნით. მოსახლეობის მთავარი მიმართულება სოფელ გორდში, ჩირის სასაქონლო წარმოებაა. სოფლის მოსავალი კერძო საშრობში გადამუშავდება, რომელიც სამი წელია ფუნქციონირებს და რეკრეაციულ ბიზნესზეა გათვლილი. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, პროდუქცია ტურისტთა მოთხოვნასაც აკმაყოფილებს და საქართველოს ქალაქების ბაზრებზეც იყიდება. ამავე ოჯახის სხვა წევრის კომერციული სტრუქტურა გვერდით მდებარე თონეა, რომელიც ასევე ტურისტული ბაზრის მოთხოვნაზეა აგებული. მეპატრონეებს საშუალება ეძლევათ აქვე მოახდინონ საკუთარი ნაწარმი თაფლის რეალიზაციაც.

კვალიფიკაციისა და სათანდო უნარ-ჩვევების მქონე ოჯახის სხვა წევრები კანიონის ტურისტულ ობიექტზე არიან დასაქმებული გიდების, რეინჯერების ან ადმინისტრაციის თანამშრომლების სახით. რაც შეეხება ტურისტულ ბიზნესსაქმიანობას, ისევე, როგორც სოფელ ყუმისთავში, ბიზნესში ძირითადად, საშუალო ასაკის თაობაა ჩაბმული. მათი შვილები, რომლებმაც უმაღლესი განათლება

მიიღეს, მშობლების პარტნიორებად არ ჩანან. ოჯახი მათ „თეთრსაყელოიან" შრომით რესურსად მოიაზრებს და უპირატესობას ქალაქში დასაქმებას აძლევენ.

ოკაცეს კანიონის ტურისტულ ადგილზე, ვიზიტორთა ორი ტიპის ნაკადი შეიძლება გამოიყოს: ერთნი, ვინც ღამისთევის გარეშე სტუმრობს ობიექტს და მეორე, ვისაც წინასწარ აქვთ დაჯავშნული განთავსება და კოპიტნარის აეროპორტიდან პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მიემართება. უფრო ხშირად, ეს უცხოელი ტურისტები განმეორებითი ვიზიტორებია, რომელთა მიზანი სოფელ გორდში დაყოვნება და სათავგადასავლო ტურებით სარგებლობაა, რომელშიც ძირითადად, *საცხენოსნო მარშრუტები* მოიაზრება. ასხის მასივის უნიკალური ლანდშაფტები საცხენოსნო ეკოტურიზმისათვის მსურველებს ამოუწურავ რესურსს სთავაზობს. მას შემდეგ, რაც ვარშავიდან და კატოვიცედან პირდაპირი ფრენები დაინიშნა ქუთაისის მიმართულებით, მეტად გაიზარდა რეგიონის ცნობადობა და მოიმატა მოგზაურთა რაოდენობამ პოლონეთიდან. ასეთი ტიპის ტურებზე მოთხოვნას მალე გაზრდილი შეთავაზება მოჰყვა ადგილობრივების მხრიდან და უკვე სამი წელია გორდისა და კიჩნხას მოსახლეობა ამ ბიზნესშია ჩართული. რადგან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიმართულება მესაქონლეობაა, საზაფხულო საძოვრებზე ნახირის გადარეკვისათვის ოჯახებს ყოველთვის ჰყავდათ ცხენები; ამან დღეს ახალი მიმართულება მისცა მოსახლეობის კომერციულ აქტივობას. მარშრუტი ასხის მთის გავლით თურჩუს მთაზე, იქედან კი ონორესა და ტობას ჩანჩქერებზე მიემართება, რომლებიც მარტვილსა და გორდს შორის მდებარეობს. ასეთი ტურები 2-3 ღამისთევას მოიცავს, თუმცა მსურველებს 8-9 საათიანი ბილიკების გავლასაც სთავაზობენ. საცხენოსნო სათავგადასავლო ეკოტურების მაღალ ცნობადობას ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა და გორდის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება განაპირობებს. მაგრამ, როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, განმსაზღვრელი მაინც რიგითი სტუმრის კმაყოფილების მიღწევაა, რომელიც რეკლამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ცხადია, ეს ბიზნესი სეზონურ ხასიათს ატარებს, ამიტომ ზამთრის განმავლობაში აქ დასაქმებული მამაკაცები ქალაქებში პოულობენ დროებით სამუშაოს, გაზაფხულის დადგომისთანავე კი სოფელში ბრუნდებიან. რამდენიმე ოჯახი, რომლებიც თითქმის მუდმივად იყო ბარში გადასახლებული, უკან დაბრუნდა და ცდილობს ტურისტული საქმიანობის გაფართოებას.

ტურების სრულყოფის მიზნით ბიზნესის მფლოებლები ცხენის კომფორტული აღკაზმულობის საჭიროებას ასახელებენ. ასევე, აუცილებლად თვლიან სათანდო ტრენინგის გავლას პირველადი სამედიცინო დახმარების უნარების შესაძენად.

ოკაცეს კანიონის ტურისტულ ბიზნეს საქმიანობაში ჩართული კიდევ ერთი მხარე, *ავტოგაქირავების მძღოლებია,* რომელთაც კანიონამდე და ჩანჩქერებამდე საკუთარი მანქანით გადაჰყავთ მსურველები. სეზონზე დღის განმავლობაში დაახლოებით, ორმოცამდე მანქანა ქირავდება, თითოეული საშუალოდ, ორჯერ. უმეტესობამ მანქანა ამ მომსახურებისათვის შეიძინა და 4-5 თვის განმავლობაში ოჯახის ძირითად შემოსავალს უზრუნველყოფს. მძღოლები მარშრუტების ნაკლებობას აღნიშნავენ და თვლიან, რომ რეგიონს ტურისტული გაფართოებისათვის ბევრად მეტი პოტენციალი აქვს.

ოკაცეს კანიონის ტურისტული ადგილის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მდგრადი განვითარების ფარგლებში, *ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა* იყო. სოფლის მოსახლეობას, რომელიც შეშაზეა დამოკიდებული, მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე ეძლევა მოპოვების უფლება. ასეთი ადგილები კი დასახლებული პუნქტებიდან შორს და ძნელად მისადგომია. ამიტომ, რაც უფრო მალე დასრულდება ბუნებრივი აირის შეყვანა სოფლებში, მით უფრო დაცული იქნება რეგიონის ტყის მასივები. ხონში მკვეთრად მოიკლო სათბობად შეშის გამოყენებამ და მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ბუნებრივ გაზს მოიხმარს. ოჯახისათვის, ორივე რესურსზე ხარჯი თითქმის ერთი და იგივეა და ზამთრის სეზონზე 600-700 ლარს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ გორდში მდებარე დადიანების ტყე-პარკი დაცულ ტერიტორიებს ეკუთვნის, ბუნებრივი ლანდშაფტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიღმა რჩება. წინა წლებში, აქტიურად იჭრებოდა ხეები, ხდებოდა საქონლის ძოვება, რამაც უნიკალური ადგილი ძლიერ დააზიანა. დღეისათვის, აღნიშნული ტერიტორია არ არის ჩართული ტურისტული დანიშნულების სივრცეში და შესაბამისად, არც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულა. ამდენად, იგივე მდგომარეობა ნარჩუნდება, შედეგად კი ნადგურდება უნიკალური მნიშვნელობის ისტორიული ადგილი, რომლის აღდგენის შემთხვევაში ერთი მხრივ, დაცული იქნება არსებული ეკოსისტემა, ხოლო მეორე მხრივ, თემატურად სრულიად ახალი ტურისტული მარშრუტი დაემატება რეგიონს.

კვლევის პროცესში, საკმაო სიმწვავით წარმოჩნდა *ქალთა ემიგრაციის პრობლემა,* რომელიც რეგიონში ათწლეულზე მეტს ითვლის. ამ მიმართებით, ტურისტული სექტორის განვითარება არაერთგვაროვნად აისახა მკვიდრ ოჯახებზე:

- ზოგიერთ შინამეურნეობაში, 15–20 წლის წინ დაწყებულმა შრომითმა ემიგრაციამ სეზონური ხასიათი მიიღო და დღეს ქალებს ლეგალური მიმოსვლის საშუალება აქვთ - ზაფხულის სეზონზე ტურისტულ ბიზნესში არიან ჩაბმული სოფელში, წლის დანარჩენ დროს კი დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე საქმდებიან საბერძნეშთი ან იტალიაში;
- სხვა ოჯახები, ვიზალიბერალიზაციის რეჟიმით სარგებლობენ, თუმც არალეგალური შრომითი რესურსის სახით, მაგრამ იცავენ სავიზო რეჟიმის პირობებს - სამი თვის შემდეგ მიგრანტი ქალები საქართველოში ბრუნდებიან მომავალი ვიზიტის შესაძლებლობის მიზინთ. ასეთი ოჯახები უცხოეთში მიღებულ თანხას ინვესტიციის სახით ტურიზმში აბანდებენ და წარმატების მოლოდინიც აქვთ;
- ქალაქის მცხოვრები მოსახლეობის ერთი ნაწილი, ტურიზმის სექტორის გააქტიურების გამო, სოფელს დაუბრუნდა, სადაც ქალები მართავენ მცირე ბიზნესს (უპირატესად საოჯახო სასტუმროს სახით) და თვლიან, რომ უკეთესი შემოსავლის მიღებას შეძლებენ;
- მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია იმ შინამეურნეობათა რიცხვი, სადაც ოჯახის წევრი ქალი კვლავ ემიგრაციაში რჩება.

სოფელ ყუმისთავის მცხოვრებთაგან განსხვავებით, ოკაცეს კანიონის ტურისტულ ადგილთან დაკავშირებული რესპონდენტები თავს *„ღარიბად"* არ მოიაზრებენ. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, ისინი *„შედარებით არა ღარიბ" ან „არა ღარიბ"* მოსახლეობას განეკუთვნებიან; გამოიკვეთა *„შეძლებული"* შინამეურნეობებიც, რომლებიც სოფლის მკვიდრნი არიან და საშუალო ბიზნესებს (სასტუმროებს) ფლობენ და მართავენ.

მიგვაჩნია რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფელ ყუმისთავის მოსახლეობას, სადაც მეტია „ღარიბი" ოჯახი, პარადოქსულად კი, მღვიმის ტურისტულ ობიექტს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს. ვფიქრობთ, უნდა მოხდეს ადგილობრივთა სწავლება და სტიმულირება მცირე ბიზნესის წამოწყების მიზნით. ჩვენი რეკომენდაცია ემყარება იმას, რომ პრომეთეს

მღვიმის რეგიონში, ზევრია „შედარებით არა ღარიბი" ოჯახი, რომლებიც ტურიზმისათვის ადეკვატურ რესურსებს ფლობენ, მაგრამ არ იციან როგორ და რა ფორმით შესთავაზონ ის ბაზარს; გარდა ამისა, უფრთხიან საბანკო კრედიტს, რომელიც მიზნობრივი არ არის და მაღალპროცენტიანია. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ასეთი ოჯახების ხელშეწყობა სახელმწიფო და არასაამთავრობო სექტორის მხრიდან, რაოდენობრივად გაზრდიდა მათ ჩართულობას ტურიზმში. შესაბამისად, ასეთი შინამეურნეობები შექმნის დამატებითი შრომითი რესურის საჭიროებას, რომლებიც იმ ღარიბ ოჯახებში შეიძლება მოიძებნოს, თავად რომ მინიმალურ რესურსსაც ვერ ფლობენ საკუთარი საქმიანობის წამოსაწყებად.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- ✓ ოკაცეს კანიონთან დაკავშირებული სოფლების მოსახლეობა საკმაოდ დადებითადაა განწყობილი მზარდი ტურისტული ბიზნესის მიმართ, შინამეურნეობის შემოსავლების მატებას მასში ჩართულობით მოიაზრებს და დადებითად აღიქვამს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რასაც სახელმწიფო ახორციელებს;
- ✓ გასულ ათწლეულებში ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით (მესაქონლეობა) მიღებული გამოცდილება და მატერიალური რესურსები, ხელს უწყობს მცირე მეწარმოების განვითარებას სოფლად და ახალი სახის ბიზნესის წამოწყებას. შედეგად, ახალი ინიციატივები მზარდია და პასუხობს ტურისტული ბაზრის მოთხოვნებს;
- ✓ ერთი მხრივ, სოფლის მოსახლეობის კომუნიკაციის მაღალი დონე და ორგანიზებულობა (თანამშრომლობა ტურისტულ სააგენტოებთან), ხოლო მეორე მხრივ, ქუთაისის აეროპორტში ევროპიდან პირდაპირი რეისების არსებობა, ხელს უწყობს ტურისტთა მუდმივ და მზარდ ნაკადებს ოკაცეს კანიონის ტურისტული დანიშნულების ადგილზე;
- ✓ შიგა მიგრაციულ ნაკადებში ადგილი აქვს უკუმიგრაციასაც. წინა ათწლეულებში ქალაქად საცხოვრებლად გადასული მოსახლეობის ერთი ნაწილი, აქტიურ ტურისტულ საქმიანობაში ჩაბმისა და უკეთეს ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრების მიზნით, სოფელს დაუბრუნდა.

- ✓ ნარჩუნდება უცხოეთში ქალთა შრომითი ემიგრაციის მაღალი დონე. მათ დასაბრუნებლად ტურისტული ბიზნესი მძლავრი ბერკეტი ჯერ კიდევ არ არის;
- ✓ ტრადიციული დარგის, მესაქონლეობის მასშტაბები თაობათა მონაცვლეობის კვალდაკვალ შემცირდება. საჭიროა ქმედითი სამთავრობო პოლიტიკის გატარება, რათა ტურიზმმა მხარეში შეინარჩუნოს ის თვითმყოფადობა, რასაც ლოკალური და ეკოლგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების წარმოება ჰქვია;
- ✓ აუცილებელია სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის მეტი ჩართულობა ადგილობირვი მოსახლეობის სწავლების მიზნით, რათა მათ შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რაც საჭიროა წარმატებული მასპინძლობისათვის;
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ კანიონის მენეჯმენტი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრატეგია ზოგადად, უზრუნველყოფს ბუნებრივი ეკოსისტემების დაცულობას (ტყის მასივების შენარჩუნებას), აუცილებლად მიგვაჩნია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დადიანების ტყე-პარკს, რათა არ მოხდეს ბუნებრივი ლანდშაფტის უფრო მეტად დაზიანება და ისტორიული მემკვიდრეობის დაკარგვა.

## 5.4. ბალნეოლოგიური/სპა ტურიზმი: სოციალურ– ეკონომიკური და მარკეტინგული ვლევა

1990–იანი წლების შემდეგ, როცა აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოსთნ მოუწიათ ადაპტირება, კონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ ის დარგები, რომლებიც მიმზიდველი გახდნენ საერთაშორისო ვიზიტორთათვის, შეძლეს ბაზრისათვის შეეთავაზებინათ საინტერესო ტურისტული პროდუქტი და თავად შექმნეს შესაძლებლობები ქვეყანაში პოტენციური ბაზრების განვითარებისათვის (Aguayo, Exposito, Vazquez Rozas, 2009:127).

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით დაზარალდა შიდა ტურიზმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი პროფილი საბჭოთა საქართველოში გამაჯანსაღებელი რეკრეაცია

გახლდათ. ლოკალური ტურიზმის წინსვლა კი, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს რეგიონის ეკონიმიკის განვითარებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას, ზრდის რეგიონის ბიუჯეტს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, რაც დადებითად აისახება ქვეყნის მშპ-ზე (Mammedov, 2013:27; „თვისებრივი კვლევის ანგარიში", 2007). მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში პროცესები თანდათნობით რეგულირდება, დღეისათვის პრობლემას თვისი სიმწვავე მაინც არ დაუკარგავს და გარადმავალი ეკონომიკის ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა კვლავ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. აღნიშნულ კონტექსტში, უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შიდა ტურიზმის გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა, არსებული მდგომარეობისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და მისი როლის განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

ბალნეოლოგიური რესურსებისა და კურორტების თავმოყრის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილს იმერეთი წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის ***მიზანია*** შიდა და საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების, ბალნეოლოგიური/სპა ტურიზმის (Spa Tourism) განვითარების თანამედროვე პროცესების კვლევა იმერეთის რეგიონში. ეს კი თავის მხრივ, გულისხმობს დარგის ძირითადი ტენდენციების გეოგრაფიული სტრუქტურის შესწავლას, ტურისტულ მოთხოვნათა თვისებრივ კვლევას და ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორთა გეოგრაფიული პროფილის/სტრუქტურის განსაზღვრას. ნაშრომის შედეგი ეყრდნობა 2015-2016 წლის აგვისტო-სექტემბერში შესრულებულ გეოგრაფიულ და მარკეტინგულ კვლევებს იმერეთის რეგიონის სამ ბალნეო-კლიმატურ კურორტზე –— **წყალტუბოში, საირმესა და ნუნისში.**

თემაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ***რაოდენობრივი*** (ანკეტური გამოკითხვა, სულ 204 ვარგისი ანონიმური ანკეტა), ***თვისებრივი*** (15 სიღრმისეული ინტერვიუ დამსვენებლებთან და დარგის ექსპერტებთან -- მთავარ ექიმებთან, კურორტის მენეჯერებთან, მომსახურე პერსონალთან) და *სტატისტიკური მეთოდები.* მიღებული შედეგების ანალიზი და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავება მოვახდინეთ *სხვაობის ანალიზის, იგივე საჭიროების ანალიზის მეთოდით (Gap Analysis/Need*

*Analysis)* რომელიც გულისხმობს ა) ანალიზის მიზნის განსაზღვრას ბ) მიზნობრივი გარემოს აღწერას გ) საჭიროების იდენტიფიცირებას და დ) საჭიროების შეფასებას („Need Analysis“, 2017).

2000-იანი წლების შუა პერიოდიდან, შიდა ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, სამკურნალო–ბალნეოლოგიური ტურიზმი, ნელი ტემპით განიცდის რეაბილიტაციას. მთელი 1990-იანი წლების მანძილზე დარგი უგულვებელყოფილი იყო, როგორც მთავრობის, ისე კერძო სექტორის მხრიდან და გამოირჩეოდა არამდგრადი განვითარებით. ჩვენი კვლევით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა მოსახლეობის მაღალი მოთხოვნა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტების მიმართ, განსაკუთრებით, 30-დან 65 წლამდე ასაკის კონტინგენტში; ასევე, ტურისტული ნაკადების აქტივობა მეზობელი აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და უკრაინიდან. გამოიკვეთა მომსახურების ხარისხით *მეტ-ნაკლებად* კმაყოფილება (მოლოდინის ანუ მოსალოდნელი და აღქმული ანუ მიღებული მომსახურების თანხვედრა). წარმოჩნდა ბიზნესის წარმართვისათვის სამომავლოდ გასათვალისწინებელი ხარვეზებიც.

ტურისტულ ბაზარზე **მომსახურების ხარისხის** განსაზღვრისას ვეყრდნობით დასავლელი მეცნიერების, გრონრუსის (Gronroos, C.), ასევე პარასურამანის, ზეითამლისა და ბერის (Parasuraman, A. Zeithaml, V.A, Berry, L) მოდელებს, რომლებიც მომსახურების ხარისხს განსაზღვრავენ მომხმარებლის კმაყოფილების დონის მიხედვით ანუ შეთავაზებული სერვისის თანხვედრით ვიზიტორთა მოლოდინებთან (Cooper, et.al., 2008).

წაბლარისწყლის აუზი რელიეფის მიხედვით *ეკუთვნის სამხრეთ იმერეთის (ფერსათის) მთისწინეთს და დაბალმთიანი ზოლის სამხრეთ გაგრძელებაზე აჭარა–იმერეთის (მესხეთის) ქედის ჩრდილო ფერდობს*, სადაც მდებარეობს კურორტი საირმე. ამ ქვეზონაში წარმოდგენილი საშუალომთიანი ეროზიული რელიეფი, 2000 მეტრს ზემოთ გადადის მაღალმთიანი ზონის გლაციალურ რელიეფში. ლანდშაფტურად ეს ბოლო სიმაღლებრივი ნიშნული სუბალპურ და ალპურ ზონებს შეესაბამება.

წაბლარისწყლის  შუა და ზემო დინების ფარგლებში გაბატონებულია საშუალო სიმაღლის მთა–ხეობათა რელიეფი, სადაც ეროზიულ ხეობათა  განივი პროფილები V-სებურია და მოკლებულია ტერასულ საფეხურებს. ხეობათა სიღრმითი ჩაჭრის მაჩვენებლები 400–500 მეტრიდან 1000–1100 მეტრამდე მერყეობს. კურორტ საირმის შედარებით გაგანიერებულ ნაწილში წაბლარისწყლის ხეობა 600 მეტრი სიღმისაა (ჩეხეიძე, 2015:117).

წაბლარისწყლის შესართავთან მდებარეობს სოფელი წაბლარისხევი. დასახლება მდინარის     ორივე მხარესაა გაშლილი. მიუხედავად იმის, რომ კლიმატურ–ნიადაგური პირობები ხელშემწყობია სასოფლო–სამეურნეო საქმიანობისათვის, ეს არის ერთადერთი სოფელი მთელს ხეობაში. ამ სოფლის მოსახლეობა მდინარის გაფართოებულ ტერასულ ზოლშია განსახლებული. ისევე, როგორც მთელს ხეობაში, ტერასებს აქაც არ გააჩნია მკაფიო მორფოლოგიური გამოხატულება, ისინი მეტწილად ეროზიული საფეხურის ფრაგმენტებია. ამ სოფლის ზემოთ (სამხრეთით), მდინარე წაბლარისწყლის ხეობა გორაკ–ბორცვიანი მთისწინეთიდან დაბალმთიან ზონაში გადადის და ხეობას V-სებრი პროფილი აქვს, ტერასებს მოკლებულია და კალაპოტი ლოდნარითაა ამოვსებული. ხეობის სივიწროვის გამო საავტომობილო გზა მეტწილად, ხელოვნურადაა გაჭრილი. შუა დინებაში კიდევ უფრო მატულობს ვერტიკალური ჩაჭრის სიღრმე და კალთების დახრილობა. აქ, საშუალომთიან ზონაში ტიპიური მთა–ხეობიანი რელიეფია გამომუშავებული.

წაბლარისწყლის ხეობაში, ზ.დ. 950 მ–ზე ხეობა ყველაზე გაფართოებულ უბანს წარმოადგენს, სადაც კურორტი საირმე მდებარეობს. კურორტის ფარგლებში, ქვაბულისებური ჩადაბლება, წაბლარისწყლის კალაპოტით, ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა: მარჯვენა შედარებით მაღალი და განიერი ზოლი, რომლის დაბალ კალაპოტისპირა ზოლში ამოედინება მინერალური წყლები და მეორე მარცხენა, შედარებით დაბალი ნაწილი 4–6 მეტრიანი ტერასის სახით, სადაც გაშენებულია სასტუმრო „საირმის“ მთავარი კორპუსი და გადის საავტომობილო გზა (ჩხეიძე, 2015:126–128).

წაბლარისწყლის მთელი ხეობა ტურისტულ–რეკრეაციულად ლამაზ და საინტერესო რეგიონს წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა რელიეფის მრავალგვარი

ფორმებით, ჭორომიან–ჩანჩქერიანი დინებებით, ესთეტიური პეიზაჟებითა და პანორამებით, მდიდარი მცენარეულობით. სოფელ უდაბნოსთან ბუნების იშვით ძეგლს წარმოადგენს 30 მ–იანი სიმაღლის მქონე კლდის სვეტი — „საირმის ეროზიული მოწმე“, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი.

ტურისტული მარშრუტი გრძელდება კურორტ საირმიდან სამხრეთით 22 კმ–ის მანძილზე „წითელ მინდვრებამდე“ სადაც სიმაღლებრივი ნიშნული 2588 მ–მდე, მთა დიდმაღალამდე იზრდება. დასავლეთით, 10 კმ–ის დაშორებით აღმართულია მესხეთის ქედის უმაღლესი მწვერვალი მეფისწყარო (2850 მ). საირმე–წითელი მინდვრების მონაკვეთზე სამი ლამდშფტური სარტყელი ენაცვლება ერთმანეთს: მთის ტყის ზედა სარტყელი, სუბალპური და ალპური სარტყლები (ჩხეიძე, 2015:128–129).

ჩვენს საკვლევ რეგიონში ასევე შედის *მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის აღმოსავლეთ ქვერაიონი*, რომელიც ჩრდილოეთიდან ჩხერიმელას ხეობა–ქვაბულით ისაზღვრება, სამხრეთიდან მდინარეების ჩხერიმელა–მტკვრის წყალგამყოფი ხაზით, აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით კი ჩხერიმელა–საკრაულას წყალგამყოფით. ამ ქვერაიონს ეკუთვნის კურორტები ნუნისი (ზ.დ. 950 მ) და ზვარე (650–700 მ.).

ქვერაიონის სიგრძე–სიგანე თითქმის თანაბარია 25–27 კმ, სადაც აბსოლუტური სიმაღლითი მაჩვენებლები ცვალებადობს 600–700 მ–დან 2642 მ–მდე (მთა სამეცხვარიო) (ჩხეიძე, 2015:420). სიმაღლებრივად, ქვერაიონის შემადგენლობაში შედის დაბალმთიანი, საშუალო და ნაწილობრივ მაღალმთიანი ზონები, რომელთა რელიეფი მკვეთრად დანაწევრებულია მთა–ხეობებით. აქ მდინარეთა ეროზიულ მოქმედებას წამყვანი როლი ეკუთვნის რელიეფის ფორმირებაში.

დაბალმთიან ზონაში (600–1000 მ–მდე) გავრცელებულია ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. 4–6 თვე ჰაერის საშუალო ტემპერატურა 10°–ზე მაღალია, იანვრის საშუალო ტემპერატურა +1 –3°–ის ფარგლებშია, ხოლო ივლისის 19–21°. ნალექების წლიური რაოდენობა 1000–1200 მმ–ია, რომლის მაქსიმუმი ზაფხულში, ხოლო მინიმუმი ზამთარში აღინიშნება. თოვლის საბურველი 30–100 სმ–ს შეადგენს და ხანგრძლივობა ზედა ნაწილში ორ თვემდეა.

ფართო გავრცელება აქვს ნეშომპალა–კარბონატულ ტყის ყომრალ და გაეწრებულ ნიადაგებს. მცენარეული საფარი სიმაღლებრივი სარტყლების მიხედვითაა წარმოდგენილი: გორაკ–ბორცვიან მთისწინეთის ზონაში ვრცელდება მეორადი მუხნარ–რცხილნარი; დაბალმთიან მთა–ხეობათა ზონის ტყეები შედგება ფართოფოთლოვანი ჯიშებისაგან (წიფელი, წაბლი, რცხილა, მურყანი, ცაცხვი, იფანი, ნეკერჩხალი) მარადმწვანე ქვეტყით, ხოლო საშუალო მთის სარტყელში უპირატესად წიფლის ტყეებია წარმოდგენილი (1200 მ–მდე). მთა–ტყის ზედა სარტყელი სოჭსა და ნაძვს უჭირავს (1600–1700 მ) (ჩხეიძე, 2015:428–429).

ჩვენს საკვლევ კურორტებს განსხვავებული და სრულიად უნიკალური ბუნებრივ-რეკრეაციული დანიშნულება გააჩნია. წყალტუბოს მთავარი დანიშნულება საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებათა მკურნალობაა, ნუნისს გამოკვეთილი დერმატოლოგიური, ხოლო საირმეს --- უროლოგიური პროფილი აქვს (შავიანიძე, ო., და სხვ., 1995). საბჭოთა პერიოდში მათი ადმინისტრაციულ-იერარქიული სტატუსიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: წყალტუბო ---საკავშირო, საირმე --- რესპუბლიკური, ნუნისი კი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი იყო (ვადაჭკორია, უშვერიძე, ჯალიაშვილი, 1987).

წინასწარ შედგენილი ანკეტით საირმეში გამოკითხულ იქნა 125 რესპონდენტი, წყალტუბოში 58, ნუნისში კი 21; მათ შორის, 162 საქართველოს მოქალაქე და 42 უცხოელი; სულ 204 რეკრეანტი (ცხრილი #4).

**ცხრილი #4. რესპონდენტთა რაოდენობა და შერჩევის ადგილები**

| **ინტერვიუს ჩატარების ადგილები** | სიხშირე | % | ვალიდური % |
|---|---|---|---|
| სასტუმრო „საირმე“ | 50 | 25% | 25% |
| წყალტუბო სააბაზანო #3 | 27 | 13% | 13% |
| კურორტი უდაბნო | 13 | 6% | 6% |
| სასტუმრო „საირმე“ (რუსულენოვანი ანკეტები) | 14 | 7% | 7% |
| საირმე (სასტუმროს გარეთ დამსვენებლები) | 34 | 17% | 17% |
| სასტუმრო „იმერეთი“ საირმეში | 14 | 7% | 7% |
| ნუნისი | 21 | 10% | 10% |
| წყალტუბო (სააბაზანო # 1) | 31 | 15% | 15% |
| ჯამი | 204 | 100% | 100% |

კითხვარის მიხედვით, რესპონდენტთა 59 პროცენტი ქალია, 41პროცენტი მამაკაცი (დიაგრამა #3). სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტთა შორის, ეს პროპორცია მამაკაცთა სასარგებლოდაა, რასაც აზერბაიჯანელ დამსვენებელთა სიჭარბე და მათ შორის მამაკაცთა რიცხოვნობის უპირატესობა განაპირობებს (დიაგრამა #4).

**დიაგრამები #3 და #4. რესპონდენტთა სქესობრივი შემადგენლობა**







საკვლევ კურორტებზე მიზნობრივი სეგმენტი 30 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფია. 30-დან 65 წლამდე კონტინგენტი დამსვენებელთა 66 პროცენტს შეადგენს, უცხოელთა შორის კი, იგივე კოჰორტა 79 პროცენტია (დიაგრამები #5 და #6).

**დიაგრამა #5. ყველა რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა**



### დიაგრამა #6. უცხოელ რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა




იმერეთის სამივე კურორტზე რეკრეანტთა შორის, დასავლეთ საქართველოს ქალაქების მკვიდრნი სჭარბობენ (35 პროცენტი), 23 პროცენტია თბილისის, ხოლო 15 პროცენტი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მცხოვრებნი, სოფლის კონტინგენტი კი სულ 6 პროცენტს შეადგენს (დიაგრამა #7); 23 პროცენტი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულებზე მოდის, კერძოდ: 7-7 პროცენტი რუსეთის და აზერბაიჯანის, 4 პროცენტი ყაზახეთის, 3 პროცენტი უკრაინის და 1-1 პროცენტი სომხეთისა და ისრაელის მოქალაქეებზე (დიაგრამა #8).

### დიაგრამა #7. რეკრეანტები მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



**დიაგრამა #8. უცხოელი დამსვენებლები მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით**




მრავალფეროვანია დამსვენებელთა შრომითი საქმიანობის სფეროც --- მოღვაწეობენ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში (შესაბამისად 19 პროცენტი და 23 პროცენტი), 15 პროცენტი ინდმეწარმე ან შპს-ს მფლობელია, 25 პროცენტი პენსიონერი, ხოლო 16 პროცენტი უმუშევარი (დიაგრამა #9).

**დიაგრამა #9. ყველა რესპონდენტის შრომითი საქმიანობა**




უცხოელთა შორის შრომითი სტრუქტურა თითქმის იგივეა იმ განსხვავებით, რომ უფრო დაბალია უმუშევარ რესპონდენტთა წილი (6%).

მთავარი მოთხოვნა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურისტთა შორის *ჯანმრთელობის რეაბილიტაციაა.* ამ მიზნით, სამივე კურორტს ვიზიტორთა 60 პროცენტი სტუმრობს, დანარჩენის მიზანი დასვენებაა.

როგორც ცნობილია, ტურისტულ მოთხოვნათა ჩამოყალიბებისათვის, ინდივიდის ან ოჯახის ფინანსური სტატუსი, როგორც მალიმიტირებელი, ასევე მასტიმულირებელი ფაქტორი შეიძლება იყოს (ხელაშვილი, 1992). ქართველ დამსვენებელთა 30 პროცენტისათვის, შემოსავალი თვეში 500 ლარამდეა; ამდენივე აღნიშნავს, რომ მათი თვიური ბიუჯეტი 1000 ლარს აღემატება, ხოლო 23 პროცენტისათვის -- 1000 ლარია. საერთაშორისო ვიზიტორთა უმეტესობასთან კი, ეს მაჩვენებელი 1000 დოლარზე მეტი აღმოჩნდა (60 პროცენტი). უცხოელთა დიდი ნაწილისათვის (71 პროცენტი) კურორტზე დასვენება ხელმისაწვდომია, ხოლო 29 პროცენტისათვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი (დიაგრამა #10), მაშინ როცა ქართველთა 18 პროცენტი იმასაც უთითებს, რომ მათი ბიუჯეტისათვის მძიმეა, რომ არა ჯანმრთელობის პრობლემები (დიაგრამა #11).

**დიაგრამები #10 და #11. რესპონდენტთა ფინანსური ხელმისაწვდომობა**







ამასთანავე, ქართველთა შორის არც ისე დიდია მათი წილი, ვისთვისაც კურორტზე მკურნალობა ფინანსურ პრობლემას არ ქმნის (ხელმისაწვდომი 41 პროცენტისათვის, მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი 41პროცენტისათვის).

საერთაშორისო ტურისტთა უდიდესი ნაწილი, 78 პროცენტი პირადი შემოსავლებით უზრუნველყოფს კურორტზე ვიზიტს (დიაგრამა #12), მაშინ, როცა

ადგილობრივ დამსვენებელთა შორის ასეთი კონტინგენტი 47 პროცენტს, ხოლო ოჯახის ბიუჯეტით დაფინანსებულები 40 პროცენტს შეადგენენ; 10 პროცენტია მათი წილი, ვინც ოჯახის წევრის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხით მკურნალობს (დიაგრამა #13).

**დიაგრამა # 12. უცხოელ დამსვენებელთა კურორტზე დაფინანსების წყარო**




**დიაგრამა # 13. ადგილობრივ დამსვენებელთა კურორტზე დაფინანსების წყარო**




როგორც მრავალ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღწერილი (თვისობრივი კვლევის ანგარიში, 2007; Mammedov, 2013; ბეროვსი, პავერსი, რეინოლდსი, 2012; დევიძე, 2012), ტურისტული ცენტრების განვითარება ხელს უწყობს ლოკალური

(განსაკუთრებით სოფლის) მოსახლეობის მცირე მეურნეობების სტიმულირებას. სასოფლო თემები უზრუნველყოფენ ადგილზე მოყვანილი ახალი პროდუქტით ტურისტებს, რაც განსაკუთრებით უცხოელთათვის, ქვეყნის უკეთ გასაცნობად, მნიშვნელოვანია. დადგენილია, რომ ის დამსვენებლები/ვიზიტორები, ვინც რამოდენიმე ხნით ყოვნდება ტურისტულ ადგილზე, უფრო მეტად იძენს ადგილობრივად ნაწარმ სურსათს, ვიდრე გაცვლითი მოგზაურები (Timms, & Neill, 2011:106). ჩვენს კურორტებზე განთავსებული მცირე ფერმერული ბაზრების მომსახურებით, უფრო *ხშირად* სარგებლობენ უცხოელები (44 პროცენტი), ვიდრე ქართველები (23 პროცენტი); *მეტ-ნაკლები სიხშირით* მოიხმარს პროდუქტს რესპონდენტთა 30 პროცენტი, ხოლო სურსათის იქ შეძენაზე *უარს ამბობს* უფრო მეტი ქართველი დამსვენებელი (39 პროცენტი), ვიდრე უცხოელი (24 პროცენტი) დიაგრამები #14 და #15.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც განსაზღვრავს საკურორტო ტურიზმის განვითარებას, რეგიონის *ბუნებრივი გარემოა.* საქართველოს ესთეტიკური რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია, გასაკუთრებით მისი მთიანი სისტემის ფარგლებში, რასაც კლიმატისა თუ ჰიდრომინერალური რესურსების სამკურნალო თვისებებიც ემატება. ამ მხრივ, გამორჩეულია დაბალმთიანი (500-1000მ-მდე) ზონა, სადაც ზომიერი ტემპერატურები ზაფხულში, მთათაშორის ბარის ზონასთან შედარებით, მეტად კომფორტულ გარემოს ქმნის დასვენებისათვის (კობახიძე, 1971). კურორტებზე, დამსვენებელთა 63 პროცენტი თვლის, რომ აქაური გარემო *უნიკალურია.* უცხოელ ვიზიტორთა შორის, კურორტების ბუნებას *უნიკალურად* მიიჩნევს 50 პროცენტი, ხოლო 48 პროცენტი თვლის, რომ ის *კარგია* დიაგრამები #16 და #17.

### დიაგრამები #14 და #15. უცხოელ და ქართველ რესპონდენტთა მიერ პროდუქტების შეძენა ადგილობრივ (გლეხების) ბაზარში







### დიაგრამები #16 და # 17. ქართველ და უცხოელ რესპონდენტთა მიერ ბუნებრივი გარემოს შეფასება







ტურიზმის ინდუსტრიაში, ტურისტული პროდუქტის ხარისხის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია. პოლონელი მეცნიერი ს. ლიშევსკი, ტურიზმში სამ სივრცეს გამოჰყოფს — წარმოსახვითს (imaginative), შეზღუდულს (access-restricted) და რეალურს (real) (Lishewski, 2006). გამგზავრებამდე, პოტენციური ტურისტის წარმოდგენა დანიშნულების ადგილის შესახებ, წაკითხული ან ვირტუალურად ინფორმაციით ან სხვისი ნაამბობით, წარმოდგენით იქმნება. მისი მოლოდინიც ამ წინასწარ მიღებულ ინფორმაციას ემყარება. მოგვიანებით კი, უკვე აღქმულის/რეალურის თანხვედრას ახდენს. ასეთი თანხვედრით მიღებული კმაყოფილება, საბოლოოდ განსაზღვრავს კიდეც ვიზიტის ხარისხს.

რადგან მომსახურება მოიცავს არამატერიალურ მახასიათებლებს, რაოდენობრივად მისი ხარისხის გაზომვა საკმაოდ რთულია, თუმც შეფასება შესაძლებელი ისეთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მონიტორინგით, როგორიცაა კურორტზე დასვენების პირობებში:

- ✓ სერვისებზე ხელმისაწვდომობა
- ✓ უსაფრთხოება
- ✓ ჰიგიენა
- ✓ ფასი
- ✓ ტექნიკური სისტემების სრულფასოვნად ფუნქციონირება
- ✓ ბუნებრივი და კულტურული გარემოს თვითმყოფადობა
- ✓ საზოგადოებრივი გარემოს კეთილგანწყობა (ჯაში, 2010).

რეკრეაციული სტრუქტურის ფუნქციონირებაში განმსაზღვრელ როლს *ტექნიკური სისტემები* ასრულებს (Мироненко, Твëрдохлебов, 1987). ს. გრონრუსი ხარისხის შეფასებისას ტექნიკურ და ფუნქციონალურ მხარეებს გამოჰყოფს და „აღქმულ ხარისხს“ (perceived quality) ორ ცვლადზე — „მიღებულ/განცდილ სერვისსა“ (experienced service) და „ აღქმულ სერვისზე“ (perceived service) დამოკიდებულად მიიჩნევს. ტექნიკურ მხარეს ხელშესახები პარამეტრები განსაზღვრავს (სასტუმროს ნომერი, ინფრასტრუქტურა, მენიუ და სხვ.) ხოლო ფუნქციონალურში არამატერიალური ფასეულობები იგულისხმება ანუ პერსონალის დამოკიდებულება ვიზიტორთა მიმართ, პროფესიონალიზმი, ემპათიურობა და ა. შ., რაც სერვისის ხარისხის მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატორებია. გრონრუსის მოდელი „არასრულყოფილი/უკმარი მომსახურების ხარისხის კონცეფციას“ (missing service quality concept) ემყარება. ეს მოდელი ფოკუსირებულია სხვაობაზე მოსალოდნელ და აღქმულ მომსახურებას შორის. ამ იმიჯს ერთდროულად ქმნის ტექნიკური და ფუნქციონალური ასპექტები. კონცეფციის მიხედვით ითვლება, რომ ერთის მხრივ რესურსები და მეორეს მხრივ აქტივობა (იგივე მომსახურება) ერთდროულად მოიცავს იმას, რასაც ეძებს და შემდეგ აფასებს მომხმარებელი (Cooper, et.al., 2008:532).

პარასურამასის, ზეითამლისა და ბერის მიხედვით, ხარისხი ასევე განისაზღვრება, როგორც განსხვავება/სხვაობა (gap) მომხმარებლის წარმოდგენასა და

რეალობას შორის. ეს შეიძლება წარმოიქმნას კონკრეტული მომსახურების განსხვავებული შეფასებისას ვიზიტორისა და მენეჯმენტის მხრიდან, ასევე სხვაობით სარეკლამო განცხადებასა და რეალურად მიღებულ სერვისს შორის ან სრულყოფილ ტექნიკურ გარემოში არაპროფესიულად მიწოდებულ მომსახურებას შორის და სხვ.(Cooper, et.al., 2008:534).

ჩვენი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც *ტექნიკურად*, ასევე *ფუნქციონალურად*, ყველაზე მეტ მოწონებას კვების ობიექტი იმსახურებს (დიაგრამები # 18 და #19).

**დიაგრამა #18 და #19. დამსვენებელთა მიერ ტექნიკური სისტემების შეფასება**







საერთაშორისო ვიზიტორები უპირატესობას კვების ობიექტის, როგორც ტექნიკურ მხარეს (რესპონდენტთა 40%), ასევე იქ მიღებულ მომსახურებას (50 პროცენტი), აგრეთვე სასტუმროს (33 პროცენტი) ანიჭებენ. გასათვალისწინებელია ის, რომ უცხოელი ტურისტები, საირმეშიც და ნუნისშიც, ძირითადად განთავსებული არიან სამ ვარსკვლავიან სასტუმროში, რაც მეტ კომფორტს ქმნის მათთვის, ვიდრე უფრო დაბალი საცხოვრებელი რანგის სასტუმრო (ყოფილი საბჭოთა პერიოდის სანატორიუმი მცირე რეკონსტრუქციით ან ხის კოტეჯები), სადაც უმეტესად ადგილობრივი დამსვენებელი რჩება (დიაგრამები #20 და #21).

### დიაგრამები #20 და #21. უცხოელ დამსვენებელთა მიერ ტექნიკური სისტემების შეფასება







რაც შეეხება სამედიცინო ობიექტს, *ტექნიკურად* ის დადებითად აღიქმება უცხოელთა 30 პროცენტისათვის, თუმცა *სერვისით* კმაყოფილების შესახებ მხოლოდ 10 პროცენტი მიუთითებს. *ყველა ტიპის მომსახურებით კმაყოფილებას,* უცხოელთა 33 პროცენტი აღნიშნავს, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 16 პროცენტს არ აღემატება ქართველთა შორის (დიაგრამები #22, #23, #24 და #25).

### დიაგრამები #22 და #23. დამსვენებელთა მიერ მომსახურების შეფასება






**დიაგრამები #24 და #25. უცხოელ დამსვენებელთა მიერ მომსახურების შეფასება**







კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომელიც მომსახურების ხარისხს განსაზრვრავს, მისი ფასთან შესაბამისობაა. რადგან ტურიზმის სფეროში პროდუქტის დაგემოვნება წინასწარ ვერ ხერხდება და ურთიერთობას ნდობის ფაქტორი დიდად განსაზღვრავს, შეძენის პროცესი თითქმის ყოველთვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული (Cooper, et.at., 2008). რისკი რეალური ხდება მხოლოდ მომსახურების მიღების შემდეგ, როცა გადახდილი ფასი მოლოდინს არ შეესაბამება. საქართველოში, ხშირად, მეტად მაღალი ფასი მიღებულ მომსახურებასთან შედარებით, დამაბრკოლებელი ფაქტორი ხდება ტურიზმის ბიზნესში (ჯაში, 2010). კურორტ საირმეში, იმ რესპონდენტთა უმეტესობამ, რომლებიც თანამედროვე, მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრობდნენ, უფრო მეტად მიუთითეს გადახდილი ფასის შეუსაბამობის შესახებ, ვიდრე შედარებით დაბალი კლასის სასტუმროს დამსვენებლებმა.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის შედეგებზე მსჯელობისას ხშირად მიმართავენ საჭიროების ანალიზის (Need analysis) ანუ სხვაობის ანალიზის (Gap analysis) მეთოდს, რომელიც გვიჩვენებს სხვაობას „რა არის“ და „რა უნდა იყოს“ შორის („Need Analysis“).

ჩვენი კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მასპინძელმა ტურისტულმა სტრუქტურებმა ისეთი სერიოზული მარკეტინგული ღონისძიებები უნდა გაატარონ, როგორიცაა:

- ✓ ბაზრის კვლევა
- ✓ ტურისტული პროდუქტის შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდება
- ✓ პროდუქტის დივერსიფიკაცია

- ✓ დამატებითი მომსახურების შეთავაზება
- ✓ ფასისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა.

მაღალი ხარისხის მომსახურების მისაღწევად რესპონდენტები თვლიან, რომ საჭიროა შემდეგი სერვისების განვითარება:

- ✓ საექსკურსიო მომსახურება (37 პროცენტი);
- ✓ პრესა-ტელევიზიით უკეთ უზრუნველყოფა (30 პროცენტი);
- ✓ ინტერნეტ მომსახურების გაუმჯობესება (26 პროცენტი);
- ✓ გასართობი ობიექტის არსებობა (25 პროცენტი) (დიაგრამები #26 და #27).

საერთაშორისო დამსვენებელთა შორის, ადგილობრივებთან შედარებით, უფრო მაღალია:

- ✓ საექსკურსიო მომსახურებით უზრუნველყოფის სურვილი (45 პროცენტი);
- ✓ მოთხოვნა პრესა-ტელევიზიასა და გაუმჯობესებულ ინტერნეტზე (38 პროცენტი);
- ✓ უფრო მარვალფეროვანი კვებითი მომსახურება (29 პროცენტი);
- ✓ გასართობი ობიექტის არსებობა (26 პროცენტი);
- ✓ უკეთესი სამედიცინო მომსახურება (21პროცენტი);

ამავე ჯგუფის რესპონდენტთა 12 პროცენტი მიუთითებს, რომ კურორტზე ყველაფრის გაუმჯობესებაა საჭირო, მაშინ როცა ქართველთა შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1 პროცენტია (დიაგრამები #28 და #29).

დიაგრამა #26.

ვიზიტორთა მოთხოვნა იმ სერვისებზე, რომლის საჭიროებასაც თვლიან კურორტებზე




დიაგრამა #27.

ქართველ რესპონდენტთა სასურველი აქტივობები



დიაგრამა #28.

უცხოელ ვიზიტორთა მოთხოვნა იმ სერვისებზე, რომლის საჭიროებასაც თვლიან კურორტებზე




დიაგრამა #29. უცხოელ რესპონდენტთა სასურველი აქტივობები




ქვეყნის სტაბილურად განვითარების პირობებში (როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კუთხით), მოთხოვნა საქართველოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ

კურორტებზე სამომავლოდ, მოიმატებს რამოდენიმე მიზეზეის გამო: სხვა უპირატესობებთან ერთად, უმთავრესია საქართველოს სიახლოვე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ-რესურსულ ბაზასთან, ევროპასთნ; ამასთნავე, 2010-2020 წლებში ე.წ. „ბეიბი ბუმერების“ ანუ 65-74 წლის ასაკობრივი ჯგუფი 13%-ით გაიზრდება. მაღალი შემოსავლები მათ საშუალებას მისცემს საკმაო თავისუფალი დრო დასვენებისათვის გამოიყენონ (ზეროვსი, პავერსი, რეინოლდსი, 2012:475). დღეს, როდესაც სიბერის ზღვარზე მისული მოსახლეობა, ანუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაბადებულთა რაოდენობა უკვე 80 მლნ-ს აჭარბებს, ევროპისა თუ ჩრდილო ამერიკის ხანდაზმული მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელია ჯანდაცვაზე ორიენტირებული მომსახურების უფრო სწრაფი განვითარება, რადგანაც ეს სეგმენტი თავისთავად, ფოკუსირებულია სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე (ზეროვსი, პავერსი, რეინოლდსი, 2012:319). როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, „მათ უძრავ ქონებაზე გირაოს თანხა უკვე გადახდილი აქვთ და დანაზოგიც გააჩნიათ საპენსიო ფონდში. სწორედ ეს აძლევს მათ მოგზაურობის საშუალებას („Center for Business“, 2012:475).

ექსპერტები უთითებენ, რომ შიდა ტურიზმში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართავას უფრო რეალური პერსპექტივა აქვს, რადგან გარედან მოსული მეწარმეები მხოლოდ მოკლე ვადაში ეკონომიკური სარგებლის მიღებით არიან დაინტერესებულნი. „[ლოკალური] მოსახლეობა უფრო იზრუნებს ტრადიციების და ადგილისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სტილის შენარჩუნებაზე, ვიდრე გარედან მოსული. გარდა ამისა, ასეთი მიდგომის მიზანია, [რომ] ისინი ტურიზმის განვითარების პროცესს არც ფიზიკური და არც ფინანსური თვალსაზრისით არ ჩამოშორდნენ“ („ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოში“, 2011:5).

უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სეგმენტის წილი ყველა ქვეყანაში გაცილებით მეტია, ვიდრე საერთაშორისო ტურისტებისა (მარგველაშვილი, 2010:127; Demunter, & Dimitrakopoulou, 2011:1; ზეროვსი, პავერსი და რეინოლდსი., 2012:475).

ჩვენი საკვლევი კურორტებიდან ყველაზე დიდი სივრცითი და სტრუქტურული ტრანსფორმაცია წყალტუბომ განიცადა. ტურისტული ინდუსტრიის გაფართოების ბევრად მეტი შესაძლებლობაც მას აქვს, რადგან მთლიანად რეგიონის, როგორც ფიზიკურ–გეოგრაფიული განფენილობა, ასევე ბუნებრივ–რესურსული პოტენციალი

(შეუსწავლელი კარსტული მღვიმეების სიმრავლე სათავგადასავლო ტურიზმისათვის), ამის საშუალებას იძლევა, მაშინ როცა კურორტები საირმე და განსაკუთრებით, ნუნისი მეტად შეზღუდული რელიეფური პირობების გამო, მასშტაბურ სივრცით ცვლილებებს მოკლებულია. გარდა ამისა, სტრუქტურული ძვრები რომელიც წყალტუბომ 1990–იანი წლებიდან განიცადა (დევნილთა სტიქიურად თუ ორგანიზებულად შესახლება თითქმის ყველა სანატორიუმში და კურორტის ფუნქციონირების შეწყვეტა) და ამჟამად მიმდინარე ტრანსფორმაციაც (დევნილთა გამოსახლება და სერიოზული სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები რეაბილიტაციისათვის), საკითხის უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

კურორტ წყალტუბოს ტურისტულ კლასტერში მნიშვნელოვანი სტრუქტურები სასტუმროები და ერთი სანატორიუმია.

კურორტზე დღეისათვის 12 სასტუმრო და 1 სასტუმრო-სანატორიუმი ფუნქციონირებს. მათ შორისაა როგორც 4 და 3-ვარსკვლავიანი, ასევე საოჯახო ტიპის განთავსების საშულებები. სულ კურორტს შეუძლია ერთდროულად 352 ნომერში მიიღოს 616 ადამიანი. სასტუმროებში არის როგორც ერთადგილიანი, ორადგილიანი, ასევე ნახევრად ლუქსის ტიპისა და ლუქსის ნომრები. სასტუმროები „პლაზა“, „პრომეთე“, „არგო“ და სასტუმრო-სანატორიუმი „წყალტუბო სპა რიზორტ“ დამსვენებლებს სთავაზობს საქართველოს ყველა აეროპორტიდან სატრანსფერო მომსახურებას, ხოლო სანატორიუმი დამატებით, ტრანსფერს ქვეყნის რკინიგზის სადგურებიდანაც. განთავსების ამ 4 საშუალებას ასევე აქვს ერთდღიანი ტურები ქუთაისის, ბათუმის, მარტვილის, მესტიის, ქობულეთის, ანაკლიის, ფოთის მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის დროს წყალტუბოში 21 სანატორიუმი ფუნქციონირებდა. ამჯერად კი, მხოლოდ ერთი, „წყალტუბო სპა რეზორტ“ (“Spa resort”), ანუ ყოფილი სამხედრო სანატორიუმი, რომელიც ბოლო წლებამდე თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა. ამჟამად ის სააქციო საზოგადოებაა და კერძო მფლობელობაშია. ის ერთად–ერთია, სადაც არ ყოფილან დევნილები განთავსებული. 2011 წლის ივლისში გაიხსნა 4-ვარსკვლავიანი კომპლექსი და სანატორიუმმა პირველი დამსვენებლები მიიღო, თუმც დღესაც, ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა მცირეა. სატუმრო–

სანატორიუმის 78 ნომერი ემსახურება 141 ადამიანს. გრძელვადიანი რეკრეანტები (7–14 ღამისთევა), ძირითადად აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან არიან. 30–40 უცხოელზე დაახლოებით 10–12 ქართველი დამსვენებელი მოდის. მასშტაბური და კომფორტული ბუნებრივი და ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამო, სასტუმრო ხშირად მასპინძლობს კონფერენციებს, სემინარებს, ტურისტულ ჯგუფებს. მენეჯმენტს მაღალი აქვს მოთხოვნა კვალიფიციურ პერსონალზე. ხელმძღვანელობის მოწვევით, თანამშრომლებს რამოდენიმეჯერ ჩაუტარდათ ტრენინგები სარესტორნო საქმეში, გაიარეს რუსულ ენაში მომზადების ექვსთვიანი კურსები; სისტემატიურად ღებულობენ მონაწილეობას საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ რეკრეანტთა ტრანსფერს ქუთაისის აეროპორტიდან სასტუმრომდე. სასტუმროებს კავშირი აქვთ ტურსააგენტოებთან და ტუროპერატორებთან, დარეგისტრირებული არიან კარგად ცნობად საიტებზე, რაც უზრუნველყოფს დამსვენებელთა მოზიდვას. „წყალტუბო სპა რიზორტის“ შემადგენლობაშია 16 ჰა პარკი, ასევე 1 კმ-ზე მოწყობილია ბილიკი ველოსიპედით და ფეხით მოსიარულეთათვის. სანატორიუმს აქვს საკუთარი რესტორანი 350 ადამიანზე, ბარი, კლუბი, საკონცერტო და საკონფერენციო დარბაზები. ასევე აქ დამსვენებელს შეუძლია ისარგებლოს ყველა ტიპის სამედიცინო–სააბაზანო მომსახურებით („ა(ა)იპ წყალტუბოს“ , 2016).

სასტუმროებმა „წყალტუბო პლაზამ“ და „პრომეთემ“ ვიზიტორთა მიღება 2004 და 2011 წლებიდან დაიწყეს. სხვა სასტუმროთა მენეჯერებთან ერთად, ისინი აღნიშნავენ ქუთაისის აეროპორტის დიდი მნიშვნელობის — დაბალტარიფიანი საავიაციო რეისებისა და კურორტთან სიახლოვის დადებითი როლის შესახებ. სამკურნალო–გამაჯანსაღებელი მიზნით დამსვენებელთა კონტინგენტი სწორედ ამ გზით ხვდება წყალტუბოში. 2013 წელს დაინიშნა კიდეც ჩარტერული რეისები ისრაელიდან, რამაც ერთდროულად რამოდენიმე ჯგუფის შემოსვლა უზრუნველყო. ეს ძალიან კარგად აისახა სასტუმროების დატვირთვაზე. სამწუხაროდ, ასეთ შემოყვანას მუდმივი ხასიათი შემდეგ აღარ მიეცა.

საბჭოთა პერიოდში არსებული დანარჩენი 20 სანატორიუმიდან დღეისათვს 16 ისევ დევნილებს უჭირავთ. დევნილები გაყვანილია სანატორიუმებიდან „შახტიორი“ „ცისკარი“, „სავანე“, „ივერია“.

2015 წელს სანატორიუმი „შახტიორი“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ 2.5 მლნ დოლარად გაასხვისა. ახალი მფლობელი შპს „KBP თბილისია“. ინვესტორი ვალდებულია 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოს არანაკლებ 100-ნომრიანი, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2016 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ობიექტი დაკეტილია.

სანატორიუმი „ივერია“ 2016 წლის იანვარში გაყიდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აუქციონის ფორმით 253 000 ლარად. საპრივატიზაციო პირობების თანახმად, ინვესტორი ვალდებულია სასტუმროში განათავსოს 160-ნომერი, ასევე საკონფერენციო დარბაზი, რესტორანი და 40 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი და დაასაქმოს 80 ადამიანი. ინვესტორმა ამ პროექტში 6 მლნ ევრო უნდა ჩადოს.

სანატორიუმი „ცისკარი“ 2016 წლის მარტში გაყიდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აუქციონის ფორმით 160 000 ლარად. მფლობელი გახდა შპს „არგო“, რომლის ვალდებულებაა სულ მცირე 5 მილიონიანი ინვესტიცია განახორციელოს და 50-ნომრიანი სასტუმრო ააშენოს, კეთილმოწყობილი ეზოთი 20 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომით. სანატორიუმების „ცისკარისა“ და „ივერიას“ მფლობელნი ისრაელის მოქალაქეები არიან.

რაც შეეხება სანატორიუმ „სავანეს“, ის დაცლილია დევნილებისგან, თუმცა ჯერ ისევ მუნიციპალიტეტის ქონებას წარმოადგენს.

მონაცემთა მეტი ვიზუალიზაციის მიზნით, ჩვენს მიერ GIS ტექნოლოგიის გამოყენებით, შევქმენით წყალტუბოს რუკა კურორტზე არსებული განთავსების ობიექტების სპეციფიკის გათვალისწინებით (რუკა #3).

რუკა #3.

კურორტი წყალტუბო და მის ტერიტორიაზე არსებული განთავსების საშუალებები



წყალტუბოს ადგილობრივი ხელისუფლება ჩართულია კურორტის ტურისტულ ტრანსფორმაციაში, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში.

კურორტ წყალტუბოს ვიზიტორთა რაოდენობის მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს „ა(ა)იპ ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“. ის ყოველთვიურად იღებს ინფორმაციას სააბაზანოების ადმინისტრაციისგან თუ რამდენ პაციენტს მოემსახურა აღნიშნული დაწესებულება. სწორედ ესაა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მთავარი და ერთადერთი საშუალება. ამასთან, სასტუმრო/სანატორიუმი „წყალტუბო სპა რიზორტიც“ აწვდის თავისი სტუმრების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, განსხვავებით სხვა განთავსების ობიექტებისაგან, რომელმაც უარი განაცხადეს მათი დატვირთულობის შესახებ ინფორმაცია გადაეცათ ტურიზმის განვითარების ცენტრისთვის. მიუხედავად ამისა, სტატისტიკაში დიდი ცდომილება არ არის, რადგან წყალტუბოს კურორტზე ჩამოსული დამსვენებელი აუცილებლად იღებს სამკურნალო აბაზანებს, ხოლო ერთი დღით შემოსული ვიზიტორი, რომელიც უბრალოდ ათვალიერებს კურორტს ღამეს იშვიათად ატარებს წყალტუბოში, ღამისთევის ადგილი ამ ტიპის ტურისტისთვის, ძირითდად, ქალაქი ქუთაისია. გარდა ამისა, სამკურნალოდ წყალტუბოში ჩამოსულთა გარკვეული ნაწილი ადგილობრივია ან მიმდებარე რაიონებიდან არიან, შესაბამისად, ისინი ყოველდილით ჩადიან წყალტუბოში. აქედან გამომდინარე, სასტუმროების მიერ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისაგან თავშეკავება დიდ ცდომილებას არ იძლევა (ა(ა)იპ ქ.წყალტუბოს კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი. ინტერვიუ ექსპერტთან, 2018) .

რაც შეეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ორ მთავარი ტურისტული დანიშნულების ადგილის (პრომეთეს მღვიმე და სათაფლიის ნაკრძალი) ვიზიტორთა რაოდენობას, ის აღირიცხება ადგილზე ტურისტული მომსახურების ცენტრების მიერ, ხოლო შემდეგ ამ ინფორმაციას დამუშავებისთვის აგზავნიან „ა(ა)იპ ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრში“.

2014-2015 წლებში კურორტ წყალტუბოს ყველაზე მეტი დამსვენებელი ეწვია აზერბაიჯანიდან, შემდეგ ადგილზე იყო რუსეთი და უკრაინა. რაც მეტწილად განაპირობა ამ ქვეყნების საქართველოსთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ, წყალტუბოს ცნობადობამ (საბჭოთა წარსულიდან) და ასევე ინფორმაციის მისაწვდომობამ მისი რეაბილიტაციის შესახებ. ასევე დიდი დაინტერესებაა პოლონეთიდან და შუა აზიიდან.

2014 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ესტუმრა 171 904 ვიზიტორი, აქედან 13 164 ადამიანმა დაისვენა კორორტ წყალტუბოში, სათაფლიის დაცული ტერიტორია მოინახულა 67 228-მა, ხოლო პრომეთეს მღვიმე - 91 512-მა ტურისტმა. 2015 წელს დაახლოებით 20 000-ით გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა წყალტუბოს ტერიტორიაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ კურორტმა წყალტუბომ 2 000-ით ნაკლები დამსვენებელი მიიღო წინა წელთან შედარებით - 11 332 ადამიანი. სანაცვლოდ გაიზარდა სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეების ვიზიტორთა რიცხვი - 73 601 და 106 959 ტურისტი (ცხრილი #5).

**ცხრილი#5.**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვიზიტორების რაოდენობა 2014-2015 წლებში**

| წელი | კურორტი წყალტუბო (დამსვენებელთა რაოდენობა) | პრომეთეს მღვიმე (დამთვალიერებელთა რაოდენობა) | სათაფლიის ნაკრძალი (დამთავლიერებელთა რაოდენობა) | სულ: |
|---|---|---|---|---|
| 2014 | 13 164 | 91 512 | 67 228 | 171 904 |
| 2015 | 11 332 | 106 959 | 73 601 | 191 892 |

წყარო: ა(ა)იპ ქ.წყალტუბოს კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი

ამრიგად, ვიზიტორთა რაოდენობა, რომლებიც სტუმრობენ ქუთაისისა და წყალტუბოს ტურისტულ რეგიონს, მზარდია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის წარმოებაში ბევრი ხარვეზია. ამასთან, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ მომდევნო წლებში ტურისტების რაოდენობა მოიმატებს

სატრანსპოტრო უზრუნველყოფასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად.

სტატისტიკურ მასალასთან ერთად, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებმა საშუალება მოგვცა დეტალურად შეგვესწავლა წყალტუბოს დამსვენებელთა სოციალურ–ეკონომიკური სტრუქტურა და გაგვეკეთებინა კურორტის SWOT ანალიზი. ანკეტური გამოკითხვის (58 რეკრეანტი, როგორც საქართველოს ასევე, სხვა ქვეყნის მოქალაქეები) და შერჩეულ ექსპერტებთან (სააბაზანოების მთავარ ექიმებთან, საშუალო რგოლის მედპერსონალთან, სასტუმროებისა და სანატორიუმის მენეჯერებთან და მფლობელებთან, ქალაქის ადმინისტრაციასთან) სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, გამოვავლინეთ წყალტუბოს ტურისტული სპეციალიზაციის მთავარი ასპექტები, ასევე კურორტის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხეები და შესაძლებლობები.

კვლევის პერიოდში (შემოდგომის სეზონი) დამსვენებელთა შორის ქალთა კონტინგენტი ჭარბობდა (დიაგრამა #30).

**დიაგრამა #30. რესპონდენტთა გენდერული სტრუქტურა**




მათი დიდი ნაწილი საპენსიო ასაკისაა და კურორტზე ყოფნის მთავარი მიზანი მკურნალობაა (დიაგრამები #31 და #32).

**დიაგრამა #31.** **დიაგრამა #32.**







ვიზიტორთა მეტი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდანაა. კურორტზე ჩამოსასვლელად, მათ ძირითადად სახმელეთო საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლეს, ხოლო უცხოელ დამსვენებელთა (29%) ათმა პროცენტმა საჰაერო ტრანსპორტით ისარგებლა (დიაგრამები #33 და #34).

**დიაგრამა # 33.** **დიაგრამა #34.**







რესპონდენტები კურორტის ბუნებრივ და ტექნიკურ გარემოს დადებითად აფასებენ (დიაგრამები #35 და #36).

**დიაგრამები #35 და #36. რესპონდენტთა მიერ კურორტის ბუნებრივი და ტექნიკური გარემოს შეფასება**







მათი დიდი ნაწილი ასევე კმაყოფილია კურორტის სამედიცინო ობიექტებზე მიღებული სერვისებით (დიაგრამები #37 და #38).

**დიაგრამა #37 და #38. რესპონდენტთა მიერ კურორტზე ტექნიკური ობიექტებისა და მომსახურების შეფასება**







დამსვენებელთა აბსოლუტური უმეტესობისათვის (82%) მიღებული სერვისები ფინანსურად ხელმისაწვდომია. დაფინანსების წყარო კი სხვადასხვაგვარია (დიაგრამები #39 და #40).

**დიაგრამა #39 და #40. რეკრეანტთა ფინანსური ხელმისაწვდომობა და დაფინანსების წყარო**







დამსვენებელთა საჭიროების/დეფიციტის ანალიზმა (Need/Gap Analysis) იგივე შედეგი აჩვენა, რაც ჩვენს მიერ გამოკვლეულ სხვა კურორტებზე — მაღალი მოთხოვნა საექსკურსიო ტურებზე და ამ ტიპის სერვისის სიმწირე (დიაგრამები #41 და #42).

**დიაგრამა #41. რეკრეანტთა სასურველი აქტივობები**



### დიაგრამა #42. მოთხოვნა იმ სერვისებზე, რომლის საჭიროებასაც რეკრეანტები განიცდიან




წყალტუბო, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი, სივრცით და სტრუქტურულ ტრანსფორმაციას განიცდის —— არსებული ობიექტების სახეცვლასთან ერთად, (მენეჯმენტი, ინფრასტრუქტურა, სერვისის ხარისხი და სხვ.), მიმდინარეობს ახალი ობიექტების (სასტუმროები) შექმნა და სხვა სივრცეების ათვისება. კურორტი ცდილობს მოერგოს რეკრეანტთა ახალ მოთხოვნებს, აითვისოს ახალი ტერიტორიები და ადეკვატური სერვისი შესთავაზოს განახლებულ ტურისტულ ბაზარს.

მოცულობითი კერძო ინვესტირების შემდეგ, სრულიად განახლებული მეორე და მეექვსე სააბაზანოები, ბალნეოპოცედურებთან ერთად, ყველაზე თანამედროვე გამაჯანსაღებელ და სპა პროცედურებს სთავაზობენ დამსვენებლებს. შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ბალნეო სერვისი" (ყოფილი მე–6 სააბაზანო), რომლის შემადგენლობაში შედის შვიდი სააბაზანო შენობა და ორი ბიუეტი. ჯერ–ჯერობით აღდგენილია ერთი ბიუეტი და ორი წყარო. ინვესტორები საქართველოს მოქალაქე ქართველები არიან.

სარეაბილიტაციო ცენტრი „ბი ჰელთი" ("be healthy") ყოფილი მე–2 სააბაზანოა. ის რუსეთის მოქალაქე, ქართველმა ინვესტორმა შეისყიდა და მისი სრული მოდერნიზება მოახდინა. აღნიშნული სტრუქტურები ემსახურება კურორტის ყველა ვიზიტორს.

ორივე ფირმის მენეჯმენტის მიერ მოხდა მომსახურე სამედიცინო პერსონალის გადამზადება და ჩანაცვლება ახალგაზრდა კონტინგენტით. ათწლეულების წინ სამსახურის გარეშე დარჩენილი ძველი თანამშრომლები, დღეს საპენსიო ასაკისანი არიან ან სხვა საქმიანობას ეწევიან. ამდენად, ძველი კადრების დაბრუნება აღარ მომხდარა, თანაც არსებულმა რეალობამ ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა, როგორც მენეჯმენტი, ასევე პერსონალი. ბალნეოსტრუქტურები თანამშრომლობენ კოლეჯებთან და სტუდენტები ადგილზე გადიან პრაქტიკას. წარმატებულ კურსდამთავრებულებს დასაქმებას სთავაზობენ კვალიფიკაციის მიხედვით. ეს პროცესები მით უფრო მისასალმებელია, რომ ერთი მხრივ, აღარ ხდება ახალგაზრდების რაიონიდან წასვლა, მეორე მხრივ კი, დამსაქმებელიც უპირატესობას ადგილობრივ შრომით რესურსს ანიჭებს. ამდენად, კურორტზე რეკრეაციულ საქმიანობაში თითქმის მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობაა ჩართული.

ვიზიტორთა ძირითადი ნაკადები პოსტ–საბჭოთა სივრციდანაა, უპირატესად აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და უკრაინიდან (ცხრილი#6). მნიშვნელოვანია დამსვენებელთა რაოდენობა ისრაელიდან. რეკრეანტთა რიცხვი მზარდია.

ცხრილი #6 სს "ბალნეოსერვის"-ში დამსვენებელთა შემოსვლის გეოგრაფიული სტატისტიკა (2015 და 2016 წლები)

| ქვეყანა | 2015 და 2016 წლები (ჯამური მაჩვენებელი უპირატესი 15 ქვეყნისათვის) | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თვეები | | | | | | | | | | | | სულ |
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | |
| საქართველო | 54 | 37 | 68 | 96 | 194 | 267 | 519 | 840 | 652 | 251 | 121 | 47 | 3146 |
| აზერბაიჯანი | 3 | 4 | 6 | 9 | 36 | 161 | 855 | 1475 | 496 | 59 | 7 | 11 | 3121 |
| რუსეთი | 26 | 15 | 31 | 36 | 100 | 87 | 83 | 95 | 113 | 85 | 25 | 39 | 1444 |
| ყაზახეთი | 5 | 1 | 1 | 9 | 17 | 12 | 9 | 28 | 10 | 6 | 5 | | 103 |
| უკრაინა | 4 | 4 | 18 | 20 | 17 | 25 | 22 | 6 | 13 | 7 | 3 | 1 | 140 |
| ისრაელი | | | 2 | 31 | 25 | 75 | 52 | 52 | 55 | 38 | 4 | | 322 |
| ლატვია | | | 1 | 1 | 6 | 4 | | 3 | 5 | 8 | | 4 | 32 |
| თურქეთი | 2 | 2 | 3 | 1 | 2 | 2 | 6 | 2 | 1 | | 7 | 9 | 37 |
| პოლონეთი | 1 | | | 7 | 13 | 1 | 21 | 10 | 43 | 5 | 1 | | 102 |
| იტალია | | 2 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | | 3 | 1 | 10 | 4 | 31 |
| გერმანია | 1 | | | 7 | 6 | 20 | 12 | 14 | 17 | 6 | 2 | 1 | 86 |
| საფრანგეთი | 6 | | | 5 | 3 | | 10 | 4 | 3 | 7 | 1 | | 39 |
| ლიტვა | 1 | | | 13 | 9 | 9 | 6 | | 6 | 4 | 1 | 3 | 51 |
| საუდის არაბეთი | | 2 | 15 | 10 | 16 | 4 | 26 | 35 | 27 | 14 | 5 | 8 | 162 |
| გაერთიანე-ბული საემიროები | | 1 | | | 14 | | 16 | 16 | 6 | 6 | 10 | 3 | 72 |
| **სულ** | | | | | | | | | | | | | **8888** |

წყარო: „ბალნეო სერვისის" სტატისტიკური სამსახური.

რესპონდენტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა საერთო პრობლემები, რომელიც:

- ✓ პირველ რიგში, კურორტის დაბალ ცნობადობას უკავშირდება. როგორც თავად აცხადებენ, ბევრი სტრუქტურა უკვე საერთაშორისო სტანდარტს პასუხობს,

მაგრამ უცხოელ ვიზიტორთა დაბალი ინფორმირებულობის გამო, მაინც მცირეა დამსვენებელთა რაოდენობა;

- ✓ მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი საკმაოდ უსაფრთხო და წყნარია, კურორტის ცენტრში ჯერ კიდევ ბევრია ვიზუალური დაბინძურების ადგილები დანგრეული შენობების და ძველი, ამორტიზებული ინფრასტრუქტურის სახით. ამ მხრივ, გამონაკლისია „სპა რიზორტ“, რომლის კორპუსებს ვრცელი და ლამაზი პარკი აკრავს გარს და ეს საკითხი, შედარებით ნაკლებად პრობლემურია;
- ✓ მესამე, ყველა რესპონდენტი მიუთითებს წყალტუბოში გასართობი ობიექტების არარსებობის შესახებ;
- ✓ და ბოლოს, ყველა სასტუმროს მენეჯერი პრობლემურად მიიჩნევს მომსახურე პერსონალის ინგლისური და რუსული ენების არცოდნას. ამიტომ მათი ძალისხმევა დიდწილად, ამ დეფიციტის დაძლევაზეა მიმართული.

კურორტის ადმინისტრაცია პრობლემებს ნაწილობრივ იზიარებს, თუმც აღნიშნეს, რომ 2014–2016 წლებში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 50 მილიონის ინვესტიცია ჩაიდო ქალაქში, რომლის საფუძველზეც მოხდა ცენტრალური პარკის, ქუჩების, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემის, საფეხმავლო ბილიკების, საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია. მაგრამ ყველაზე დიდ გამოწვევად მაინც დევნილებით დაკავებული შენობები რჩება.

დღეისათვის, 21 სანატორიუმიდან გასხვისებულია სანატორიუმი „შახტიორი“, თუმც ფინანსური პრობლემების გამო, ჯერ–ჯერობით ახალი მფლობელი აღდგენით სამუშაოებს ვერ აწარმოებს. მასთან ერთად, დევნილებისაგან დაცლილია კიდევ 4 შენობა —– კგბ–ს ყოფილი სანატორიუმი და სანატორიუმები „ივერია“, „სავანე“ და „ცისკარი“ (დანართი #1). ყველა იქ მცხოვრები 350 ოჯახი ბინებით უკვე უზრუნველყოფილია. დარჩენილ 15 სანატორიუმში დევნილები ჯერ–ჯერობით არიან, თუმც მათი რაოდენობა განახევრებულია. წყალტუბოში და ქუთაისში მიმდინარეობს ბინათმშენებლობა ამ კატეგორიის 500 ოჯახისათვის და უახლოეს ორ წელიწადში იგეგმება დაკავებული შენობების მთლიანად გამონთავისუფლება.

ჩვენი კვლევის საფუძველზე შესაძლებელია კურორტ წყალტუბოს SWOT ანალიზის გაკეთება:

<u>ძლიერი მხარეები:</u>

- ✓ დიდი დებიტის ბუნებრივ–რეკრეაციული რესურსით (სამკურნალო მინერალური წყლით) უზრუნველყოფა;
- ✓ კარგი ფიზიკურ–გეოგრაფიული მდებარეობა და იოლი სატრანსპორტო მიღწევადობა, როგორც საავტომობილო ასევე საჰაერო ტრანსპორტით;
- ✓ იაფი ავიარეისები ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში;
- ✓ ადგილობრივი თვითმართველობის ჩართულობა ტურიზმის განვითარებაში;
- ✓ თანამედროვე და უახლესი ტექნიკა ფიზიოთერაპიული და ველნეს (wellness) პროცედურებისათვის;
- ✓ ფიზიოთერაპიული–გამაჯანსაღებელი მკურნალობისათვის კვალიფიციური მედპერსონალის არსებობა;
- ✓ წყნარი და უსაფრთხო ქალაქი;
- ✓ ტურისტულად აქტიური ობიექტების სიახლოვე (სათაფლიის, პრომეთეს მღვიმეები, ბაგრატის, მოწამეთას და გელათის ისტორიული ტაძრები), იოლი სატრანსპორტო მისაწვდომობა და ტურებზე დაბალი ფასები;
- ✓ ქუთაისთან, როგორც დიდ ქალაქთან სიახლოვე სხვადასხვა მიზნით –– კულტურული და შემეცნებითი ტურებისათვის, შოპინგისათვის, გართობისა და საღამოს გატარებისათვის; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღებისათვის.

<u>სუსტი მხარეები:</u>

- ➢ წყალტუბოს ნაკლები ცნობადობა;
- ➢ ახალ სასტუმროებსა და სამკურნალო–გამაჯანსაღებელი სტრუქტურებზე მომხმარებლის ძვირიან სეგმენტზე სერვისის მორგება (ძირითადად უცხოელ დამსვენებელზე);
- ➢ ქართველი დამსვენებლების უმეტესობისათვის (განსაკუთრებით მოხუცთათვის), არსებული ფასების გამო მომსახურებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;

- საერთაშორისო ბრენდის სასტუმროთა ქსელის არარსებობა;
- საწოლი ადგილების ლიმიტირებული რაოდენობა (მოთხოვნა ჭარბობს შეთავაზებას);
- სატუმროებისა და სააბაზანოების მცირე რიცხვი;
- მომსახურე პერსონალის უცხო ენაზე კომუნიკაციის სირთულე;
- ვიზუალური დაბინძურების ბევრი კერა კურორტზე;
- უმუშევრობის მაღალი დონე ქალაქში;
- ფინანსური რესურსების ნაკლებობა ტურიზმის განვითარების პროგრამების გასაფართოვებლად;
- ყოფილი სანატორიუმები, რომლებიც ჯერ კიდევ დევნილებითაა დაკავებული.

<u>საფრთხეები:</u>

- როგორც მსოფლიო, ასევე ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისი;
- საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობა და ახალი ხელისუფლების მიერ რეგიონის განვითარების სტრატეგიის ცვლა (საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებს საინვესტიციო გარემოზე; ხელისუფლების პირადი ინტერესებზე მორგებული ახალი პოლიტიკა და ა.შ.).

<u>შესაძლებლობები:</u>

- ✓ კონტაქტების გაფართოება და გააქტიურება სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებთან ტურისტთა მეტი ჯგუფების მოზიდვისათვის;
- ✓ ჩარტერული რეისების დანიშვნა და მიღება ქუთაისის აეროპორტში;
- ✓ ადგილობრივი და ქვეყნის ხელისუფლების მეტი ჩართულობა საერთაშორისო დონეზე კურორტის რეკლამირებისათვის;
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ✓ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ ადგილობრივი თვითმართველობების მეტი თანამონაწილეობა;
- ✓ მეტი ფინანსური რესურსის მოძიება;
- ✓ ბიზნესმენთა დაინტერესების გაზრდა;

- ✓ დევნილების გადაყვანა სხვა საცხოვრებლებში, სანატორიუმების გასხვისება და ექსპლოატაციაში შესვლა.

ამგვარად, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციებისა და დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

✓ დღეისათვის, დადებითად ფასდება ის, რომ კურორტებზე ფართოვდება დამსვენებელთა გეოგრაფიული არეალი (განსაკუთრებით საირმესა და ნუნისში, რომლებიც ტრადიციულად რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები იყო) უპირატესად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან ჩამომსვლელთა ხარჯზე;

✓ ხდება კურორტების კეთილმოწყობა (საირმე დასრულებული პროექტია, წყალტუბო -- მიმდინარე);

✓ შესაძლებელია ვიზიტორთა განთავსება სხვადასხვა რანგის საცხოვრებელ ობიექტებზე (მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებისა სამივე კურორტზე);

✓ კეთილმოწყობილი მისასვლელი გზები (საირმე, წყალტუბო);

✓ ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო მასშტაბური პროექტები წყალტუბოში.

ბალნეოლოგიური ტურიზმის წინსვლისათვის, რამდენიმე სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი კვლავაც არსებობს. ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი პრობლემები:

✓ ტურისტული პროდუქტის ერთგვაროვნება, რომლის დაძლევა გულისხმობს მკურნალობიდან თავისუფალი დროის უკეთეს მენეჯმენტს დამატებითი მომსახურების შეთავაზებით;

✓ არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა და მომსახურების არასრულყოფილება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ვიზიტორთათვის;

✓ მარკეტინგული კვლევების სიმწირე;

✓ სერვისის ხარისხით გარკვეულწილად, უკმაყოფილება ანუ სხვაობა ვიზიტორთა მოლოდინსა და მიღებულ მომსახურებას შორის. თუკი, ტურისტული მომსახურების ხარისხის განსაზღვრას მოვახდენთ, მოსალოდნელი სერვისისა (მოლოდინი მომხმარებელთა მხრიდან) და აღქმული/მიღებული (მიწოდებლის მხრიდან) მომსახურების თანხვედრით, აღმოჩნდება, რომ კმაყოფილება მიღწეულია

მხოლოდ ნაწილობრივ. ანუ სხვაობა ბაზარზე მოთხოვნასა და შეთავაზებას შორის შესამჩნევია. ეს კი პირდაპირ მიუთითებს მასპინძელთა მხრიდან წარდგენილი სერვისის სერიოზული გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია:

✓ სამედიცინო მომსახურების სრულყოფა, რაც საკვლევი კურორტების მთავარი პროფილია;

✓ ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს დამსვენებელთათვის დამატებითი მომსახურების შეთავაზებას შემეცნებითი, გასართობი თუ სხვა ტურების სახით;

✓ მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, რაც სერიოზული დაბრკოლებაა ნუნისის სინამდვილეში; სეზონურობის დაძლევა, რაც ნაწილობრივ მიღწევადია საირმისა და სრულად მიღწევადი წყალტუბოს ბუნებრივ პირობებში;

✓ რადგან ქვეყანაში საშუალო ფენის შექმნა გვიანდება, საჭიროა ამოქმედდეს ინდივიდის/რეკრეანტისა და სახელმწიფო დაზღვევის თანაგადახდის სისტემა, რომელიც ჩვენების მიხედვით დანიშნული სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარების საშუალებას მისცემს ადგილობრივ მიზნობრივ სეგმენტს. სხვა შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობა კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს საკურორტო მკურნალობის მიღებას და ეს სერვისი მხოლოდ ელიტარული და უცხოელი მომხმარებლისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

✓ რადგან ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ტურიზმია მიჩნეული, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების მოზიდვა ამ სფეროში;

✓ აუცილებელია საქართველოს სამკურნალო ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების რეკლამირება საერთშორისო დონეზე, რათა ამაღლდეს ცნობადობა და ქვეყნის ბალნეოლოგიურმა კურორტებმა სამკურნალო დანიშნულებით/ჩვენებით მიიღონ უცხოელი ვიზიტორები. დღეისათვის, ეს ცნობადობა და ნდობა, მცირედ თუ სცილდება პოსტ-საბჭოთა სივრცეს, გარე ბაზარი კი, ჯერ-ჯერობით ძნელად ასათვისებელია. ამიტომ, შიდა ტურიზმის გაფართოება და ექსპორტი ძალზე

მნიშვნელოვანია. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, საერთაშორისო ტურიზმს ხელსაყრელ პირობებს უქმნის  ლოკალურ ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა -- ვითარდება და იქმნება ახალი სტრუქტურები, სრულყოფილი ხდება მომსახურება, შედეგად კი, შიდა ტურიზმზე მაღალი მოთხოვნის მქონე ქვეყნები წარმატებით აკმაყოფილებენ საერთაშორისო მოთხოვნასაც (მეტრეველი 254);

✓ რადგან საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს რეგიონში არსებულ კურორტებს მასობრივი ტურიზმით (საზღვაო ტურიზმი), შემომყვნი ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ბალნეოლოგიური ტურიზმი  შეიძლება გახდეს, ანუ შეიქმნას ერთგვარი ნიშა საერთაშორისო ბაზარზე (Nitch Tourism), აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივ აუდიტორიაზე და მოხდეს გამაჯანსაღებელი ტურისტული პროდუქტის ექსპორტი;

✓ საკურორტო ბიზნესის გარდა, შიდა ტურიზმი ხელს შეუწყობს მთიანი რეგიონების განვითარებას, რომელთა მოსახლეობა არ გამოირჩევა არსებითი ეკონომიკური შემოსავლებით და არც წინსვლის დიდი პერსპექტივა აქვთ, მაშინ როცა ტურიზმი შეიძლება მათთვის  დასაქმების (პირდაპირ და ირიბად) ერთ-ერთ ალტერნატივად იქცეს.

## 5.5. ქუთაისი, როგორც ურბანული ტურისტული პროდუქტი

ქუთაისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის მხარეში  და მისი ადმინისტრაციული ცენტრია. ქუთაისი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც მდინარე რიონი თავისი ვიწრო და საკმაოდ ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. ქალაქის ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან  97 მეტრზე, ხოლო ყველაზე მაღალი ადგილი  347 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.  დღევანდელ საზღვრებში ქუთაისის ფართობი 65 კვ. კმ-ია. 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქუთაისში 147,6 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 2293 კაცია 1კვ.კმ.-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღალია („მოსახლეობის რიცხოვნობა“, 2015).

ქალაქისა და მისი მიდამოების ჰავა ხასიათდება შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრითა და ხშირი, მშრალი აღმოსავლეთის ქარებით; შავი ზღვიდან მონაბერ დასავლეთის ქარებს ტენი მოაქვთ, რაც განაპირობებს ნალექების საშუალო წლიურ რაოდენობას 1580 მმ-ს და მეტს. ნალექების უმეტესი წილი ზამთრის თვეებში, უმეტესად წვიმის სახით მოდის, ყველაზე ნაკლები კი, მაისსა და აგვისტოში („ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგია", 2016).

საბჭოთა პერიოდში, ქუთაისის ეკონომიკური სექტორი გამოირჩეოდა მსხვილი საწარმოების სიმრავლით, სადაც დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა 1990–იანი წლების მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე სიტუაციაში ჩააყენა ქალაქის ეკონომიკა. 2000–იანი წლების შემდეგაც პრობლემური მდგომარეობა დიდხანს შენარჩუნდა. უკიდურესად დაბალი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის გამო, საწარმოთა უმრავლესობამ ვერ გააგრძელა ფუნქციონირება ძირითადი პროფილის მიხედვით და მათი საქმიანობა ცალკეული, მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმო ფართობების გაქირავება, იჯარით გაცემა, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შეიცვალა. უმოქმედობის ან მცირე დატვირთვის პირობებში, საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ, რამაც თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

ოფიციალური მონაცემებით, ქ. ქუთაისში 2015 წლისათვის რეგისტრირებული იყო 35 776 ბიზნეს სუბიექტი. შემოსავლებით ბიზნესიდან, ქუთაისი მსხვილი ქალაქებიდან ჩამორჩება როგორც ბათუმს, ასევე რუსთავს. ბოლო ათწლეულებში ქალაქის ეკონომიკაში სამრეწველო პოზიციების დაკარგვამ და საბაზრო სისტემაზე გადასვლამ, ეკონომიკის დარგებში სტრუქტურის ძირეული ცვლილებები გამოიწვია. ძირითადმა „დატვირთვამ" მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა, კერძოდ, 2015 წლისათვის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში საწარმოო სფეროს მხოლოდ 11% ეჭირა, ვაჭრობას - 9%, განათლებასა და სპორტს - 18%, ჯანდაცვა წარმოდგენილი იყო 10%-ით, მშენებლობა - 5%-ით, მომსახურება - 4%-ით,

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა — 3%, სახელწიფო მომსახურება — 7%, ხოლო 36% სხვა დარგების წილად მოდიოდა („ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგია“, 2016).

ქუთაისის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა, რომელიც საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობა იყო (კოპიტნარის ეროპორტი) და თავიდან აშენდა 2012 წელს. ის დღეს რეგიონში ერთადერთია, რომელიც მგზავრებს დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მომსახურებას სთავაზობს. აეროპორტი ქუთაისის ცენტრიდან 14 კმ-ში მდებარეობს და საკვანძო მნიშვნელობა აქვს. საავიაციო რეისებით იგი უკავშირდება უკრაინას, რუსეთს, ლიტვას, პოლონეთს, უნგრეთს, გერმანიას, იტალიას, კვიპროსს, დიდ ბრიტანეთს. ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ინფრასტრუქტურის წყალობით, მას სათადარიგო მნიშვნელობაც აქვს – ნებისმიერი ამინდისა და ხილვადობის პირობებში შესაძლებელია რეისის განხორციელება. აეროპორტი აღჭურვილია უახლესი ტექნიკის სანავიგაციო და მეტეოროლოგიური სისტემებით, აქვს 2 500 მეტრი სიგრძის ასაფრენი ზოლი, თვითმფრინავის 4 სადგომი, 3 გასასვლელი და ერთდროულად 600 მგზავრის მომსახურება შეუძლია. კომპანია „Georgian Bus” უზრუნველყოფს ავიარეისების განრიგზე მორგებულ მგზავრთა ტრანსპორტირებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან აეროპორტის მიმართულებით („ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“, 2018). 2017 წელს მგზავრთა რაოდენობა 2016 წელთან შედარებით 55,8%–ითაა მომატებული („ქუთაისის აეროპორტთან“, 2017).

აეროპორტში 3 ავიაკომპანიაა წარმოდგენილი – „ვიზეარი“, „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზები“ და „ურალის ავიახაზები“. „ვიზეარი“ აპირებს რეისების დამატებას, რაც კიდევ მეტად გაზრდის ტურისტების რაოდენობას ქუთაისსა და წყალტუბოში. წყალტუბოში ჩამომსვლელი ტურისტები, ძირითადად, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებს იყენებენ. სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს იმას, რომ ყაზახეთში, სადაც მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა წყალტუბოს კურორტზე, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები გეგმავენ, მათი ქვეყნიდან პირდაპირი ფრენები განხორციელდეს ქუთაისის მიმართულებით. მოთხოვნის ზრდის ერთ-

ერთი მიზეზი ბილეთის დაბალი ფასია („ვიზეარი“, 2016). მიგვაჩნია, რომ კოპიტნარის აეროპორტი ახლო მომავალში, ზევრად დიდ როლს ითამაშებს ქუთაისის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლებაში და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ვიზიტორთა მეტ ნაკადებს არა მარტო ქუთაისსა და წყალტუბოში, არამედ მთლიანად, საქართველოს მიმართულებით. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ბილეთზე დაბალი ფასი, ძლიერ კონკურენციას უწევს თბილისის აეროპორტის ფრენის ტარიფებს, სადაც თურქული კომპანია „ტავი“ (თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მართვის უფლების მქონე კომპანია 2027 წლამდე) უპირატესობას ისევ ძვირადღირებულ საავიაციო ფირმებს ანიჭებს (Where is TAV? 2018).

ახლო მომავალში დასრულდება სარკინიგზო ბაქნის ინფრასტუქტურის მშენებლობა და შესაძლებელი გახდება დედაქალაქიდან აეროპორტამდე მატარებლით უწყვეტად მგზავრობა. იგეგმება ტერმინალის გაფართოება; რეკონსტრუქცია ჩაუტარდება თვითმფრინავების სადგომ ბაქანს და სააეროდრომო ინფრასტრუქტურასაც („ქუთაისის აეროპორტთან“, 2017).

ტურიზმის ინდუსტრიაში ქუთაისის მთავარი მიმართულება *შემეცნებითი რეკრეაციაა.* ქალაქი მდიდარია ისტორიული და არქიტექტურის ძეგლებით; ნაწილი ობიექტებისა გართობისა და დასვენების მიზნით გასული საუკუნის ათწლეულებში შეიქმნა.

ქუთაისსა და მის შემოგარენში მთავარი ტურისტული ადგილებია: X საუკუნის ბაგრატის ტაძარი (მდებარეობს ქალაქში, უქიმერიონის გორაზე), ეროვნული მუზეუმი, „ოქროს ჩარდახი“ იმერეთის მეფეთა რეზიდენცია, გაბაშვილის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ქალაქის ცენტრს საბაგირო გზით უკავშირდება, ბოტანიკური ბაღი. მე–11 საუკუნის მოწამეთის ტაძარი ქალაქიდან 7 კმ–ში, ხოლო XII-XIII საუკუნეების გელათის სამონასტრო კომპლექსი 11 კმ–ში მდებარეობს.

საბჭოთა ათწლეულებში ქუთაისი საკავშირო თუ რესპუბლიკური ტურისტული მარშრუტებით აქტიურად იტვირთებოდა, რომელთაც ემსახურებოდა

საორგანიზაციო საექსკურსიო ბიურო, ტურისტული სასტუმრო „ხვამლი“, ავტოგაერთიანება „სერვის–ტურისტი“, „კემპინგი“ და რიონის ტურბაზა.

1968 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა საექსკურსიო სამოგზაურო ბიურო ტურბაზასთან ერთად, 1972 წელს კი ეს სტრუქტურები გაიყო. ბიურო ემსახურებოდა მთელს დასავლეთ საქართველოს. მაგალითად, სასტუმრო „ხვამლი“ მასპინძლობდა ორგანიზებული ტურების 45 რეგულარულ მარშრუტს – ქ. ორჯონიკიძედან (ვლადიკავკაზი), ბაქოდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან და სხვ., რომლებიც ზღვისპირეთში მთავრდებოდა; იყო ნაკადები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. მაისის მეორე ნახევრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე, ერთ ექსკურსიამძღოლზე დღეში 10 ავტობუსი ანუ სამასი ტურისტი მოდიოდა. ქუთაისი მოიცავდა 60 მარშრუტს. აქ შედიოდა ისტორიული, არქიტექტურისა და ბუნების ძეგლების, მონახულება (მოწამეთის გარდა), მუზეუმები (ისტორიული, სპორტის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის; „მაიაკოვსკის დღეები“ ტარდებოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ–მუზეუმში და სხვ.). ისტორიულ მუზეუმს 20–30 ათასი ვიზიტორი ჰყავდა წელიწადში. ტურისტული ნაკადების მუდმივობას ისიც განაპირობებდა, რომ ქალაქის დამთვალიერებლები წყალტუბოს სანატორიუმების დამსვენებლებიც იყვნენ, რომელთა საგზურებში ქუთაისი სავალდებულო მარშრუტი იყო. წლის განმავლობაში კურორტის 120 000 რეკრეანტიდან, 80 000 მაინც სტუმრობდა ქალაქს, თანაც ეს ვიზიტები სეზონურ ხასიათს ნაკლებად ატარებდა (ინტერვიუ ქუთაისის საექსკურსიო ბიუროსა და სატუმრო „ხვამლის“ ყოფილ დირექტორთან ზ. ჯავახაძესთან. 10 ნოემბერი, 2014).

იმის გამო, რომ ზამთრის სეზონზე იკლებდა ტურისტული აქტივობა, ქუთაისიდან საექსკურსიო ბიურო გასვლით ტურებს აწყობდა, როგორც მატარებლით ასევე თვითმფრინავით. 1970–იან წლებში იყო ასეთი მარშრუტი ტურისტული მატარებლით (12 ვაგონი 3 რესტორნით და 400 ტურისტით), რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა —– ქუთაისი – ხარკოვი – ბრიანსკი – ვილნიუსი – რიგა – ტალინი – ლენინგრადი – ქუთაისი. ავიატურები, 1973 წლიდან დაიწყო. ეს იყო ქუთაისი – ტალინი (ერთად–ერთი ორგანიზებული ტური ესტონეთის მიმართულებით

საქართველოდან, ამიტომ თბილისიდან მსურველებსაც ქუთაისის ჯგუფში წერდნენ), ქუთაისი – ტაშკენტი, ქუთაისი – კრასნოდარი, ქუთაისი – ოდესა, ქუთაისი – ვოლოგოგრადი, ქუთაისი – ალმა–ატა, ქუთაისი – მოსკოვი (3 დღიანი ტური). ამ ტურისტთა რაოდენობა წელიწადში თითქმის იმდენივე იყო, რაც ქალაქის მოსახლეობა მთლიანად იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ადამიანი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოგზაურობდა.

ქუთაისში ფუნქციონირებდა საცხენოსნო მარშრუტებიც „კემპინგიდან“. 20 ცხენი ემსახურებოდა ქუთაისი – რაჭა–ლეჩხუმის ტურს. მასთან ერთად იგივე მისიას ასრულებდა ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“, რომელიც აწყობდა საფეხმავლო ლაშქრობებს კარვებში ღამისთევით, დაშვებას მდინარე რიონზე ნავებით და საცხენოსნო ტურებს.

საქართველოს რეგიონებიან ქუთაისში საექსკურსიო ტურების ღამისთევათა აბსოლუტური უმეტესობა, კერძო სახლებზე მოდიოდა, რადგან ქალაქი (და ზოგადად, საქართველოც) სასტუმროებისა და ტურბაზების ძალიან დიდ დეფიციტს განიცდიდა. ორგანიზებული ტურებისათვის 1000 საწოლი იყო სასტუმრო „ხვამლში“, „კემპინგში“ და რიონის ტურბაზაში. ღამისთევათა რაოდენობა წელიწადში, მხოლოდ „ხვალმში“ 120 000 იყო, 30 000 დანარჩენ ორში ცალ–ცალკე. 1990–იან წლებში სამივე სტრუქტურა დევნილებმა დაიკავეს. მათი ნაწილი დღესაც იქ რჩება (ინტერვიუ ქუთაისის საექსკურსიო ბიუროსა და სატუმრო „ხვამლის“ ყოფილ დირექტორთან ზ. ჯავახაძესთან. 2 ოქტომბერი, 2015).

ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის 2015 წლის მონაცემებით, ქალაქში რეგისტრირებული იყო 79 სხვადასახვა ტიპის განთავსების საშულება. 2018 წლის მონაცემებით, ღამისთევის ობიექტების რაოდენობა საგრძნობლად მომატებულია და შეადგენს 277–ს, მათ შორის:

- ✓ 64 სასტუმროს
- ✓ 113 საოჯახო სასტუმროს
- ✓ 51 ჰოსტელს
- ✓ 49 სასტუმროს ტიპის სახლს

სულ ოთახების რაოდენობა - 1286, ადგილების რაოდენობა - 3071.

ფუნქციონირებს მანქანის გაქირავების 3 სერვის–ფირმა (ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკა, 2018).

სასტუმროთა შორის ერთი — ბესთ ვესტერნ–ქუთაისი (Best Western Kutaisi) ეკუთვნის საერთაშორისო სასტუმროთა Best Western–ის ქსელს, რომელის ფრენჩაიზი 2017 წლის აპრილში კომპანია „კაპიტალ ჰოლდინგმა“ განახორციელა. ხშირად, ქუთაისის აეროპორტში ჩამოსული ტურისტული ჯგუფები, ქუთაისში ჩერდებიან და შემდეგ აქედან მოგზაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ტურისტულ მომსახურებას თავად სასტუმროს ადმინისტრაცია სთავაზობს. მათ შედგენილი აქვთ საინტერესო მარშრუტები, რომელშიც იმერეთის ყველა ცნობილი ღირშესანიშნაობა შედის. სასტუმროში სულ 45 ნომერია, აქედან 5 ლუქსის ტიპის, არის 3 საკონფერენციო დარბაზი, რომელთა გაერთიანება შესაძლებელია და ჯამში 100 -მდე ადამიანი მიიღებს მომსახურებას. ბესთ ვესტერნი ქუთაისი სამვარსკვლავიანია და ძირითადად, საშუალო შემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი. აქვს კაფე და რესტორანი ტერასაზე („Best Western Kutaisi“, 2017). ქალაქის სხვა სასტუმროთა უმეტესობა გათვლილია 40-მდე ადამიანზე, რამდენიმეს შეუძლია მიიღოს 80 და მეტი ვიზიტორი.

საქართველოს ბაზარზე ორიენტირებული რამდენიმე ტურისტული სააგენტო, მოგზაურობის მსურველებს სთავაზობს ტურებს, რომლებშიც ქუთაისისა და მისი შემოგარენის, ასევე კურორტ წყალტუბოს მონახულება შედის.

„კონკორდ თრეველი“ (“Concord Travel”) ერთ-ერთი მოწინავე ტურ-ოპერატორია კავკასიაში. ქუთაისში ვიზიტი შედის კომპანიის ტურების: „კულტურული ტურის“, „ქუთაისის ტურის“ და „ღვინის ტურის“ შემადგენლობაში.

„გეორგიკა თრეველი“ („Georgica Travel“) საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ტურ-ოპერატორია. იგი ძირითადად, ორი ტიპის ტურს სთავაზობს მომხმარებელს: კულტურული და სათავგადასავლო —„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში“, „საქართველოს მკვლევარი“ და „კლასიკური საქართველო“. თითოეულ მათგანში შედის ქუთაისის მონახულება (გეორგიკა თრეველი, 2018).

„კავკაზუს თრეველი“–ის („Caucasus Travel”) კულტურულ ტურებში შედის „ქალაქური ცხოვრება“ და „ოქროს საწმისის მიწა“ („კავკასუს თრეველი“, 2018). ამ კომპანიათა ტურები 8–10 დღეს მოიცავს და მხოლოდ ერთ ან ორდღიან ვიზიტებს ითვალისწინებს ქუთაისში ღამისთევით. ხშირად, დაგეგმილ მარშრუტში წყალტუბოს მონახულებაც შედის.

ქალაქისათვის ბევრად მნიშვნელოვანი გახდა იმ კომპანიათა ტურები, რომლებმაც ტურისტთა ვიზიტები, უშაულოდ ქუთაისის მიმართულებით საავიაციო რეისებს დაუკავშირეს. ესენია „ვიზიტ ჯორჯია“(„Visit Georgia“) და „უონდერლენდი“ („Wonderland“) —— ტურები „კატოვიცე - ქუთაისი“ და „ვარშავა- ქუთაისი“. ეს უკანასკნელი, მოწინავე ადგილზე დგას ქუთაისში ჩამოყვანილი ტურისტების რაოდენობით. ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ისაა, რომ ტურისტები საქართველოში ქუთაისის აეროპორტში ჩამოდიან და უკან გამგზავრებაც იქედან ხდება.

კულტურულ-ისტორიული ტური, რომელსაც ფირმა სთავაზობს, 11 სხვადასხვა ტურისტული პაკეტიდან რვაში, ქუთაისისა და მისი შემოგარენის მონახულებაა გათვალისწინებული (ქალაქის ცენტი, ბაგრატი, გელათი, მოწამეთა, სათაფლიის ან პრომეთეს კარსტული მღვიმე, კურორტ წყალტუბოს დათვალიერება) და მოგზაურობა დაახლოებით 5-8 დღე გრძელდება. ამავე ფირმის „ღვინის ტური“ ქუთაისში დაყოვნებასა და იმერული ღვინოების დაგემოვნებას ითვალისწინებს („უონდერლენდი“, 2018).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად, მცირეა ისეთი ტურების რაოდენობა, რომელიც უშუალოდ ქუთაისზეა ორიენტირებული. იმ ტურებში, სადაც ქალაქს მხოლოდ ერთი დღე ეთმობა (ერთი ღამისთევით), ქუთაისის მონახულებას მისი სატრანზიტო მდებარეობა უფრო განაპირობებს, სადაც გავლით იყოფებიან დამსვენებლები. უკეთეს შემთხვევაში კი, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან შემოსული ვიზიტორები სტუმრობენ ქალაქს შედარებით ხანგრძლივი ვადით. ცხადია, ეს ბოლო ფაქტორი ქუთაისში რეკრეანტთა მოზიდვისათვის მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ აუცილებელია

ბაზარზე გაჩნდეს შეთავაზება კონკრეტულად, ქუთაისის შემეცნებითი ტურისა, რის საშუალებასაც არსებული მდიდარი რესურსულ–რეკრეაციული ბაზა იძლევა.

ქალაქში სასტუმროების მშენებლობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ როცა სეზონზე (მაისი-სექტემბერი), მათი დატვირთვის კოეფიციენტი 80-85%-ია. 2015 წლის მონაცემებით, ქუთაისის ღამისთევის საშუალებებში მხოლოდ 1401 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი, ამასთან, კომფორტის შეთავაზება მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეუძლია. სწორედ ამ მიზნით, საკრებულომ დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს შეღავათებს მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას, უფრო კონკრეტულად კი თუ ინვესტორი (ადგილობრივი ან უცხოელი), მუნიციპალიტეტისაგან იყიდის მიწას სასტუმროს აშენების მიზნით, მაშინ მას ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს 2-წლიანი უპროცენტო განვადებით. პროექტის, „ქუთაისი 2020-ის“ ერთ-ერთი მიზანია ბიზნესისთვის სივრცითი, ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული პირობების გაუმჯობესება (ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგია, 2016).

ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დონე მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში. საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანთა კვალიფიკაცია, რომლებიც დასაქმებული არიან ტურიზმის სფეროში, არ შეესაბამება სტანდარტებს. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილება აღნიშნული პრობლემის დაძლევისათვის ატარებს ტრენინგებს. 2015 წელს მერიის დაფინანსებით ქუთაისის სასტუმროთა მენეჯერები გაემგზავრნენ პოლონეთში, სადაც ისინი დაესწრნენ მიზნობრივ სემინარებს; ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ინგლისური ენის შემსწავლელი მეცადინეობები ტაქსის მძღოლებისათვის. ასევე იგეგმება ტურიზმის სფეროში დასაქმებული ბუღალტრების გადამზადება. გარდა ამისა, განხორციელდა პროექტი „გახდი გიდი შენს ქალაქში“, რომლის მიზანი იყო სტუდენტების კვალიფიცაციის ამაღლება და გიდის პროფესიის პოპულარიზაცია. ამ ერთკვირიან ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10-მა სტუდენტმა. მათ გაიარეს გიდის თეორიული და პრაქტიკული კურსები.

ქუთაისთან დამეგობრებულია, როგორც ევროპის, ასევე აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 19 ქალაქი. ტურიზმის განყოფილება, მეგობარი ქალაქების მმართველობასთან დამყარებული კავშირებით, ერთმანეთს უცვლიან გამოცდილებას.

ქუთაისში შემოსული ტურისტების დინამიკის განსაზღვრისათვის აღირიცხება ის ტურისტები, რომლებიც სარგებლობენ საინფორმაციო ცენტრით. ა(ა)იპ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა 2017 წლის 2 მაისს. ცენტრმა განახორციელა სხვადასხვა პროექტი და მონაწილეობა მიიღო ტურიზმის საერთაშორისო გამოფენებში.

ცენტრის ინიციატივით გამოიცა იმერული სამზარეულოს პირველი ბროშურა; დასრულდა პროექტი, რომლის მიზანი იყო ქალაქის ახლადშექმნილი ტურისტული ლოგოსა და სლოგანის პოპულარიზაცია (დანართი #3); დაიხატა ქალაქის არტ–რუკა (მხატვარი ელენე მიქაძე) (დანართი #4). ამ ნამუშვერებითა და დათო ტურაშვილის ტექსტის საფუძველზე შეიქმნა კიდევ ერთი ბროშურა. 2018 წელს, მონაწილეობა მიიღეს თურქეთისა და ბერლინის საერთაშორისო გამოფენებში. მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის ცენტრის განახლებულ ვებ გვერზე. საიტი ხელმისაწვდომი იქნება უახლოეს მომავალში; იგეგმება ქალაქის ტურისტული კლიპის შექმნა, პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

ტურისტული ნაკადებით ქუთაისის მიმართულებით, გამოირჩევა აღმოსავლეთი ევროპა — პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნები; აზიიდან — იაპონია და ისრაელი.

2012 წელს ყველაზე მეტ ტურისტს ქუთაისმა უმასპინძლა ისრაელიდან (600 ადამიანი), რომელსაც სულ რამდენიმე კაცით ჩამორჩა პოლონეთი (537 ტურისტი). ეს უკანასკნელი მომდევნო წლებში აშკარა ლიდერი გახდა (ცხრილი #7). ამის განმაპირობებელი ფაქტორია ქუთაისის აეროპორტის ამოქმედება და პირდაპირი ფრენების განხორციელება პოლონეთის მიმართულებით. ასევე ამ ქვეყანაში ქუთაისის ცნობადობის გაზრდა პროექტის „ვიზიტ ქუთაისის“ ფარგლებში, რომელიც პოლონეთის ხელისუფლების მიერაა დაფინანსებული. 2012 წელს უკრაინიდან ქალაქს ესტუმრა 395 ვიზიტორი, რომელთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა 2013

წელს, რაც განაპირობა „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების“ შემოსვლამ კოპიტნარის აეროპორტში.

2015 წელს უნგრეთიდან შემოსულმა რეკრეანტების რაოდენობამ 16-ჯერ მოიმატა. ეს კი განაპირობა ბუდაპეშტის მიმართულებით პირდაპირმა რეისებმა, რომელსაც ქუთაისის აეროპორტიდან ახორციელებს დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია „ვიზეარი“. სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა (ქუთაისი-ვილნიუსის მიმართულება), რომ ლიტვა მე-5 ადგილზეა ქუთაისში შემოსული ტურისტების რაოდენობით.

დღემდე ქალაქის ვიზიტორთა რიცხვი მზარდია. უპირატესობას კვლავ პოლონეთი, გერმანია, რუსეთი და ლიტვა ინარჩუნებს. მოიმატა ტურისტთა რიცხვმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და ესპანეთიდან.

**ცხრილი # 7. ტურისტთა დინამიკა ქუთაისში ვიზიტორი ქვეყნების პირველი ოცეულიდან**

| ქვეყნები | **2015** | ქვეყნები | **2016** | ქვეყნები | **2017** |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1680 | პოლონეთი | 2281 | პოლონეთი | 2590 |
| გერმანია | 432 | გერმანია | 901 | გერმანია | 2426 |
| ლიტვა | 430 | რუსეთი | 774 | რუსეთი | 1352 |
| რუსეთი | 357 | ლიტვა | 569 | ლიტვა | 590 |
| ისრაელი | 306 | ჩეხეთი | 524 | დიდი ბრიტანეთი | 526 |
| ჩეხეთი | 287 | უკრაინა | 459 | ჩეხეთი | 468 |
| უნგრეთი | 232 | უნგრეთი | 271 | საფრანგეთი | 403 |
| უკრაინა | 223 | ისრაელი | 241 | უკრაინა | 345 |
| საფრანგეთი | 151 | დიდი ბრიტანეთი | 211 | უნგრეთი | 272 |
| სლოვაკეთი | 127 | საფრანგეთი | 200 | ესპანეთი | 180 |
| დიდი ბრიტანეთი | 124 | იტალია | 159 | იტალია | 180 |
| ლატვია | 122 | ლატვია | 120 | ისრაელი | 178 |
| ნიდერლანდები | 114 | სლოვაკეთი | 111 | ნიდერლანდები | 178 |
| ესპანეთი | 97 | ნიდერლანდები | 110 | აშშ | 156 |
| იტალია | 97 | აშშ | 103 | ლატვია | 129 |
| ბელგია | 92 | ესპანეთი | 91 | ჩინეთი | 108 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 88 | ბულგარეთი | 90 | სლოვაკეთი | 102 |
| აშშ | 62 | ბელგია | 85 | იაპონია | 96 |
| იაპონია | 60 | ბელარუსი | 72 | ბელგია | 94 |
| ესტონეთი | 41 | შვეიცარია | 71 | ავსტრია | 87 |
| **სულ** | **5122** | | **7443** | | **10460** |

წყარო: ა(ა)იპ ქუთაისი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა მგზავრების მომსახურება დაიწყო 2012 წლის სექტემბრიდან და წლის ბოლომდე განახორციელა 68 რეისი და 12 916 მგზავრი გადაიყვანა. მას შემდეგ მგზავრთბრუნვის დინამიკა აღმავლობით ხასიათდება

(ცხრილი #8) (ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის“, 2018).

**ცხრილი #8 ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის მგზავრთბრუნვა**

| წელი | ავიარეისის რაოდენობა | მგზავრთბრუნვა |
|---|---|---|
| **2012 (სექტემბრიდან-დან წლის ბოლომდე)** | 68 | 12 916 |
| **2013** | 1785 | 188 682 |
| **2014** | 2712 | 218 003 |
| **2015** | 1798 | 182 954 |
| **2016** | 1238 | 271 413 |
| **2017** | 1822 | 405 502 |
| **2018–იანვრიდან დღემდე** | 183 | 48 859 |

წყარო: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი.

ტურისტებისათვის ერთ–ერთ საინტერესო ადგილს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი წარმოადგენს. დამთვალიერებლთა დინამიკა მზარდია (ცხრილი #9), რაც განპირობებულია სხვადასხვა თემატიკის პერიოდული გამოფენებით; ასევე, საკრუიზო გემების მგზავრებით, რომელებიც შემოდის ბათუმის

პორტში. დღესასწაულებზე (2 მაისი, 9 მაისი და სხვ.) იზრდება დამთვალიერებელთა რიცხვი.

**ცხრილი#9 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დამთვალიერებელთა დინამიკა**

| **წელი** | მუზეუმში ექსკურსიების რაოდენობა | ვიზიტორთა რაოდენობა |
|---|---|---|
| **2013** | 147 | 3 884 |
| **2014** | 203 | 3914 |
| **2015** | 250 | 7065 |

წყარო: ბარბაქაძე, 2016.

ქუთაისისა და მისი შემოგარენის ცალკეული ტურისტული დანიშნულების ადგილებზე ვიზიტორთა სტატისტიკა არ წარმოებს. ბაგრატის ტაძარზე, მოწამეთასა და გელათში, არ ფიქსირდება ტურისტთა რიცხოვნობა.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის

<u>**ძლიერი მხარეებია:**</u>

- ✓ ისტორიულ–არქიტექტურული და ბუნების ძეგლების სიუხვე ქალაქში და მის ახლო შემოგარენში;
- ✓ შემეცნებითი ტურიზმი, როგორც ქუთაისის ტრადიციული ტურისტული მიმართულება;
- ✓ კარგი სატრანსპორტო (საჰაერო და საავტომობილო) მიღწევადობა;
- ✓ პირდაპირი რეისები კოპიტნარის აეროპორტში ევროპიდან;
- ✓ ღამისთევის ობიექტების მზარდი რიცხვი ყველა ტიპის სეგმენტზე მორგებული ფასებით;
- ✓ განთავსების საშუალებების ელექტრონული დაჯავშნის ხელმისაწვდომობა;
- ✓ გემრიელი სამზარეულო გურმანებისათვის;
- ✓ კურორტ წყალტუბოსთან სიახლოვე;

- ✓ წყნარი და უსაფრთხო ქალაქი.

<u>სუსტი მხარეები:</u>

- ✓ კონკრეტულად იმერეთის ტურისტული პაკეტის (და შესაბამისად ქუთაისის) არარსებობა;
- ✓ ქალაქის ჯერ კიდევ დაბალი ცნობადობა;
- ✓ ტურისტული საიტის არარსებობა;
- ✓ მწირი სტატისტიკური მასალა ტურიზმის სფეროში;
- ✓ პრაქტიკულად, სარკინიგზო მიღწევადობის არარსებობა;
- ✓ ტურისტთა ღამისთევების მცირე რიცხვი ქუთაისში;
- ✓ მცირე ზომის განთავსების ობიექტები ლიმიტირებული ნომრებით;
- ✓ ქალაქის მცირე შესაძლებლობა მასშტაბური ფორუმების ჩასატარებლად;
- ✓ გართობისა და საღამოს გატარების ობიექტების სიმცირე.

<u>შესაძლებლობები:</u>

- ✓ ქალაქის შესახებ ცნობადობის ამაღლება;
- ✓ არსებულის გარდა სხვა დაბალტარიფიანი ავიაკომპანიების მოზიდვა და პირდაპირი რეისების რიცხვის გაზრდა;
- ✓ აეროპორტის გაფართოების რეალური შესაძლებლობა;
- ✓ სარკინიგზო ბაქნის მშენებლობა, რაც ხელმისაწვდომს გახდის მატარებლით მგზავრობას აეროპორტამდე;
- ✓ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ტურისტული განვითარების პირობებში (რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი), ასევე, კურორტ წყალტუბოს რეკრეაციული დატვირთვის შემთხვევაში, ქუთაისის ტურისტული პოტენციალის ზრდა.

<u>საფრთხეები:</u>

- ✓ პოლიტიკური არასტაბილობა ქვეყანაში და მიმდებარე რეგიონში
- ✓ ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში და მსოფლიოში.

# თავი 6. ტურიზმის პოლიტიკა და განვითარების შესაძლებლობები იმერეთის რეგიონში

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, შემუშავებულ იქნა „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“. სტრატეგია მომზადდა მიღებული კვლევებისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე („საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, 2015:4).

სტრატეგიაში საერთაშორისო ტურისტთა მთავარ მიმზიდველ რესურსად მიჩნეულია:

- საქართველოს მდიდარი და უნიკალური კულტურა;
- მეღვინეობის ტრადიციები და ისტორია - „ღვინის სამშობლოს“ სტატუსი;
- დაცული ტერიტორიები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მსოფლიო დონის ეკო, სათხილამურო, ველო, სამთო, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ტურიზმის განვითარებას;
- კარგი კლიმატური პირობები;
- მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო;
- ქართველი ხალხის მეგობრული განწყობა და სტუმართმოყვარეობა („საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, 2015:6).

2025 წლისათვის საქართველო ცნობილი უნდა გახდეს, როგორც მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით; წარმოჩნდეს კონკურენციის მოწინავე რიგებში; მეტი ყურადღება დაეთმოს ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობას.

ამ მიმართებით, მთავარი მიზანია:

- მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საჰაერო მგზავრობის გამარტივება. ასევე, შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება;
- ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და უცხო ენის ფლობის თვალსაზრისით);

- ❖ მონაცემთა შეგროვებისა და ბაზრის კვლევის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ❖ დამატებითი მარკეტინგული რესურსების გამოყენება მაღალგადახდისუნარიანი ბაზრების უფრო ეფექტურად ასათვისებლად („საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, 2015:9).

იმერეთის ტურისტული პერსპექტივა ცხადია, საქართველოს საერთო ტურისტული განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მოიზარება. რეგიონის 2020 წლის ხედვა განმარტავს, რომ გრძელვადიან პერიოდში, იმერეთისათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს დამოუკიდებელ საერთაშორისო ტურისტულ მიმართულებად განვითარება, რომელიც იყენებს მდგრადი მოგების სტრატეგიას, დაფუძნებულია მზარდ ტურისტულ მოთხოვნაზე და ფინანსურ უკუგებაზე, რაც გააფართოვებს ტურისტების მიერ მიღებულ გამოცდილებას და აამაღლებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:35).

ხედვა ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის 4 მთავარი კომპონენტის განვითარებას:

- ✓ მოსახლეობა — ტურიზმი შექმნის დასაქმების ადგილებსა და შემოსავლის წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- ✓ ტურისტები — იმერეთი უმასპინძლებს მათ უკეთესი შეთავაზებით, რაც გაზრდის და გააუმჯობესებს ტურისტთა მიერ მიღებულ ღირებულებებსა და შთაბეჭდილებებს;
- ✓ გარემო — ტურიზმი ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების დაცვას და მდგრად გამოყენებას;
- ✓ ბიზნესი — ტურიზმი უზრუნველყოფს ჩართული კომერციული სტრუქტურების გრძელვადიან მოგებას და წაახალისებს კერძო ინვესტირებას („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:37).

ბოლო წლებში იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის მოხდა:

- ინფრასტრუქტურის განვითარება (საჰაერო და სახმელეთო გზებით მიღწევადობა, საჯარო/კერძო სატრანსპორტო მარშრუტების გაუმჯობესება);
- ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება (პერსონალის ინტეგრირებული ტრენინგები);
- საწარმოების გაუმჯობესება (განთავსების ადგილების რაოდენობის გაზრდა და შეთავაზების გაუმჯობესება);
- ორგანიზაციული გაუმჯობესება.

იმერეთში ტურიზმის სამომავლო წინსვლისათვის, გადამწყვეტ ფაქტორად ქუთაისის აეროპორტის სტრუქტურული გაფართოება და ახალი საჰაერო კავშირის დამყარება მიიჩნევა, რაც შეამცირებს ვიზიტორებისთვის არსებულ სირთულეებს და გაზრდის რეგიონში სტუმრობის შესაძლებლობებს. ამისათვის, საჭიროა შეთანხმების მიღწევა წამყვან ავიაკომპანიებთან ადგილობრივ, დაბალფასიან და რეგულარულ საერთაშორისო ავიახაზებზე ასევე, აეროპორტისთვის შესაფერსი პერსონალის რეკრუტირება, რომელსაც ექნება უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი.

სახმელეთო გზის მიღწევადობის მთავარი მიზანია თბილისთან დამაკავშირებული ავტობანის დასრულება მანქანით და ავტობუსებით მგზავრობის დროის შესამცირებლად; აჭარასთან და ზღვის სანაპიროსთან დამაკავშირებელი გზის გაუმჯობესება ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული ტურისტებისთვის იმერეთში ერთი დღის გატარების წასახალისებლად; შიდა გზების მოასფალტება და მანიშნებელი ნიშნების დამონტაჟება. მნიშვნელოვანია ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებების განვითარება ტურისტულ ადგილებთან დასაკავშირებლად, როგორიცაა: მატარებელი, მანქანის გაქირავება, მოტოციკლის გაქირავება, ველოსიპედების გაქირავება; ფეხით და ველოსიპედებით მოსიარულეთათვის ინფრასტრუქტურის შექმნა; ისეთი მარშრუტების იდენტიფიკაცია, სადაც იქნება ხედები და სურათების გადასაღები ადგილები; ველოსიპედებით მგზავრობის მარშრუტების და სასეირნო ბილიკების განსაზღვრა („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:96–97).

ტურისტთა უკეთ მომსახურებისა და მარშრუტების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია უფასო ბუკლეტების შექმნა, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა

განთავსების ობიექტში და ძირითად ტურისტულ ადგილებში. ასეთი ბუკლეტები ტურისტებისათვის განმარტავენ განრიგს, ფასებს, მგზავრების უფლებებს და მოვალეობებს. მოიცავენ ინფორმაციას ყველაზე საინტერესო ტურისტული წერტილების, მნიშვნელოვანი ძეგლების, რესურსების, ღირშესანიშნაობების, კულტურული და სპორტული აღჭურვილობის, ტრადიციული წვეულებების შესახებ, თემატური და სპეციალური ინტერესების მარშრუტებს. ტურიზმის მობილური აპლიკაციების შექმნა ახალი ტენდენციაა დღევანდელ ტურისტულ ბაზრებზე. ისინი კლიენტის მიერ მიღებულ გამოცდილებას აძლიერებენ და აუმჯობესებენ („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:100–102).

იმერეთის 2020 წლის სტრატეგიაში ტურიზმის განვითარების აუცილებელ ფაქტორად მიჩნეულია ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან შეთანხმებების მიღწევა ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიზნით („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:112).

უმნიშვნელოვანესია განთავსების ადგილების ხარისხის გაუმჯობესება და კლიენტის მოლოდინების უკეთ განსაზღვრა. საერთაშორისო სასტუმროს ქსელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ხელშეწყობა რეგიონში შემოსვლის სტიმულირების მიზნით („იმერეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგია“, 2012:119).

ვფიქრობთ, რომ დასახული მიზნების მიღწევა, იმერეთის ტურიზმის სექტორში საკმაოდ მასშტაბურ ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს, რის შემდეგაც რეგიონი რეალურად გახდება მიმზიდველი და ცნობადი საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილი. ჩვენი მხრივ, მიგვაჩნია, რომ არსებული რესურსული პოტენციალისა და ინფრასტრუქტურული ბაზის გათვალისწინებით, იმერეთში განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივა ეკოტურიზმთან ერთად, ბალნეოლოგიურ ტურიზმსა და სპელეოტურიზმს აქვს. სპა კურორტები – წყალტუბო, საირმე, ნუნისი დღეისათვის, მეტნაკლებად, პასუხობენ გარკვეულ საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ჩვენმა კვლევებმაც დაადასტურა. სამომავლოდ კი, მენეჯმენტისა და მომსახურების დახვეწა, ასევე, ქუთაისის აეროპორტის

მიმართულებით ფრენების დივერსიფიკაცია, კიდევ უფრო გაზრდის მათი მიზიდულობის პოტენციალს.

რაც შეეხება სპელეოლოგიურ ტურიზმს, რომლის ათვისების ხარისხი ჯერჯერობით, ჩამორჩება ბალნეოლოგიურ მიმართულებას, დიდი პერსპექტივა გააჩნია რეგიონში არსებული აუთვისებელი მღვიმეების სახით. იმისათვის, რომ იმერეთმა სათავგადასავლო ტურიზმის კუთხით, ნიშა პოზიცია დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს:

- ✓ ახლო მდებარე საქალაქო პუნქტებიდან დანიშნულების ადგილებამდე მანიშნებლების დამონტაჟება;
- ✓ მღვიმეებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება და სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- ✓ ბუკლეტებისა და ტურისტული რუკების განთავსება ინტერნეტ სივრცეში და ტურისტებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებზე (ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ღამისთევისა და კვების ობიექტებზე);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, დანიშნულების ადგილზე ან ახლომდებარე ვიზიტორთა ცენტრიდან, გამყოლების სერვისით უზრუნველყოფა და ტურისტთა უსაფრთხოება;
- ✓ ადგილზე იაფი ღამისთევისა და კვების ობიექტების (ე.წ. „საოჯახო ტურიზმის“ “homestay tourism”) მომსახურების შეთავაზება.

ამ მიმართებით, ჩვენს საკვლევ რეგიონში გამოვყავით ორი ქვერეგიონი წყალტუბოსა და თერჯოლა–ტყიბულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, რაც ავსახეთ GIS ტექნოლოგიით შედგენილ რუკაზე (რუკა #4).

რუკა #4  მღვიმეები (ტურისტულად ათვისებული, მშენებარე ინფრასტრუქტურითა და აუთვისებელი ) სათავგადასავლო და ეკოტურიზმისათვის იმერეთში



წყალტუბოს რაიონში, ექსპლოატაციაში არსებულ სათაფლიისა და ყუმისთავის მღვიმეებთან, ათვისების პროცესში მყოფ საწურბლიის მღვიმესთან ერთად, საინტერესო ობიექტებად მიგვაჩნია ***თეთრა მღვიმის, ხომულისა და მელოურის*** მღვიმეების ერთიან კომპლექსში ჩართვა სათავგადასავლო ტურიზმისათვის. აქ არ იგულისხმება მათი ტექნიკურად კეთილმოწყობა. მთავარია ვიზიტორს ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია, იყოს ხელმისაწვდომი სათანადო რუკები მარშრუტის მითითებით და მოხდეს მისასვლელი გზების მარკირება. მსგავსი მარშრუტების ქსელის ზრდა, აუცილებლად გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ტურიზმის სფეროში და გაზრდის რეგიონის პოპულარობას.

*თეთრა მღვიმე* კუროტ წყალტუბოს ჩრდილოეთით, 1,5კმ-ზე, ზ.დ.80მ სიმაღლეზე მდებარეობს. გასული საუკუნის 70-იან წლებში, მღვიმეში წარმატებით ტარდებოდა ბრონქიალური ასთმითა და გულსისხლძაღვთა სისტემით დაავადებული პაციენტების ინტენსიური სპელოთერაპია. მღვიმე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლსაც წარმოადგენს. ენეოლითურ შრეში არმოჩენილია კერამიკული ნაშთები (წიქარიშვილი, ბოლაშვილი, 2013:49–50). *ხომულის მღვიმეც* კურორტ წყალტუბოსთან ახლოს, ზ.დ.160მ–ზე მდებარეობს. მღვიმეში არის კარსტული ტბა („ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი“, 2018). *მელოურის კარსტული ჭა* სოფელ ყუმისთავის ჩრდილოეთით, ფოთლოვანი ტყის შუაგულში, ზ.დ.424მ. მდებარეობს. ჩასასვლელი ხვრელის სიგანე 0,5მ, ფსკერის სიგრძე 37 მ, სიღრმე 35 მ-ს აღწევს (წიქარიშვილი, ბოლაშვილი, 2013:65).

მეორე ზონა თერჯოლა–ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, ***ნავენახევის*** (განახლების პროცესში მყოფი), ***ნაგარევისა და ცუცხვათის*** (ათვისების პროცესში მყოფი) მღვიმეებს მოიცავს ***საკაჟიასა და იოაზონის*** მღვიმეებთან ერთად.

*ნაგარევის მღვიმე* სოფელ გოდოგნის მიდამოებში, ზ.დ.190მ სიმაღლეზე მდებარეობს. მღვიმე ვიწრო დერეფნებითა და პატარა დარბაზების მონაცვლეობით 140მ-მდე გრძელდება (წიქარიშვილი, ბოლაშვილი, 2013:73). *ცუცხვათის მღვიმე* ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცუცხვათის სამხრეთით, ოკრიბა-არგვეთის სერზე, ზ.დ. 250-400მ სიმაღლეზე მდებარეობს. მღვიმიანობის 75 მ-იან ვერტიკალურ ჭრილში 13 სართული გამოიყოფა. თავისი სიძველითა და სართულების

რაოდენობით ცუცხვათი ერთ–ერთი უნიკალურია მსოფლიოში (წიქარიშვილი, ბოლაშვილი, 2013:120). *საკაჟიას მღვიმე*, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მდ. წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობზე მდებარეობს. საკაჟიაში პირველად დადასტურდა პალეოლითის არსებობა კავკასიაში (წიქარიშვილი, ბოლაშვილი, 2013:89).

მიგვაჩნია, რომ ერთი მხრივ, მდიდარი ბუნებრივ–რესურსული პოტენციალი, ხოლო მეორე მხრივ, იმერეთის მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურა და დარგის მენეჯმენტი (სამთავრობო პროექტები, კერძო ბიზნესის დაინტერესება, განთავსების საშუალებათა მატება, საჰაერო–სატრანსპორტო უზრუნველყოფა), მნიშვნელოვნად აამაღლებს რეგიონის შესახებ ცნობადობას და გაზრდის ტურისტულ ნაკადებს რეგიონში.

# დასკვნები და რეკომენდაციები, ძირითადი მეცნიერული მიღწევები

ამგვარად, ჩატარებული კვლევების საფუძველზე დასვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- ✓ იმერეთის ტურიზმის სექტორის განვითარება ესადაგება იმ სამეცნიერო თეორიებს, რომლებიც ჩვენი კვლევის ჩარჩო–კონცეფციად მივიჩნიეთ (*ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდისა და კოორდინაციის მარცხის თეორიები).* ტურიზმი მართლაც შეიძლება გახდეს კონკრეტული, მცირე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ლოკალური მოსახლეობის დასაქმებას, ოჯახების შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ აქტივობასა და ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას;
- ✓ ზოგადად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტურიზმის მთავარი პრობლემა, დარგის უთანაბრო განვითარებაა. ტერმინის „ბრიქლეინგის" ცნებაში დასავლელი ავტორები თანმიმდევრულ და მყარ პროგრესს მოიაზრებენ (ცენტრალური ევროპის ქვეყნების პრაქტიკა), ხოლო „ბრიკოლაჟი" ფრანგმენტულ ქმედებას აღნიშნავს (პოსტ–საბჭოთა სივრცის სახელმწიფოები). ორივე ტერმინი ტრანზიციის პერიოდის ტურისტულ ინდუსტრიას მიემართება.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა ტურიზმის სექტორის განვითარებას, 1980-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოს რეკრეაციულ-რესურსული პოტენციალის მხოლოდ 15 % იყო ათვისებული;
- ✓ ტურიზმის მდგრად განვითარებას ხშირად მიიჩნევენ როგორც „ბალანსს" ან რესურსების გონივრულად გამოყენების პროცესს. ბოლო წლების მიხედვით, მდგრადი განვითარების ტურიზმში ალტერნატიული ტურისტული პროდუქტი მდგრადი ტურიზმის კონტექსტში მოიაზრება;
- ✓ ტურიზმის მდგრადი განვითარების კვლევისას, მეტად აქტუალური ხდება *ტრანსდისციპლინური მიდგომა.* ტრანსდისციპლინარიზმის კონცეფციის

მთავარი არსი არის ის, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა; მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ისეთი ინიციატივების მიმართ, რომლებიც შესაძლებელს გახდის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და მათ თანაბრად გადანაწილებას. ამ მიმართულებით ტურიზმის სექტორის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა აუცილებლად მიგვაჩნია.

- ✓ ტურიზმი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. რადგან საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი სოფლად ჯერ კიდევ მაღალია და 25,5% უტოლდება, მეტად მნიშვნელოვანია დარგის განვითარების ხელშეწყობა ისეთ სასოფლო რეგიონებში, როგორშიც ჩვენი კვლევები განხორციელდა;
- ✓ 1990–იანი წლების მძიმე კრიზისული პერიოდის შემდეგ, 2000–იანი წლებიდან საქართველოში ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ერთგვარი გაუმჯობესება დაიწყო. დღეისათვის ვიზიტორთა რაოდენობამ 7 მილიონს გადააჭარბა. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 9,3% შეადგენს (Kvintradeze, 2018), ხოლო შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან 2,8 მლრდ დოლარია;
- ✓ მდგრადი განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე, პრომეთეს მღვიმის ტურისტული ობიექტის შექმნა, რეალურად განაპირობებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ქმნის ცხოვრების უკეთეს სოციალურ–ეკონომიკურ პირობებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უზრუნველყოფს მღვიმისა და მიმდებარე ტყის ეკოსისტემების დაცვას. თუმც, თუკი ადგილობრივ თემზე ტურიზმის გავლენას განვიხილავთ სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის პოზიციიდან, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტად *არა–ღარიბი* ოჯახები სარგებლობენ, რომელთაც აქვთ საწყისი ფულადი და არა ფულადი კაპიტალი, სთავაზობენ მას ტურისტულ ბაზარს და შესაბამისად, პასუხობენ კიდეც მომხმარებლის მოთხოვნებს;
- ✓ ოკაცეს კანიონთან დაკავშირებული სოფლების მოსახლეობა საკმაოდ დადებითადაა განწყობილი მზარდი ტურისტული ბიზნესის მიმართ, შინამეურნეობის შემოსავლების მატებას მასში ჩართულობით მოიაზრებს და

დადებითად აღიქვამს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რასაც სახელმწიფო ახორციელებს;

- ✓ ერთი მხრივ, მოსახლეობის კომუნიკაციის მაღალი დონე (თანამშრომლობა ტურისტულ სააგენტოებთან), ხოლო მეორე მხრივ, ქუთაისის აეროპორტში ევროპიდან პირდაპირი რეისების არსებობა, ხელს უწყობს რეგიონის ცნობადობის ზრდას და ტურისტთა მუდმივ და მზარდ ნაკადებს ოკაცეს კანიონის ტურისტული დანიშნულების ადგილზე;
- ✓ წინა ათწლეულებში ქალაქად საცხოვრებლად გადასული მოსახლეობის ერთი ნაწილი, აქტიურ ტურისტულ საქმიანობაში ჩაბმისა და უკეთეს ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრების მიზნით, სოფელს დაუბრუნდა (გორდი, კინჩხა). მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა ქალთა გადინება სხვა ქვეყნებში სეზონურ სამუშაოზე დასაქმების მიზნით, კვლავ ნარჩუნდება ქალთა შრომითი ემიგრაციის მაღალი დონე. მათ დასაბრუნებლად ტურისტული ბიზნესი მძლავრი ბერკეტი ჯერ კიდევ არ არის;
- ✓ კერძო ბიზნესი მხოლოდ პირადი კომერციული გამოცდილებით იქმნება და იმართება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კონსულტაციების სახით, სამთავრობო ან არა სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა არ ჩანს;
- ✓ ტურისტული ადგილების ბუნებრივი გარემო ჯერ–ჯერობით, იტანს მზარდ ტურისტულ ნაკადებს, თუმც არსებული დინამიკა რამოდენიმე წელიწადში დღის წესრიგში დააყენებს პარკირების არეალის გაფართოების საკითხს, რაც პრობლემას შექმნის, როგორც მჭიდრო სასოფლო განსახლებებისათვის, ასევე უარყოფითად იმოქმედებს არსებულ ეკოსისტემებზე— გაზრდის ატმოსფეროს დაბინძურებას და მოახდენს მიწის რესურსების შემცირებას;
- ✓ დადებითად ფასდება ის, რომ ბალნეოლოგიურ კურორტებზე ფართოვდება დამსვენებელთა გეოგრაფიული არეალი (განსაკუთრებით საირმესა და ნუნისში, რომლებიც ტრადიციულად რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები იყო) უპირატესად, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან ჩამომსვლელთა

ხარჯზე; ხდება კურორტების კეთილმოწყობა; ხორციელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტები;

- ✓ კვლავ პრობლემად რჩება ტურისტული პროდუქტის ერთგვაროვნება, არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა და მომსახურების არასრულყოფილება, მარკეტინგული კვლევების სიმწირე, სერვისის ხარისხით მხოლოდ ნაწილობრივ კმაყოფილება;
- ✓ მცირეა ისეთი ტურების რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ ქუთაისზეა ორიენტირებული. იმ ტურებში, სადაც ქალაქს მხოლოდ ერთი დღე ეთმობა (ერთი ღამისთევით), ქუთაისის მონახულებას მისი სატრანზიტო მდებარეობა უფრო განაპირობებს, სადაც გავლით იყოფებიან დამსვენებლები. უკეთეს შემთხვევაში კი, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან შემოსული ვიზიტორები სტუმრობენ ქალაქს შედარებით ხანგრძლივი ვადით. ცხადია, ეს ბოლო ფაქტორი ქუთაისში რეკრეანტთა მოზიდვისათვის მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ აუცილებელია ბაზარზე გაჩნდეს შეთავაზება კონკრეტულად, ქუთაისის შემეცნებითი ტურისა, რის საშუალებასაც არსებული მდიდარი რესურსულ–რეკრეაციული ბაზა იძლევა;
- ✓ ქალაქში სასტუმროების მშენებლობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ როცა სეზონზე (მაისი-სექტემბერი), მათი დატვირთვის კოეფიციენტი 80-85%-ია. სტატისტიკური მონაცემებით, ქუთაისის ღამისთევის საშუალებებში მხოლოდ 1500–მდე ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი, ამასთან, კომფორტის შეთავაზება მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეუძლია; მცირე ზომის განთავსების ობიექტები ლიმიტირებული ნომრებით და აქედან გამომდინარე, მასშტაბური ფორუმების ჩატარაების შეზღუდულ შესაძლებლობას იძლევა;
- ✓ ქუთაისში ჯერ კიდევ პრობლემურია, იმერეთის ტურისტული პაკეტის (და შესაბამისად ქუთაისის პაკეტის) არარსებობა, ქალაქის შედარებით დაბალი ცნობადობა, მწირი სტატისტიკური მასალა ტურიზმის სფეროში, პრაქტიკულად, სარკინიგზო მიღწევადობის არარსებობა; გართობისა და საღამოს გატარების ობიექტების სიმცირე;

- ✓ იმერეთის ტურიზმის სექტორში რიგი ცვლილებების განხორციელების შემდეგ, რეგიონი რეალურად გახდება მიმზიდველი და ცნობადი საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილი. ჩვენი მხრივ, მიგვაჩნია, რომ არსებული რესურსული პოტენციალისა და ინფრასტრუქტურული ბაზის გათვალისწინებით, იმერეთში განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივა ეკოტურიზმთან ერთად, ბალნეოლოგიურ ტურიზმსა და სპელეოტურიზმს აქვს. ასეთი ტურისტული ობიექტები, დღეისათვის, გარკვეულწილად, პასუხობენ რიგ საერთაშორისო სტანდარტებს. სამომავლოდ კი, მენეჯმენტისა და მომსახურების დახვეწა, ასევე, ქუთაისის აეროპორტის მიმართულებით ფრენების დივერსიფიკაცია, კიდევ უფრო გაზრდის მათი მიზიდულობის პოტენციალს.

აღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ მიგვაჩნია, რომ უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს ტურისტული აქტივობის გადანაწილება იმერეთში სხვა კარსტულ ობიექტებზე, რომელთა ათვისება იგეგმება კიდეც, რათა არ მოხდეს უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბების გაზრდა გარემოზე, რაც დააზიანებს თავად დარგს; ასევე დაიკარგება მისი თანამდევი ეფექტი — ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც მეტად ღირებული შედეგი გახლავთ;
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ოკაცეს კანიონის მენეჯმენტი და დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს სტრატეგია ზოგადად, უზრუნველყოფს ბუნებრივი ეკოსისტემების დაცულობას (ტყის მასივების შენარჩუნებას), აუცილებლად მიგვაჩნია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დადიანების ტყე-პარკს, რათა არ მოხდეს ბუნებრივი ლანდშაფტის უფრო მეტად დაზიანება და ისტორიული მემკვიდრეობის დაკარგვა.
- ✓ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პრომეთეს მღვიმის ტურისტული ადგილის მოსახლეობას, სადაც მეტია „ღარიბი" ოჯახი, ვიდრე ოკაცეს რეკრეაციულ რეგიონში, თუმც მღვიმის ტურისტულ ობიექტს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს. ვფიქრობთ, უნდა მოხდეს ადგილობრივთა სწავლება

და სტიმულირება მცირე ბიზნესის წამოწყების მიზნით. ჩვენი რეკომენდაცია ემყარება იმას, რომ პრომეთეს მღვიმის რეგიონში, ბევრია „შედარებით არა ღარიბი" ოჯახი, რომლებიც ტურიზმისათვის ადეკვატურ რესურსებს ფლობენ, მაგრამ არ იციან როგორ და რა ფორმით შესთავაზონ ის ბაზარს; გარდა ამისა, უფრთხიან საბანკო კრედიტს, რომელიც მიზნობრივი არ არის და მაღალპროცენტიანია. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ასეთი ოჯახების ხელშეწყობა სახელმწიფო და არასაამთავრობო სექტორის მხრიდან, რაოდენობრივად გაზრდიდა მათ ჩართულობას ტურიზმში. შესაბამისად, ასეთი შინამეურნეობები შექმნის დამატებითი შრომითი რესურის საჭიროებას, რომლებიც იმ ღარიბ ოჯახებში შეიძლება მოიძებნოს, თავად რომ მინიმალურ რესურსსაც ვერ ფლობენ საკუთარი საქმიანობის წამოსაწყებად.

- ✓ ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია ვიზიტების ელექტრონული დაჯავშნის სისტემის შემოღება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მღვიმეში და კანიონზე მისული ორგანიზებული ჯგუფებისა თუ ინდივიდუალურ ტურისტთა რიგში დაყოვნების ხანგრძლივობას;
- ✓ საჭიროა სამედიცინო მომსახურების სრულყოფა, რაც სპა კურორტების მთავარი პროფილია; ასევე, ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია, მისასვლელი გზების კეთილმოწყობა და სეზონურობის დაძლევა;
- ✓ რადგან ქვეყანაში საშუალო ფენის შექმნა გვიანდება, საჭიროა ამოქმედდეს ინდივიდის/რეკრეანტისა და სახელმწიფო დაზღვევის თანაგადახდის სისტემა, რომელიც ჩვენების მიხედვით დანიშნული სარეაბილიტაციო მკურნალობის ჩატარების საშუალებას მისცემს ადგილობრივ მიზნობრივ სეგმენტს. სხვა შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობა კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს საკურორტო მკურნალობის მიღებას და ეს სერვისი მხოლოდ ელიტარული და უცხოელი მომხმარებლისთვის იქნება ხელმისაწვდომი;
- ✓ რადგან საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს რეგიონში არსებულ კურორტებს მასობრივი ტურიზმით (საზღვაო ტურიზმი), შემომყვნი ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ბალნეოლოგიური ტურიზმი შეიძლება გახდეს, ანუ შეიქმნას ერთგვარი ნიშა საერთაშორისო

ბაზარზე, აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივ აუდიტორიაზე და მოხდეს გამაჯანსაღებელი ტურისტული პროდუქტის ექსპორტი;

- ✓ ქუთაისის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობისა და პოპულარიზაციისათვის ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა კოპიტნარის აეროპორტს ენიჭება. აეროპორტის გაფართოების რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არსებულის გარდა სხვა დაბალტარიფიანი ავიაკომპანიების მოზიდვა და პირდაპირი რეისების რიცხვის მატება, არამარტო ქალაქსა და კურორტ წყალტუბოს წაადგება, არამედ მეტად დადებითად იმოქმედებს დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ტურისტულ განვითარებაზე (რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი).

დისერტაციის ფარგლებში ძირითადი მეცნიერული მიღწევებია:

- ❖ GIS ტექნოლოგიით შექმნილი სამი ელექტრონული რუკა:
  - იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების რუკა ტურისტულ–რეკრეაციული პროფილით, ტურისტული დანიშნულების ადგილებითა და კურორტებით;
  - წყალტუბოს ტურისტული რეგიონის რუკა – ათვისებული, ინფრასტრუქტურულად მშენებარე და ასათვისებელი მღვიმეებით;
  - ქალაქი წყალტუბო მისი საკურორტო ინფრასტრუქტურით — განახლებული და ძველი სააბაზანო შენობები, ახალი სასტუმროები, დევნილებით დაკავებული სანატორიუმები და კერძო საკუთრებაში მყოფი სარეაბილიტაციო საკურორტო შენობები.
- ❖ იმერეთის ტურისტული რეგიონის მასშტაბური სოციალურ–ეკონომიკური და მარკეტინგული კვლევა მდგრადი ტურისტული განვითარებისათვის. კვლევა საფუძვლად დაედო კურორტ საირმის განვითარების სტრატეგიას 2015 წლიდან;
- ❖ სადისერტაციო თემა ანალიტიკური ნაშრომია, რომელიც მოიცავს იმერეთის საკურორტო რეგიონების კომპლექსურ კვლევას ტრანსდისციპლინური

მეთოდის გამოყენებით, ანუ ყველა სტეიქჰოლდერის — სამთავრობო სტრუქტურების, ვიზიტორების, ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო ბიზნესის მფლობელებისა და მენეჯერების მონაწილეობით;

- ❖ ჩვენი ნაშრომის შედეგები და რეკომენდაციები საფუძვლად შეიძლება დაედოს იმერეთის რეგიონის ტურისტული განვითარების სტრატეგიას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ა(ა)იპ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.
2. ა(ა)იპ წყალტუბოს კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი. http://tskaltubo-crt.ge/ როგორც ეს მითითებულია ზარზაქაძე, ნ. (2016). ქ.ქუთაისისა და კუროტ წყალტუბოს, როგორც ერთიანი ტურისტულ–რეკრეაციული რეგიონის, რესურსული პოტენციალი და განვითარების გეოგრაფიული ასპექტები. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ, 101 გვ.
3. ადეიშვილი, დ. (2011). „საქართველოს სიღარიბის პროფილი“. ნანახია 7აპრილს, 2015. http://european.ge/sakartvelos-sagharibis-propili/.
4. ადელინგი, ნ. *ტურიზმი.* (1956). გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი.
5. არაბული, კ. (2008). *ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.* (სადოქტორო ნაშრომი), თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 164 გვ.
6. არაბული, კ. (2011). *ტურიზმის საფუძვლები.* თბილისი, გამომცემლობა ”უნივერსალი”, 126 გვ.
7. ბახტაძე, ლ. (2006). *გარდამავალი ხანის ეკონომიკა.* თბილისი, ”სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის” გამომცემლობა, 98 გვ.
8. ბეროვსი, კ., პავერსი, ტ., რეინოლდსი, დ. (2012). შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში. John Willy & Sons, inc. ქართულენოვანი გამოცემის რედაქტორი მ. თოქმაზიშვილი და თ. ექვთიმიშვილი. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
9. „გეორგიკა თრეველი“. ტურისტული სააგენტო. ნანახია 21 მარტს, 2018. http://georgicatravel.ge/
10. გოზალიშვილი, დ. (1966). *კოჯორი.* საქართველოს კპ.ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი, თბილისი.
11. გრიშიკაშვილი, ა. (1998). *გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (პრობლემები, პერსპექტივები).* თბილისი, 224 გვ.
12. დავითაია, ე. და სეფერთელაძე, ზ. (2014). *ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ–ეკოლოგიური პრობლემები.* „მერიდიანი“, თბილისი.

13. დებულება საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოების შესახებ. (1932). საქართველოს პროლეტარული ტურიზმის და ექსკურსიათა საზოგადოება, გაზეთი „კომუნისტი"-ის სტამბა, ტფლისი.
14. დევიძე, ე. (2012). იმერეთის დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა. „ეკონომიკა და ბიზნესი", იანვარ-თებერვალი, 1: 181-187.
15. დევიძე, ე. (2012). „კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები. დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ. ნანახია 30 მარტს, 2018. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000609/Devidze%20E.pdf
16. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოში. (2011). საქართველოს პარლამენტის აპარატი. ნანახია 22 თებერვალს, 2014 წელი. http://www.parliament.ge/files/714_9879_231621_ekoturizmi.pdf
17. ვადაჭკორია, მ., უშვერიძე, გ., და ჯალიაშვილი, ვ. (1987). *საქართველოს სსრ კურორტები.* გამომცემლობა „ საბჭოთა საქართველო", თბილისი.
18. ვიზიტორთა სტატისტიკა. (2017). დაცული ტერიტორიების სააგენტო. ნანახია 8 დეკემბერს, 2017. http://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika
19. „ვიზეარი" ქუთაისის აეროპორტიდან ევროპისკენ 7 ახალ მიმართულებას ამატებს" (2016 15.06) http://businesscontact.ge/ka/article/quotvizeariquot-qutaisis-aeroportidan-evropisken-shvid-axal-mimartulebas-amatebs/1654
20. თაკლანაძე, ლ. დიხამინჯია, ი. (2011). ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. კონფერენციის: *"ტურიზმი- ეკონომიკა და ბიზნესის"* მასალები. II ნაწილი, გვ.72-75.
21. თარხან–მოურავი, გ. (1998). სიღარიბე გარდამავალ საზოგადოებაში: საქართველო. *სადისკუსიო წერილების სერია 6.* გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი.
22. თვისებრივი კვლევის ანგარიში. (2007). ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების შეფასების პროექტი. შემაჯამებელი მიმოხილვა თბილისი.
23. იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების სტრატეგია. (2012 წ). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. თბილისი/ბარსელონა. ნანახია 19 მარტს, 2018. http://imereti.gov.ge/res/docs/DevelopmentplanGE02.pdf

24. „კავკასუს თრეველი“. ტურისტული სააგენტო. ნანახია 21 მარტს, 2018. http://www.caucasustravel.com/

25. კაკაურიძე, გ.( 2017). „2016 წელს სიღარიბის მაჩვენებელი 0,5%–ით გაიზარდა. თუმცა 2012 წლის შემდეგ სიღარიბე 7%–თაა შემცირებული.“ ნანახია 8 მარტს, 2018. http://factcheck.ge/article/2016-tsels-sigharibis-machvenebeli-0-5-ith-gaizarda-thumtsa-2012-tslis-shemdeg-es-machvenebeli-7-ithaa-shemtsirebuli/

26. კირვალიძე, ნ. (2004). სასტუმრო ბიზნესის განვითარება საქართველოში. მარკეტინგის აქტუალური საკითხები: შრომათა კრებული, თბილისი, N 5, გვ. 206-209.

27. კობახიძე, ე. *საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი.* თბილისი, გამომცემლობა ”უნივერსალი”, 1971. (76 გვ.).

28. კრიალაშვილი, ქ. (2015). „რა არის ჯინის კოეფიციენტი?“. ნანახია 12 აპრილს, 2015. http://krialashvili.blogspot.com/2015/01/blog-post_21.html

29. მაზიაშვილი, ნ. (2011). ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. კონფერენციის: *”ტურიზმი- ეკონომიკა და ბიზნესის”* მასალები. II ნაწილი, გვ.91-96.

30. მანაგაძე, დ. (2016). „წყალტუბოში სანატორიუმ „მეშახტეს“ მფლობელი მალტაზე დარეგისტრირებული კომპანია გახდა“ (2016.23.06) http://www.kutaisipost.ge/statiebi/ekonomika/article/2278-tsyaltuboshi-sanatoriumi-qmeshakhteq-maltaze-daregistirebulma-kompaniam-sheidzina

31. მარუაშვილი, ლ. (1970). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ნაწილი II. თბილისი.

32. მესტიის მუნიციპალიტეტში მესტიაჭალა-1 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. (2016). სს „სვანეთი ჰიდრო“. ნანახია 29 აპრილს, 2018. http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/gacemuli/31_082016/gzsh2.pdf

33. მეტრეველი, მ. (2011). *ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა.* თბ. 506 გვ.

34. მეტრეველი, მ. (2011). *ტურიზმის ბიზნესი.* „ინტელექტი“, თბილისი.

35. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. (2017). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ნანახია 1 მაისს, 2018. https://mof.ge/images/File/BROSHURA/2017/Outlook_April_2017_GEO-new.pdf )

36. მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმართველი ერთეულებისა და სქესის მიხედვით. (2015). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ნანახია 16 მარტს, 2018. http://census.ge/ge/results/census

37. მღვიმეები. 23 დეკემბერი, 2017. ნანახია 26 დეკემბერს, 2017. http://tskaltubotourism.com/

38. მჭედლიძე, კ. (2011). „საქართველო „ჯინის“ კოეფიციენტის მიხედვით თურქეთს უტოლდება“. ნანახია 6 მაისს 2015. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24338439.html

39. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია. (2015). *UNWTO, ტურიზმის სიახლეები, 2015 წლის გამოცემა.* მოძიებულია: ივნისი, 2016, http://www.e-unwto.org/

40. დადგენილება საქართველოს პროფსაბჭოს VI პლენუმისა. 1969 წლის 14 აპრილი, თბილისი 1969.

41. ნოდია, მ. (1976). *საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები.* გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი.

42. პავლიაშვილი, ნ. (2011). *ტურიზმის განვითარების ისტორია საქართველოში.* (სალექციო კურსი), როგორც ეს მითითებულია უგრეხელიძე, ა. (2012). თბილისის, როგორც ურბანული ტურისტული პროდუქტის ტრანსფორმაცია გარდამავალი პერიოდის საქართველოში. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ, თბილისი.

43. პრომეთეს მღვიმე და მართვილის კანიონი ყველაზე მეტმა ტურისტმა მოინახულა. 04 აგვისტო, 2017. ნანახია 17 დეკემბერს, 2017. http://netgazeti.ge/news/211834/

44. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი. (2014). ნანახია 9 დეკემბერს, 2017. http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument/prometes-mgvimis-bunebis-dzegli

45. პრომეთეს მღვიმის დაზიანებული ეკოსისტემა — ხელისუფლების გადაწყვეტილებების შედეგი. 13.02.2014. ნანახია 18 დეკემბერს, 2017. http://netgazeti.ge/life/29387/

46. საქართველოს გეოგრაფია. (2003). ნაწილი II. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი. 312 გვ.

47. საქართველოს გეოგრაფიული ატლასი. (2006). იმერეთი. რუკა 1:250000.

48. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. (2011). „2011 წლის ეკონომიკური მიმოხილვა". ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. ნანახია 23 მაისს, 2015. https://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_4_Geo_WEB_2.pdf

49. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. (2013). „არის თუ არასტაგნაცია — 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა". მე–7 ანგარიში. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. ნანახია 12 მარტს, 2018. https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Stagnation_Report_GEO_WEB.pdf

50. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. (2014). „პირველი კვარტალი, 2014". ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. ნანახია 1 ივნისს,2015. https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Economic_2014_Report_Geo_WEB.pdf

51. საქართველოში კავკასიაში პირველი სპელეო–გამაჯანსარებელი მღვიმე გაზაფხულზე გაიხსნება. ინტერპრესნიუსი. 25 იანვარი, 2018. ნანახია 26 იანვარს, 2018. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/474687-saqarthveloshi-kavkasiashi-pirveli-speleo-gamajansaghebeli-mghvime-gazafkhulze-gaikhsneba.html

52. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ. №2054–IIს. 1999 წლის 8 ივნისი.

53. ნანახია 30 აპრილს, 2018. http://www.matsne.gov.ge

54. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისშესახებ. (2017). საქართველოს კანონი. N4036-რს. 16 ივლისი 2015. საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი. ნანახია ნანახია 30 აპრილს, 2018. https://matsne.gov.ge/ka/

55. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ. www.gnta.ge

56. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. 22 მაისი, 2015. ნანახია 28 ნოემბერს, 2017. https://youngjournalist77.wordpress.com/2015/05/22

57. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). „ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი". ნანახია 17 მარტს, 2015. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=175&lang=geo

58. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). „სიღარიბის მაჩვენებლები". ნანახია 1 თებერვალს, 2018. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

59. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.(2018). „უმუშევრობა და დასაქმება". ნანახია 1 თებერვალს, 2018. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

60. საქართველოს სსრ კურორტები და საკურორტო რესურსები (ატლასი). მოსკოვი, 1989. 76 გვ.
61. საქართველოს რუკა 1:600 000. (2003).
62. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. (2015). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ნანახია 28 აპრილს, 2018. https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01.pdf
63. სეფერთელაძე, ზ. (2000). ). საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული დარაიონება წიგნში: „საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია. „მეცნიერება“, თბილისი.
64. სიხარულიძე, ვ. *ჭიათურა.* (1977). გამომცემლობა „ საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
65. ტურისტულ–რეკრეაციული რეგიონის, რესურსული პოტენციალი და განვითარების გეოგრაფიული ასპექტები. სამაგისტრო ნაშრომი. თსუ. 101 გვ.
66. „ტურიზმი“. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
67. უგრეხელიძე, ა. (2012). თბილისის, როგორც ურბანული ტურისტული პროდუქტის ტრანსფორმაცია გარდამავალი პერიოდის საქართველოში. სამაგისტრი ნაშრომი. თსუ, თბილისი.
68. „უონდერლენდი“. ტურისტული სააგენტო. ნანახია 21 მარტს, 2018. http://www.wonderland.ge/en/
69. უკლება, დ. (1981). საქართველოს ფიზიკურ–გეოგრაფიული დარაიონება. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.9. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
70. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1986). „ყუმისთავი“. „ყუმისთავის მღვიმე“. ტ. 10. თბილისი.
71. ქუთაისი. (1986). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ქუთაისი. ტ.10. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
72. ქუთაისის აეროპორტთან საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები განთავსდება. 22 დეკემბერი, 2017. 106.9FM Fortuna. ნანახია 24 მარტს, 2018. http://fortuna.ge/qutaisis-aeroporttan-saertashoriso-brendis-sastumroebi-gantavsdeba/
73. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სტატისტიკა. 2016.

74. ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგია — ქუთაისი 2020“. (2016). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი. ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი ქონების მართვის სამსახური.

75. ქ. ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2020. (2016). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი. ქუთაისი. ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი ქონების მართვის სამსახური.

76. ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის პრესსამსახური http://kutaisi.gov.ge/index.php

77. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. ნანახია 23 მარტს, 2018. http://kutaisiairport.ge/

78. ღუდუშაური, მ. (2010). ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში. *ეკონომიკა და ბიზნესი.* N4,ივლისი-აგვისტო. 156-163.

79. შავიანიძე, ო., შავიანიძე, გ., თევზაძე, მ., შავიანიძე, მ. (1995). *საქართველოს კურორტების კურორტოლოგისა და მეკურორტეს ცნობარი.* ქუთაისი.

80. შალამბერიძე, ხ. (2011). ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. კონფერენციის: *"ტურიზმი- ეკონომიკა და ბიზნესის"* მასალები. II ნაწილი, გვ. 144-148.

*81.* შუბლაძე, ვ. (2004). *საქართველოს და ტურიზმი.* თბილისი, გამომცემლობა "ჯამპი", 176 გვ.

82. შუბლაძე, ვ. (2006). *ტურიზმის დაჩქარებული განვითარება სიღარიბის დაძლევის ფაქტორი საქართველოში.* „ინოვაცია“, თბილისი. 254 გვ.

83. ჩხეიძე, ო. (2000). *სასწავლო გეომორფოლოგიური ექსკურსიები იმერეთში. რელიეფის მორფოლოგიურ–პალეოგეოგრაფიული ანალიზი მეთოდური მითითებებით.* „კაბადონი“, თბილისი. 315 გვ.

84. ჩხეიძე, ო. (2003). *იმერეთის გეომორფოლოგია. რელიეფი მისი პლასტიკის, წარმოშობის, დინამიკისა და ისტორიის თვალსაზრისით.* ნაწილი I. „მეცნიერება“, თბილისი. 259 გვ.

85. ჩხეიძე, ო. (2004). *იმერეთის გეომორფოლოგია. რელიეფი მისი პლასტიკის, წარმოშობის, დინამიკისა და ისტორიის თვალსაზრისით.* ნაწილი II. „მეცნიერება“, თბილისი. 421გვ.

*86.* ჩხეიძე, ო. (2009). *იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია. ბუნებრივი ლანდშაფტების რეგიონული ფიზიკურ–გეოგრაფიული კომპლექსურ–სინთეზური დახასიათება.* ნაწილი II. აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი. 439 გვ.

87. ჩხეიძე, ო. (2015). *იმერეთის ტურისტულ–საექსკურსიო გეოგრაფიული მარშრუტები.* ტ.2. აწსუ გამომცემლობა, ქუთაისი. 400გვ.

88. წიქარიშვილი, კ., ბოლაშვილი, ნ. (2013). საქართველოს კარსტული მღვიმეები. თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ გამომცემლობა, თბილისი. 189 გვ.

*89.* ჭარხალაშვილი, კ. გულუა გ. (2010). *ქუთაისში ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის.* ქუთაისი. 112 გვ.

*90.* ჭითანავა, ნ. (2012). *საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები.* თბილისი, გამომცემლობა "ივერონი",216 გვ.

91. ჯავახაძე, ზ. ინტერვიუ. ქუთაისის სპორტის მუზეუმის დირექტორი. ქუთაისის საექსკურსიო სამოგზაურო ბიუროს ყოფილი დირექტორი. ჩაწერილია 2015 წლის 12 სექტემბერს.

92. ჯაოშვილი, ვ. (1989). *ქუთაისი. ეკონომიკურ–გეოგრაფიული გამოკვლევა.* „მეცნიერება", თბილისი.

93. ჯაფარიძე, დ. (2012). *თბილისი* — საქმიანი ტურიზმის რეგიონალური ცენტრი, ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, პრეზენტაცია.

94. ჯაში, ჩ. (2010). ხარისხის შეფასების მეთოდები ტურიზმის მარკეტინგში. *ეკონომიკა და ბიზნესი,* ნოემბერ-დეკემბერი 6:115-128.

95. ჯულაბაშვილი, ი. (2005). *ტურისტული პოლიტიკის ევოლიცია 1989 წლის შემდეგ პოლონეთში.*

96. ხელაშვილი, ი. (1992). *ტურიზმის მარკეტინგის საფუძვლები.* თსუ, თბილისი.

97. ხელაშვილი, ი. მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინური კვლევების აქტუალურობა ტურიზმში (საქართველოს რეგიონების მაგალითზე). ეკონომიკა და ბიზნესი. 3, 2017. გვ. 131–143.

98. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი. ნანახია 23 აპრილს, 2018 წელს. http://www.apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument/xomulis-mgvimis-bunebis-dzegli

99. 2016 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაში ტურისტების წილი გაიზარდა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2017). დაცული ტერიტორიების სააგენტო. https://gnta.ge/ge/2016).

100. 2017 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით. (2017). http://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika/wlis-vizitorta-statistika-daculi-teritoriebis-mixedvit

101. Aguayo, E., Exposito, P., &Vazquez Rozas, E. (2009). Tourism in EU Transition Countries. *Estudios Economicosde Desarrollo Internacional*. Vol.9-2. pp. 127-138.

102. Anastasiadou, C. (2006). Tourism and the European Union, in: D. Hall, M. Smith, and B. Marciszewska (eds.) *Tourism in New Europe: Challenges and Opportunities of EU Enlargement.* Wallingford, UK: CABI Publishing.

103. Ashly, C. (2002). Methodology for Pro-Poor Case Studies. PPT working paper No.10, December. Overseas Department Institute.

104. Ashly, C., Boyd, Ch., and Goodwin, H. (2000). Pro-Poor Tourism: Putting Poverty at the Heart of the Tourism Agenda. *Natural Resources Perspectives*. No. 51, March. ნანახია 8 დეკემბერს, 2017. https://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/2861.pdf

105. Ballantyne, R., Packer, J., & Axelsen, M. (2009). Trends in Tourist Research. *Annals of Tourism Research*. 36(1) · January. ნანახია 13 მარტს, 2018. https://www.researchgate.net/publication/43521558_Trends_in_tourism_research

106. Center for Business and Economic Researches, University of Nevada, Las-Vegas. P. 475. ნანახია 5 თებერვალს, 2017. cber.univ.edu/

107. Cooper Ch., Fletcher J., Fyall S., Gilbert D., and Wanhill S. (2008). *Tourism: Principles and Practices.* Prentice Hall.

108. Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C. (2005). Tourism Cluster Competiveness and Sustainability: Proposal for a systematic Model to Measure the Impact of Tourism on local Development. Brazilian Administration Review. Vol. 2, no.2, art.4. p.47-62. http://www.anpad.org.br/bar

109. Demunter, Ch., & Dimitrakopoulou, Ch. (2011). Domestic Tourism: Europeans spend 77% of their holiday trips in their own country. ნანახია 25 მარტს, 2018. http://www.ontit.it/opencms/export/sites/default/ont/it/documenti/files/ONT_2011-09-28_02721.pdf

110. Gachechiladze, R. (1995). *The New Georgia: Space, Society, Politics*. Texas A&M University press.

111. Georgia: Resent Trends and Drivers of Poverty Reduction (FY16 Georgia poverty Assesment). Poverty and Equity Global Practice. (2016). World Bank Group. ნანახია 8 მარტს, 2018. http://pubdocs.worldbank.org/en/980951472223098077/Georgia-PPA-FY16-presentation-AUG2016-final.pdf

112. Global Tourism Industry – Statistics and Facts. (2018). Statista – The Statistical Portal. ნანახია 29 მარტს, 2018. https://www.statista.com/topics/962/global-tourism/

113. Hall, D. (2001). Transport and Tourism in East Central Europe and the Former Soviet Union.

114. Hall, D., Smith, M. (2006). Enlargement Implications for European Tourism, in: D. Hall, M. Smith, and B. Marciszewska (eds) *Tourism in New Europe: Challenges and Opportunities of EU Enlargement.* Wallingford, UK: CABI Publishing.

115. Hall, D. (2008). From 'Bricklaying' to '*Bricolage*': Transition and Tourism Development in Central and Eastern Europe. *Tourism Geographies.* Vol.10. No.4, pp. 410-428.

116. Kvintradze, N. Contribution of Tourism to the Economy of Georgia and other Countries of the World. Forbs, March 29, 2018. ნანახია 11 მაისს, 2018. http://forbes.ge/news/3667/Contribution-of-tourism-to-the-economy-of-Georgia

117. Jhala, N., and Christian, A. (2012). Stakeholder Analysis - Theory from Field. https://www.researchgate.net/publication/221943153_Stakeholder_Analysis_-_Theory_from_Field

118. Liszewski, S. (2006). Tourism Spaces and their Transformation in the Contemporary World. *Tourism*, No.16/2.

119. Lu, J., & Nepal, K. (2009). Sustainable Tourism Research: An Analysis of the Papers Published in the Journal of Sustainable Tourism. *Journal of Sustainable Tourism*, 17(1), 5-16.

120. Major Issues in Tourism Development in the Asian and Pecific Region: Enhencing the Role of Tourism in Scio-Economic Development and Poverty Reduction. United Nations Economic and Social Council. 21 November, 2005, pp.1-13.

121. Making Tourism More Sustainable - A Guide for Policy Makers, UNEP and UNWTO, 2005, p.11-12. ნანახია 30 მარტს, 2018. http://sdt.unwto.org/content/about-us-5

122. Mammedov, R. (2013). The Role of Tourism in the Development of the Reions in: Proceedings of the 8th Silk Road international conference "Development of Tourism in Black and Caspian Sea Regions". May 24-26, pp.27-29. Tbilisi.

123. Muhar, A., Vilsmaier, U., Glanzer, M., and Freyer, B. *Initiating Transdisciplinarity in Academic Case Study Teaching: Experiences from a Regional Development project in Salzburg, Austria.* ნანახია 2 ოქტომბერს, 2017. http://www.emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/14676370610677856?journalCode=ijshe

124. Need Analysis. (2000). ICYF Evaluation Concept Sheet. The University of Arizona. https://www.scribd.com/document/65262252/Needs-Analysis

125. „Need Analysis". ნანახია 12 ნოემბერს, 2017. https://www.coursehero.com/file/p65i0as/Need-Analysis-is-the-process-of-identifying-and-evaluating-needs-see-sample/

126. New Trends in Tourist Reseanch – A Polish Pevspective. (2014). Fv. Dias. Simao Oliveira (eds.).

127. Pohl, Ch. (2010). From Transdisciplinarity to Transdisciplinary Research. The Atlas. ნანახია 23 იანვარს file:///C:/Users/User/Downloads/Paper-6-2010%20(1).pdf

128. Roser, M. (2017). „Tourism: International arrivals by world region". ნანახია 29 მარტს, 2018. https://ourworldindata.org/tourism

129. Saarinen, J. (2008). Special Issue: Tourism in Transition Economies. *Tourism Geographies*, Vol.10. No.4, p.409.

130. Scott, D. (2011). Why Sustainable Tourism Must Address Climate Change. *Journal of Sustainable Tourism*, 18(3), 283-296.

131. Springer, (2015). *Science+Business*. Chapter 2. Theories of Economic Development. Media Singapore. ნანახია 30 მარტს, 2018. www.springer.com/cda/.../9789812872470-c2.pdf?

132. Sustainable Development of Tourism. Definition. World Tourism Organization. (2005). ნანახია 27 იანვარს, 2018. http://sdt.unwto.org/content/about-us-5

133. Timms, B., & Neill, S. (2011). Crackes in the Pavement: Conventional Constraints and Contemporary Solutions for Linking Agriculture and Tourism in the Carribian. In: Turism and Agriculture: New Geographies on Consumption, Production and Rural Restructuring. Torres & Momsen (eds.). Routlege.

https://books.google.ge/books?id=J77uu_36jdEC&pg=PA104&lpg=PA104&dq=theories+of+linkeges+of+Agriculture+with+tourism+industry&source=bl&ots=5kGhRahKKp&sig=akeqrD3Qz9rktFAtbTEnxp0xcFo&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwihjO-Gm6HaAhXDfiwKHT1bD8cQ6AEISTAF#v=onepage&q=theories%20of%20linkeges%20of%20Agriculture%20with%20tourism%20industry&f=false

134. Tourism and Local Economic Development: How Can Business in Travel and Tourism Increase the Contribution of the Industry to Local Economic Development and Pro-Poor Growth? (2004). The International Centre for Responsible Tourism and Scott Wilson Business Consultancy.

135. Tucker, H., and Boonaboana, B. (2012). A Critical Analysis of Tourism, Gender and Poverty Reduction. *Journal of Sustainable Tourism*, 20, DOI:10.

136. Turnock, D. (2001). Introduction: Transition Economies - The Political-Economic Context. p.4, in: *East Central Europe and the Former Soviet Union: Environment and Society*. D. Turnock (ed.) ARNOLD, London. Oxford University Press Inc., New York.

137. Varvasovsky, Z., Brugha, R. (2000). How to do (or not to do)… A Stakeholder Analysis. *Health Policy and Planning*. 15 (3):338-345. http://dess.fmp.ueh.edu.ht/pdf/Zsuzsa_Varvasovsky_2000_stakeholder_analysis.pdf ნანახია 27 სექტემბერი, 2017.

138. Where is TAV? ნანახია 22 მარტს, 2018. http://www.tav.jobs/en-EN/group_companies/299/tav_georgia

139. World Bank . (1991). World Bank Development Report 1991: the challenge of development. Washingtin, D.C.: World Bank.

140. World Tourism Organisation (WTO). (1998). Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism. Madrid: World Tourism Organisation.

141. Мироненко, В., Твёрдохлебов, И. (1987). *Рекриационная География ССР*. Москва.

# დანართი

## დანართი #1

| მონაცემები ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე განთავსებული სანატორიუმების შესახებ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | სანატორიუმის დასახელება | მისამართი | ექსპ ლ. შესვ ლის წელი | იურიდ იულ სამართ ლებრივ ი გვერდი | მფლობელი | სარ თუ ლ. რა-ბა | შენობის სასარგ. ფართი (კვ.მ.) | მიწის ფართი (კვ.მ.) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 9 | 10 |
| 1 | შპს „სასტუმრო წყალტუბო“ | აღმაშენებლის №7 | 1980 | შპს | სახელმწიფო | 5 | 6718 | 49349 |
| 2 | „შახტიორი“ | რუსთაველის №13 | 1952 | სააქც. საზოგ. (სს) | კერძო | 5 | 12443 | 55980 |
| 3 | „სავანე“ | რუსთაველის №19 | 1975 | სს | სახელმწიფო | 4 | 5457 | 14440 |
| 4 | „სამგურალი“ | სულხანსაბას №2 | 1987 | სს | სახელმწიფო | 7 | 6350 | 18826 |
| 5 | „მეგობრობა“ | რუსთაველის №47 | 1937 | სს | სახელმწიფო | 3 | 11745 | 122210 |
| 6 | „ივერია“ | 26 მაისის №1 | 1962 | სს | კერძო | 4 | 6650 | 20959 |
| 7 | „მეტალურგი“ | ბარათაშვილის №7 | 1957 | სს | კერძო | 4 | 7441 | 55013 |
| 8 | "გეოლოგი" | ბარათაშვილის №4 | 1977 | სს | სახელმწიფო | 5 | 8588 | 8800 |
| 9 | ,,იმერეთი" | წითლანაძის ქ. №3 | 1961 | სს | სახელმწიფო | 4 | 10666 | 41230 |
| 10 | ,,გელათი" | ბარათაშვილის №7 | 1964 | სს | სახელმწიფო | 4 | 5750 | 20000 |
| 11 | ,,რკინიგზელი" | რუსთაველის № 51 | 1954 | სს | სახელმწიფო | 5 | 10157 | 34481 |
| 12 | ,,თბილისი " | ბარათაშვილის №2 | 1951 | სს | სახელმწიფო | 5 | 8470 | 40000 |
| 13 | შპს ,სანატ. წყალტუბო" | რუსთაველის №46 | 1954 | შპს | სახელმწიფო | 3 | 7117 | 35901 |
| 14 | ,,სინათლე" | წითლანაძის ქ. №3 | 1977 | სს | უსინათლოთა საზოგადოება | 2 | 1460 | 18834 |
| 15 | ,,საქართველო" | რუსთაველის №53 | 1984 | სს | კერძო | 11 | 22195 | 120824 |
| 16 | "მედეა" | გურიელის №3 | 1957 | სს | სახელმწიფო | 4 | 9416 | 74884 |
| 17 | კურორტოლოგი ის ინსტიტუტის ფილიალი | ჭავჭავაძის ქ.№1 | 1964 | სს | სახელმწიფო | 3 | 4467 | 38866 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | „სახელმწიფო უზრუნველყოფა" | სამაკაშვილის №8 | 1937 | სს | სახელმწიფო | 2 | 1399 | 257614 |
| 19 | ,,აია" | გურამიშვილი ს ქ №2 | 1985 | სს | სახელმწიფო | 8 | 8010 | 27521 |

წყარო: წყალტუბოს მერიის სამსახური

დანართი # *2*

**ტურისტთა დინამიკა ქუთაისში ვიზიტორი ქვეყნების პირველი ოცეულიდან**

| ვიზიტორი ქვეყნები | 2012–2015 წლები |
|---|---|
| პოლონეთი | 4699 |
| უკრაინა | 1746 |
| ისრაელი | 1184 |
| გერმანია | 1009 |
| ლიტვა | 929 |
| ჩეხეთი | 698 |
| რუსეთი | 658 |
| ნიდერლანდები | 497 |
| საფრანგეთი | 476 |
| აშშ | 349 |
| გაერთიან. სამეფო | 345 |
| იაპონია | 320 |
| უნგრეთი | 316 |
| ესპანეთი | 226 |
| იტალია | 187 |
| ლატვია | 185 |
| სლოვაკეთი | 176 |
| ბელარუსი | 139 |
| ბელგია | 128 |
| ავსტრია | 122 |

წყარო: ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილება.

დანართი #3

ქუთაისი
ღიმილის ქალაქი

ქუთაისის ლოგო და სლოგანი. ავტორი HOLMES&WATSON

დანართი #4




ქუთაისის არტ–რუკა. მხატვარი ელენე მიქაძე
წყარო:  ქუთაისის ტურისტთა საინფორმაციო ცენტრი.